

გურამ ბათიაშვილი

სამშობლო მცირეთა და მრავალთა

პიესა ორ ნაწილად უანტრაქტოდ.

მოქმედების დრო – 1185 წელი

ადგილი – თბილისი

მოქმედი პირნი:

აბულასანი – 65 წლის, ქართლის ამირთ-ამირა, ტფილისის გამგებელი,
სამეფო დარბაზის წევრი

ფარნავაზისძე – 70 წლის, სამეფო დარბაზის წევრი

ჯორჯიკისძე – 30 წლის, სამეფო დარბაზის წევრი

გაბონი – 40- 45 წლის, სამეფო დარბაზის წევრი

ივანე ფალავანდი – 70 წლის, სამეფო დარბაზის წევრი

ბალათერ თარხანისძე – 30 წლის, სამეფო დარბაზის წევრი

ტიმოთე – მსახური აბულასანის სახლში

გუჩუ – შიკრიკი, 20 წლის

3.

აბულასანის სასტუმრო დარბაზი. ხით ნაკეთი სავარძლები, მაღალი სასანთლები.

დღე იწურება, ფანჯრებს ჩამავალი მზის სხივი მოდგომია, თუმცა, სანთლები ჯერ არ აუნთიათ. სცენის სიღრმეში, თითქმის ჩაბნელებულ მხარეს, მოჩანს გაშლილი სუფრა..

აბულასანი (ზარს ნერვიულად რეკავს. შემოდის ტიმოთე. კართან უხმოდ დადგება). კვლავ არა ჩანან?

ტიმოთე. არა, ბატონო!

აბულასანი. როგორ უბრძანე მაცნეთ, რა დააბარე!

ტიმოთე. ქართლის ამირთ-ამირამ და ტფილისის გამგებელმა აბულასანმა ბრძანა: თუ ფეხზე დგეხართ, არ დასხდეთ, თუ სხედხართ, უმაღლ წამოხტით და მყის მობრძანდითო.

აბულასანი (მოუთმენლად). სამივესთან ვაგზავნე კაცი?

ტიმოთე. სამივესთან, ბატონო.

აბულასანი (გალიზიანებული). სამსავე დიდებულს ერთი მაცნე გაუგზავნე?

ტიმოთე. არა, ბატონო, როგორც მიბრძანე, ყოველ დიდებულთან თითო კაცი ვაფრინე, რომ დროულად გაიგონ და მოვიდნენ.

აბულასანი. მაშ, სად არიან ამდენ ხანს!

ტიმოთე. ვერას გეტყვით, ბატონო!

აბულასანი. გადი, გააფრთხილე, არ შეაყოვნონ, როგორც კი გამოჩნდებიან, აქ მომგვარონ.

ტიმოთე. ახლავე, ბატონო! (გადის).

აბულასანი მოუთმენლად დააბიჯებს სასტუმრო ოთახში. უსტარს აიღებს. უხმოდ კითხულობს. დროდადრო კითხვას შეწყვეტს, ფიქრობს, როგორც ჩანს, წაკითხულს აანალიზებს. ტიმოთე ბრუნდება.

ტიმოთე. დიდებულთაგანი გაბაონი გეახლათ, ბატონო.

აბულასანი (მოუთმენლად). რაღას უცდის, შემოვიდეს!

გაბაონი. (შემოდის). მოგესალმები, აბულასან, ხომ მშვიდობაა!

აბულასანი (უსტარს გაუწვდის). აჰა, წაიკითხე და თავად იხილავ, არის თუ არა მშვიდობა.

გაბაონი. (უსტარს შემფოთებული გამოართმევს. კითხულობს.). „დიდებულო და პატივქმნილო, აბულასან – ამირთ-ამირავ ქართლისა და გამგებულო ტფილისისა. (თავს ასწევს, აბულასანს შეხედავს). რამ შეგაშფოთა, მშვიდობა უნდა იყოს...

აბულასანი. იკითხე, იკითხე!

გაბაონი (კითხვას განაგრძობს). წევრო სამეფო დარბაზისა და ძალავ

მეფე თამარისა. ზანქან ზორაბაბელი – კეთილისმყოფელი და კვლავაც ერთგული ქართლის ამირთ-ამირასი, მდაბლად გიკრავ თავს და სალამს გიძღვნი ყიფიყეთიდან. კვლავაც მხნეობას, ძალოვნებას, ქვეყნისა და შეძენილ მტერთა იავარქმნას გისურვებ და საჭიროდ ვცნობ გაუწყო:

ტიმოთე (შემოდის). დიდებულთაგანი ჯორჯიკისძე გეახლათ, ბატონო!
ჯორჯიკისძე (შემოდის ხაზგასმულად მოკრძალებული ნაბიჯებით, სათნოდ მომღიმარე). მომიტანია მშვიდობა და სიკეთე!
აბულასანი. მობრძანდი, მობრძანდი, თავადო, აი, ზორაბაბელის უსტარი მივიღე ყივჩაყეთიდანა.
ჯორჯიკისძე (აგრესიულად). ზორაბაბელს უსტარის წერა კი არა, რუსთ უფლისწულთან მოლაპარაკება დაგვაღელთ.
აბულასანი. უსმინეთ! (გაბაონს). განაგრძე, თავადო.

4.

გაბაონი. (ჯორჯიკისძეს). ზორაბაბელი მოკითხვას უთვლის ამირთ-ამირას და... (კითხულობს). „და საჭიროდ ვცნობ გაუწყო: ვიხილე უფლისწული იური ბოგოლუბსკი – კვლავაც პირმშვენიერი, კეთილადნაგი, მხნეობით კი ნაკლული, რამეთუ მინდობია გლახაკთა გზას – მსმურობას“ (გაბაონი კითხვას შეწყვეტს).
ერიჰა! (ჯორჯიკისძეს და აბულასანს მიაჩერდება).

ჯორჯიკისძე (იჭვის, უნდობლობის ინტონაციით). რაო, რაო?!

გაბაონი (კითხულობს). „მინდობია გლახაკთა გზას – მსმურობს ყოველ ცისმარე დღესა, რაიც, ვაი, რომ ართმევს განა მხოლოდ ჯანის სისაღეს, უჭკნობს გონებას და ვინათგან ჭაბუკი ესე ვიხილე აჩრდილი იმისა, რასაც ველოდი, მაუწყე აზრი შენი, აბულასანი!“

ტიმოთე (შემოდის). დიდებულთაგანი თავადი ფარნავაზისძე!

ფარნავაზისძე (შემოდის მხნე ნაბიჯებით, აბულასანს მხარზე ეამბორება, გაბაონსა და ჯორჯიკისძეს გულთბილად, ღიმილით ჩამოართმევს ხელს). მოგესალმებით, მომაქვს გამარჯვება თქვენი – საქართველოს უკეთესნო შვილნო, როგორა ბრძანდებით, რასა იქმთ? (ახლალა შენიშნავს დამხდურთა შეშფოთებულ მზერას). თქვენი მზერა იმას მაუწყებს, რომ... (პაუზა). ცუდი ამბავია?

გაბაონი (უსტარს გაუწვდის). ჩვენგან გაგზავნილი დესპანის წერილი ყივჩაყეთიდან. (ფარნავაზისძე წერილს კითხულობს. დუმილი. თავადნი უხმოდ დგანან, მეტი მოუსვენრობა აბულასანს ეტყობა – დარბაზში მიმოდის).

ფარნავაზისძე (სავარძელში ეშვება). ერიჰაა! (ხელახლა კითხულობს წერილს).

აბულასანი. (მცირე პაუზის შემდეგ). რას იტყვით, როგორ ავხსნათ ეგ ამბავი? მეორე დღეა ვფიქრობ და ვერა-რა აზრს ვერ მივაკვლიე

დუმილი.

ფარნავაზისძე აბა, რა გითხრა, აბულასანი, თავადაც ხედავ, რომ ვერ არის კარგი მაცნე, მაგრამ... (ფრაზა აღარ დაამთავრა, ფიქრმა სძლია). არ ვიცი, ვერას ვიტყვი.

ჯორჯიკისძე (ცხარედ). უნდა გახსოვდეთ, მე თავიდანვე ვთქვი უარი ზორაბაბელზე.

აბულასანი (გალიზიანებული). არ ვიცი, არ მახსოვს, მაგრამ ახლა ეგ არის მთავარი? ახლა ის უნდა გადავწყვიტოთ, როგორ მოვიქცეთ, რა გზას დავადგეთ.

გაბაონი. კი, მაგრამ, რა უნდა გადავწყვიტოთ?

აბულასანი. ზორაბაბელი ჩვენს პასუხს ელოდება – გამართოს თუ არა მოლაპარაკება ბოგოლუბსკისთან, შესთავაზოს თუ არა მას მეფე თამარის მეუღლეობა.

ჯორჯიკისძე. ჯერ იმაზე, იფიქრეთ, დიდებულნო, რატომ, რისთვის მოიწერა ზანქანმა ეს უსტარი. რა სწადია?

აბულასანი (დადარაჯებული, როგორც ჩანს, ეს ის საკითხია, რომელიც ძლიერ აღელვებს, ცდილობს თავი არ გასცეს, მშვიდად). შენ რასა ფიქრობ, რატომ, რისთვის მოიწერა?

ჯორჯიკისძე (ერთხანს ღუმს). აბა, რა გითხრათ... იმისთვის ხომ არა, რომ ამ საქმის ჩაშლა სწადია? იმიტომ ხომ არა, რომ... (პაუზა.) საურმაგ სულკალმახისძესთან...

აბულასანი (შესძახებს). რას ამბობ! ასეთი რამ როგორ იქნება!.. არა, არ იქნება!

ჯორჯიკისძე. რატომ? რატომ არ იქნება?! მიპასუხე, აბულასან, ასე გჯერა ზორაბაბელისა, რომ არ იქნება?

აბულასანი. არა, არ ვიცი, მაგრამ...

ფარნავაზისძე. (თითქმის თავისთვის). მე კი სულ სხვა ფიქრი მდევს და ვგონებ, ეს არი მთავარი. (პაუზა.)

გაბაონი. რა ფიქრი გდევს, თავადო?

5.

ფარნავაზისძე ღუმს. დანარჩენნი დაძაბული შესცქერიან.

აბულასანი (ნერვიულად, გაღიზიანებული). ბრძანეთ, თავადო!

ფარნავაზისძე (აუჩქარებლად). თუ ზანქან ზორაბაბელმა ასეთი უსტარი მეფე თამარსაც გამოუგზავნა?

აბულასანი (ლამის შესძახებს). რაო, რა თქვი?!

ფარნავაზისძე. როგორ ფიქრობ, აბულასან, შეიძლება თუ არა, ზორაბაბელს ასეთივე უსტარი მეფე თამარისთვისაც გამოეგზავნა? (პაუზა. აუჩქარებლად კითხულობს). ვინ დამარწმუნებს, რომ ზანქანმა ასეთივე უსტარი მეფე თამარს არ გამოუგზავნა?

ჯორჯიკისძე დაბნეული შესცქერის გაოგნებულ აბულასანს.

ჯორჯიკისძე. რას იტყვი, აბულასან, ეგ შენი რჩეული, ასეთ საქმეს იზამდა?
აბულასანი ღუმს.

იზამდა თუ არა?

აბულასანი (ფიქრის შემდეგ). მე ვიცი: თამარ მეფისგან პატივდებულია, (ფიქრობს). მას შეუძლია მეფეს უსტარი გამოუგზავნოს, მაგრამ...

ღუმილი.

ჯორჯიკისძე. რომ შეუძლია, ეგ ერთია, გამოუგზავნიდა?

აბულასანი (აუჩქარებლად). არ ვიცი... ვერ გეტყვით, დაფიქრება...

ფარნავაზისძე. მე კი ასე გეტყვით: თუ ზანქან ზორაბაბელს ამ საქმის ჩაშლა სწადია, მეფეს უსათუოდ გამოუგზავნიდა უსტარს. ეს კი ჩვენს დამარცხებას ნიშნავს. და თუ მეფეს, არაფერი აცნობა, (პაუზა.) თუ მეფეს უსტარი არ გამოუგზავნა, ყველაფერს მოეკვება.

ჯორჯიკისძე. როდის მოვიდა უსტარი?

აბულასანი (თითქმის უმწეოდ). გუშინ, ვიდრე ბინდი ჩამოწვებოდა (ზარს რეკავს). უსტარის მომტანი აქა მყავს. მზე არ უნახავს დღესა (შემოდის ტიმოთე.) მიდი, შიკრიკს ღვინო ასვი, გაესაუბრე და გამოჰკითხე, ისე უბრალოდა: ზორაბაბელმა უსტარი კიდევ ვის გამოუგზავნა და ვისი ხელითა. (ტიმოთე აბულასანს თავს დაუკრავს და გადის). მთელი ღამე და მთელი დღე ამ უსტარზე ვფიქრობ,, ეგ კი არ მომსვლია აზრად. ზანქანს შეუძლია თამარ მეფეს უსტარი

გამოუგზავნოს: კაცი, რომელიც სამეფო დარბაზმა ქმრად უნდა დაგისას, მსმური ყოფილაო.

ფარნავაზისძე. რატომ, რად გიკვირთ, წარჩინებულნო, ზორაბაბელმა მეფეს აცნობოს საქართველოს მეფის ხვალინდელი ქმარი მსმელი და მფსმელი ყოფილაო! და თუ ეგრეა...

ჯორჯიკისძე (აბულასანს). და თუ ეგრეა, შენ განწირული ხარ! მეფე ძლიერ შეგრისხავს, რადგან შენ მოინდომე ბიზანტიის უფლისწული რუსთ უფლისწულით დავჩრდილოთო. ჩვენ კი მხარი მოგეცით

აბულასანი (ბრაზით). ჩემი ხათრით არა, განა ჩემი ნდომით მომეცით მხარი--საურმაგ სულკალმახისძის ბეჭებზე დაცემა გწადიათ. ლექსი კომნინოსს თქვენც ინდომებდით, მაგრამ ეგ ბიზანტიელი უფლისწული საურმაგ სულკალმახისძის, ივანე ფალავანდისა და ბალათერ თარხანისძის მეხოტბეა. აი, ამისთვის მომეცით მხარი!

ჯორჯიკისძე (აბულასანს შეუტევს). მაგით რისი თქმა გნებავს, განა? ერთად ვიყავით?

აბულასანი. არ ვიყავით? მაშ, რისთვის გიხმეთ. მე ნუ მამუნათებთ.

თქვენც ის გეწადათ, ალექსი კომნინოსი არ გამხდარიყო მეფე თამარის ქმარი!

6.

ფარნავაზისძე. დიდებულნო, თვალისჩინნო საქართველოსი, ახლა ფიქრი გვმართებს და არა ყვირილი. ერთად ვიყავით, მააშ! და კვლავაც ერთად უნდა ვიყოთ. მე ერთი მინდა გაგიცხადოთ: ვიცნობ ზორაბაბელს, გონიერ კაცად მეგულების და განა ვერ მიხვდებოდა: თუ ამ ამბავს მეფეს აცნობებდა, აბულასანს სწირ...

აბულასანი. (აწყვეტილებს). ისევ აბულასანი!

ფარნავაზისძე. (ღიმილით). იყოს ნება შენი, აბულასან: ჩვენ ყველას გვწირავდა. ნუთუ, ამას ვერ მიხვდებოდა?

ჯორჯიკისძე. რომ მიხვდა, სწორედ მაგიტომმოიქცა ეგრე — ის გააკეთა, რაც ხვალ წინ მეფის სიკეთით დაუხვდება (პაუზა). როცა საქმე მეფის კალთის ქვეშ ყოფნას ეხება...

ფარნავაზისძე. (ჯორჯიკისძეს). და შენ გგონია, რომ ზანქან ზორაბაბელი მეფის გულის მოსაგებად ჩვენ გაგვწირავს?

ჯორჯიკისძე. ეგ იმას ჰკითხე, ვისი რჩეულიც არის, (აბულასანზე მიათითებს). ამანა ბრძანა რუსთ უფლისწულთან ზანქანი გაგვზავნოთო.

ფარნავაზისძე. შენ რას ბრძანებ, აბულასან?

აბულასანი. არ ვიცი, უნდა ვიფიქრო.

ჯორჯიკისძე. სჯობდა, მანამ გეფიქრა, ვიდრე ენდობოდი, ახლა გვიანია.

ფარნავაზისძე. (ვერ გაარკვევ ხმამაღლა ფიქრობს, თუ შეკრებილთ მიმართავს). მან ხომ იცის, აბულასანის გაწირვა ეგრე იოლად არ ჩაივლის, ისიც იცის, რომ აბულასანი მარტო არ არის, თუ ჩვენ ზღვაში გადაგვაგდებს, ტალღები მოძლიერდება, ის ტალღები კი ვის სად მისწვდება, მიხვდები, განა? (დარბაზში მიმოდის, ჯერ ჯორჯიკისძეს აცქერდება, მერე გაბაონს). რას იტყვით, თავადნო?

ჯორჯიკისძე. თუ მეფის კალთას შეაფარებს თავს? მეფის კალთას შეაფარებულ კაცს ვერა-რა ტალღა ვერ მისწვდება.

გაბაონი. რა მოხდა, წარჩინებულნო, ასე რატომ ცხარობთ? ასე რად შეუპყრიხართ მღელვარებას?

ფარნავაზისძე. ნუთუ, ვერა ხვდები, თავადო, რა დღე გველის, თუ ზანქანმა თამარ მეფეს მოსწერა: კაცი, რომელიც სამეფო დარბაზის გადაწყვეტილებით ქმრად უნდა ჩამოგიყვანო, მსმელობისა და მფსმელობის მეტს არას იქმსო.

გაბაონი. (ფიქრმორეული). მაგრამ... მაგრამ...ვისზე უბნობთ მაგასა. ეგა ზანქან ზორაბაბელია-- ათას ჭირ-ვარამ გამოვლილი კაცი, ქვეყნიერება აქვს მოვლილი და განა არ იცის, რომ ტახტზე ახლადასული მეფე თამარის მჯობნი სამეფო დარბაზია, დღეს მეფე სამეფო დარბაზის ნების შემსრულებელია, მეფე სამეფო დარბაზის აზრს ვერ მოისვრის...(პაუზა). ვიცნობ მე მაგ კაცსა, კარგად ვიცნობ და ისეთ რამეს არ გააკეთებს...

ჯორჯიკისძე. ჰო, მაგრამ იმასაც ხომ ვხედავთ, მეფე თამარი ყოველდღე ცდილობს იავარქმნას სამეფო დარბაზი.

ფარნავაზისძე. ხომ ვერ იავარქმნა – ხომ მიიღო სამეფო დარბაზის განაწვეტი – ცოლად გაჰყვეს ბოგოლუბსკისა.

გაბაონი. ეს ერთი დიდებულნო, ეს ერთი დასტური იმისა, რომ ტყუილად შფოთავთ – არ მისწერდა ზანქანი მეფეს მაგ უსტარსა. ახლა მეორე: ავყვეთ იჭვსა, მივიღოთ ეგრე, რომ ზანქანმა გონი სადღაც დაჰკარგა და მისწერა წერილი ახლადნაკურთხ მეფესა. ბოგოლუბსკი მძელი და მფსმელიაო. მერე? რა მოხდა მერე!

ჯორჯიკისძე. აბა, რას ამბობ, დიდებულო! განა იმისთვის შეიძრა ქვეყანა, განა იმისთვის გაისარჯნენ სამეფო დარბაზის მრავალნი, რომ ღვინის მსმური მოგვეყვანა მეფე თამარის ქმრად და მეფე – ქმრად?

7.

გაბაონი (გაიღიმებს). არა, ეგ რითვინა! მე ვიცოდი, რომ ბოგოლუბსკი კარგი ყმაწვილი იყო, ღვთისმოსავობითა და მამაცობით შემკული, მაგრამ თუ მერე მსმელობას მიჰყო ხელი, განა სიზმრად ვნახავდი, არა, სიზმრად არ მინახავს, ხოლო იმითვინ რატო სიზმრად არ ნახეო, ვინ დამამუნათებს?

ჯორჯიკისძე. მაგისთვის ვერც ვერავინ დაგამუნათებს, მაგრამ... ეს ხომ...

აბულასანი. ეს ხომ იმას ნიშნავს, იური ბოგოლუბსკიზე ხელი ავიღოთ, იური ბოგოლუბსკიზე ხელის აღება კი ნიშნავს ბიზანტიის უფლისწული ალექსი კომნინოსი გავიხადოთ სიძედა...

გაბაონი (აწყვეტინებს). ჩინებული ჭაბუკია, რით არის ცუდი?!

აბულასანი. (დამრიგებლური ტონით). ცუდი იმით არის, რომ კომნინოსი საურმაგ სულკალმანისძის, ივანე ფალავანდის და ბალათერ თარხანისძის... დღეს გაიგე?(ხელს ჩაიქნევს).

დუმილი. სამეფო დარბაზის წევრ მწარე ფიქრი დაეუფლათ.

ტიმოთე (შემოდის). შიკრიკი ამბობს, უსტარი მხოლოდ აბულასანთან გამომატანეს, არც სხვა ვინმე წამოსულა ქალაქისკენაო.

აბულასანი. კარგი, კარგი! (ტიმოთე გადის).

ჯორჯიკისძე. ეგ არც რამეს ნიშნავს. შესაძლოა, ამან არც რამ იცის (დარბაზში მიმოდის. მორიდებულობის, მოკრძალებულობის ნატამალიც არ შერჩა). აბულასან, მაშ, შენ ამბობ, რომ უსტარი წუხელ მოვიდა?

აბულასანი. შებინდებისას.

ჯორჯიკისძე. და თუ ზანქანმა მეფესთან სხვა შიკრიკი აფრინა, მეფე თამარი უსტარს გუშინ დილით მიიღებდა. ზანქანი ჯერ მასთან გაგზავნიდა კაცს, მერე კი შენთან... შენ ვალის მოსახდელად გამოგიგზავნიდა... (ფიქრობს). იქნებ, გუშინწინაც

კი მიიღო... კი, ეგრეა. იქნება ჩავხვდეთ, რას გააკეთებდა მეფე უსტარის მიღებისთანავე?

დუმილი.

ფარნავაზისძე. ამას ვეღარ გამოიანგარიშებ — თამარი დღითიდღე იცვლება.

ჯორჯიკისძე. იცვლება, მაგრამ მაინც სამეფო დარბაზის ნებით თხოვდება... უნდა შევეცადოთ... მაინც შეიძლება ჩავხვდეთ...

ფარნავაზისძე (აბულასანს). უწინარესად, ალბათ, შენ უნდა მიეხმე... შენ თქვი, მე ვიცი, რუსთ უფლისწული დიდებული ყმაწვილიაო და ბოლომდე გაიტანე კიდეც... ამიტომ...

აბულასანი. ალბათ, ეგრე უნდა იყოს...

ფარნავაზისძე. და უნდა გითხრას, ბოგოლუბსკი საქართველოს სიძედ არ გამოდგებაო. ეგრეა?

აბულასანი. ალბათ, ეგრეა! ეგრეა, მაგრამ...

ჯორჯიკისძე. მიგიხმო?

აბულასანი. არა!

ფარნავაზისძე. მაშ, რა გამოდის? (დუმილი). რატომ არ მიგიხმო?

აბულასანი. გამოდის, რომ... გამოდის რომ არა-რა უსტარი არ მიუღია.

ფარნავაზისძე. ჰო, ეგრე გამოდის, მაგრამ...

ჯორჯიკისძე. თუ არ მიგიხმო, ეგ სულაც არ ნიშნავს იმას, რომ უსტარი არ მიუღია. იქნებ, არ ეცალა? ვინ იტყვის გუშინ რას აკეთებდა მეფე თამარი?

ფარნავაზისძე. მე არა ვიცი რა.

გაბაონმა თავი გააქნია, არც მე ვიციო.

აბულასანი. გუშინ? გუშინ დილას ამირსპასალარ გამრეკელ თორელთან ბჭობდა--

8.

შესადლოა, ტაოსკარში ბრძოლამ გვიწიოს. შემდეგ... შემდეგ მეჭურჭლეთუხუცესი კახაბერ ვარდანისძე იხმო.

ჯორჯიკისძე. გამოდის, რომ მეფეს არ ეცალა! აკი გითხარით!

აბულასანი. არა, არა!.. ძალიან ბევრი დრო ჰქონდა — სადილობისას მამიდა რუსუდანთან შევიდა, იქ ისადილა, მერე კი ერთად იყვნენ.

ჯორჯიკისძე. მთელი დღე?

აბულასანი. (მცირე ფიქრის შემდეგ). კი, ნაშუადღევს მერე... მცირე ხნით ისევ მეჭურჭლეთუხუცესი ეახლა, ეგ იყო და ეგ! დასაძინებლადაც იქიდან წავიდა.

ფარნავაზისძე. გამოდის, რომ გუშინ მეფეს ბევრი დრო ჰქონდა.

ჯორჯიკისძე. დღეს?

აბულასანი (ფიქრობს). ამ დილას ცხუმის ერისთავი ოთალო შარვაშისძე ეწვია. კარგა ხანს ბჭობდნენ. მეფემ ცხუმთან ნავთშესაყარი უნდა ააგოს. ამის მერე... ამის მერე... არაფერი. მეფის კარი არც არავის შეუღია. სადილად ისევ მამიდა რუსუდანთან დაჯდა. ახლაც იქ უნდა ბრძანდებოდეს.

ფარნავაზისძე. ეს კი უცილობლად იმას, ნიშნავს, რომ მეფე თამარს უსტარი არ მიუღია.

ჯორჯიკისძე. ჰო, ალბათ, ეგრეა, მაგრამ... (სავარძლიდან წამოდგება, დარბაზში მიმოდის). ალბათ, ეგრეა, მაგრამ... შორსგახედული ქალია რუსუდანი — იქნებ, გუშინაც და დღესაც სწორედ მაგ უსტარზე აქვთ ბჭობა. ხომ შეიძლება, მამიდამ

ურჩია ბოგოლუბსკიზე უარი თქვი, მსმელი და მფსმელი (ფარნავაზისძეს). ეგრეა, თავადო? მსმელი და მფსმელი ბოგოლუბს არად გვარგია, მეფე დემეტრეს კიევის მთავარი იზიასლავ მსტისლავისძე რომ ჰყავდა სიძედ, რა სიკეთე მოგვიტანაო? იქნებ, თამარმა ზანქანს უკვე შეუთვალა: მანდ არა გესაქმება, დაბრუნდიო.

აბულასანი. (ბრაზით შესძახებს). ეგ როგორ! მეფე ვალდებულია, სამეფო დარბაზის გადანაწევებს დაემორჩილოს.

ფარნავაზისძე. (ღიმილით). აბულასან, აბულასან, ძვირფასო, ნუთუ, ვერა ხედავ, დღევანდელი მეფე თამარი, გუშინდელს სულაც არა ჰგავს.

უთლულ არსლანის ამბოხი დავიწყებას ეძლევა. თამარი ისე მოძლიერდა, ნუ გაგიკვირდება, ხვალ გაგვკოჭოს. გინა, ქალებს დააკვირდი ჩვენსას, როგორნი გახდნენ – ქალის მეფობამ მეტი სილალე და ეშხი შემატათ.

ჯორჯიკისძე. ზორაბაბელმა გვიღალატა, გამოტყდი, აბულასან!

აბულასანი. (უჭირს აღიარება). თუ მეფეს უსტარი მისწერა, ეგრეა, ეს თითქმის ლალატია, მაგრამ... (ფიქრიანად...) მაგრამ...

ჯორჯიკისძე. თითქმის კი არა, ლალატია, აბულასან, ამიტომ, ალბათ, სასჯელიც უნდა გადაუწყვიტოთ!

გაბაონი. სწორად არ ირჯებით, წარჩინებულნო საქართველოსი. სწორ გზას არ ადგახართ.

ჯორჯიკისძე. ეგ რატომ?

ფარნავაზისძე. ჰო, რაღაც ეგრეა, სწორად არ უნდა ვირჯებოდეთ.

ჯორჯიკისძე. რატომ-მეთქი!

გაბაონი. ზანქან ზორაბაბელი ყივჩაყეთს იმისთვის გავგზავნეთ, რომ მოელაპარაკოს ბოგოლუბსკის, საქმე გაარიგოს და მერე აქ ჩამოიყვანოს სიძედა. ხო არა მეშლება რა?!

ფარნავაზისძე. ეგრეა!

გაბაონი. ჩავიდა ეს ჩვენი დესპანი და იხილა ბოგოლუბსკი ვერ არის კახაბერი--ვერ არის კაცი საღი – მსმელობასა და მფსმელობას წარუტაცნია. რა

9.

ჰქნას ზორაბაბელმა, მაინც წამოიყვანოს? არა, ეგ ეგრე არ ირჯება და ცამდე მართალია – ჩვენ გვაუწყებს სხვა კაცთან მივდიოდი და სულ სხვა ვიხილე, როგორ მოვიქცეო. ახლა ჩვენ ან თანხმობის უსტარი უნდა გავუგზავნოთ, ანაც...

ჯორჯიკისძე. გამოდის ჩვენზე ჭკვიანია!

გაბაონი. განა ყივჩაყეთს ჩასული შენც ეგრე არ გაირჯებოდი? ეგრე, ცხადია! აბა, რომელი ჭკვათმყოფელი იტყვის მსმური კაცი ჩამოვიყვანოთ მეფის ქმრადო.

აბულასანი. თავადო, თავადო, აბა, რად გვინდა ეგეთი ამბავი... მაგას ვინ ამბობს... ცხოვრება მოგესხენებათ: ზოგი მსმურია, ზოგი ყრუი, ზოგიც – ცვედანი...

გაბაონი. ანგელოს ქალწულ თამართან, მაგათ რა ხელი აქვთ!

ჯორჯიკისძე. ერთის წუთით, ერთის წუთით, ბატონებო! (პაუზა). აბა, რას იტყვით, ხომ შეიძლება, ეგ რუსი უფლისწული სულაც არ იყოს მსმური და... (ფიქრობს, დარბაზში მყოფთ გადახედავს).

ფარნავაზისძე. და ეგ ყველაფერი ზორაბაბელის მოგონილია?

ჯორჯიკისძე. არა?! ხომ კარგად იცნობთ ივანე ფალავანდსა – კაცსა ხარბსა და დაუნდობელსა. არც ვერაგი, ფლიდობით ცნობილი საურმაგია თქვენთვის უცნო და

არც მელაკულობით საქვეყნოდ ცნობილი ბალათერ თარხანისძე. ამათი დაღონიერებითა, ამათ ათქმევინეს ზანქანს ეგ აზრი, იქნებ, ამით ცდილობენ უმრავლესთა დამარცხებას სამეფო დარბაზში. თუ ჩვენ ამას დავეყაბულდებით, ყველაფერი გაუიოლდებათ.

(დარბაზში ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდება.)

ფარნავაზისძე. ღმერთსა ვფიცავ, ვერ გამიგია რას უნდა ნიშნავდეს უფლისწულის მსმურობას გადაყოლა. როგორ იქნება, ასეთმა კაცმა ღვინო ირჩიოს მეგობრად.

გაბაონი. რატომ, რისთვის უნდა ჰქმნას კაცმა.

ჯორჯიკისძე. მსმენია: არიან ადამიანები, სასმელს რომ ემიჯნურებიან.

ცოლზე, შვილზე უფრო ეგ უყვართ საბრალოთ.

აბულასანი. მაშ, რა ვქნათ, თავადნო, რა ვირჩიოთ – ბოგოლუბსკი და გამარჯვება, თუ ბიზანტიის უფლისწული და ჩვენი გაჩანაგება?

გაბაონი. აბულასან, დამარცხებას არავინ ირჩევს. ჩვენ სხვა არჩევანი უნდა გავაკეთოთ. ჯერ ის გადავწყვიტოთ, ვენდობით თუ არა ზანქან ზორაბაბელს, გვჯერა თუ არა მისი სიმართლისა. ბრძანეთ, თავადნო, გისმენთ. თუ ვენდობით, მისი უსტარიც უნდა მივიღოთ და ისე მოვიქცეთ, როგორც საქვეყნო შვილთ ეკადრებათ, თუ არ გვჯერა მისი, სხვაგვარად გადავწყვიტოთ... (დუმილი. სამეფო დარბაზის წევრნი თავჩაქინდრულნი ფიქრობენ). აბულასან, იქნებ, შენ ბრძანო, დღესა გჯერა ზორაბაბელისა? (დუმილი. ხაზგასმით). აბულასან, გელოდებით!

აბულასანი. (ყრუდ). კი, მე დღესაც ვენდობი.

გაბაონი. ღმერთმა სიკეთე მოგცეს სიმართლის თქმისთვის. (დანარჩენთ მიუბრუნდება). თქვენ რაღას ბრძანებთ?

დუმილი.

ჯორჯიკისძე. ცხადია, აბულასანი ენდობა--ზორაბაბელი მან შეგვირჩია!

გაბაონი. შენა, შენა თავადო, შენ თუ გჯერა ზორაბაბელისა? (დუმილი). გისმენ, თავადო! (დუმილი). მაშ, თავადი ჯორჯიკისძე არ ენდობა ჩვენს დესპანსა. (ფარნავაზისძეს მიუბრუნდება). თქვენ რაღას...

ჯორჯიკისძე. მე ეგრე არ მითქვამს. მე არ მითქვამს არ ვენდობი-მეთქი.

გაბაონი. ენდობი?

ჯორჯიკისძე. არც ეგ მითქვამს.

10.

გაბაონი. ან ერთი უნდა იყოს, ან – მეორე, სხვაგვარად როგორ იქნება!

ჯორჯიკისძე. არა, მე... მე არ ვიცი... პასუხს ვერ მოგცემ.

გაბაონი (ერთხანს უხმოდ შესცქერის ჯორჯიკისძეს. საბოლოო სიტყვას ელოდება). იყოს ეგრე. არც იქითა, არც – აქეთა. ჩემს აზრსაც გეტყვით: მე მჯერა, ზანქანი ჩვენს ზურგსუკან პირს არავისთან შეჰკრავდა. არც მეფეს მისწერდა უსტარსა. ჩვენ მოგვწერა ის, რაც გაიგო. მოსწერა იმას,

ვინც იქ გაგზავნა. (ფარნავაზისძეს). შენ რაღას ბრძანებ?

ფარნავაზისძე. ვიცნობ და მჯერა, აუგს არ იკადრებს.

გაბაონი. სიკეთე მოგცეს ღმერთმა მართლის თქმისათვის! რაღა დაგვრჩენია? მართალია, ბოგოლუბსკის სიძეობაზე თავიდანვე აბულასანი ალაპარაკდა და ჩვენც გვერდით დაუდევით...

აბულასანი (გალიზიანებული). ისევ აბულასანი!

გაბაონი. ნუ ჩქარობ, აბულასან, ერთად ვიყავით, ერთად უნდა ვიყოთ, ერთად მივიდეთ მეფე თამართან და ყოველი წვრილად მოვახსენოთ: ჩვენი კაცისგან შევიტყვეთ, რომ ბოგოლუბსკი ის არ გამოდგა, რაიც გვეგონა. იგი არ არის ღირსი იყოს მეუღლე მეფისა საქართველოსი. არჩევანი შენტვის მოგვინდია მეფეო, ვისაც თავად აირჩევ, სამეფო დარბაზის მრავალნი ყაბულს ვიქნებით.

გაბაონს არავინ შეეხმინა. არავინ მოუწონა წინადადება, არც დაუწუნა.

ჰა, რას იტყვიოთ, თავადნო. მეფესთანაც მართალნი ვიქნებით და ღმერთთანაც!

ჯორჯიკისძე. ოჯახთან, საკუთარ თავთან? ეგ ხომ იმას ნიშნავს, ოჯახებს ვუღალატოთ, განაჩენი გამოვუტანოთ! ხოლო ივანე ფალავანდს, საურმაგ სულკალმახისძეს, ყველას, ყოველ მათგანს – დარბაზის უმცირესთ – თოკი ჩამოვურიგოთ და ვთხოვოთ გაგვკოჭეო.

აბულასანი. ჩვენც არ ჩამოვურიგოთ, თავად მონახავენ და ისე გაგვკოჭავენ, მთელი სიცოცხლე ვერ გავიხსნათ.

ფარნავაზისძე. არა, თავადნო, ეგრე ნუ ვიჩქარებთ. ეგ შახსეი ვის სჭირდება, მე სხვა რჩევა მაქვს. (პაუზა. სამივემ იმედის მზერა მიაპყრო ფარნავაზისძეს). და ხნისაა რუსთ უფლისწული?

აბულასანი. ოცის და კიდევ ორის.

ფარნავაზისძე – ოცის და კიდევ ორი წლის ჭაბუკი. მან რომ იცოდეს, ხვალ საქარველოს მეფის მეუღლე გახდება, სხვაგვარად მოიქცეოდა, ზორაბაბელი მრავალგზის სწვევია ოჯახად, ახლაც ისა ჰგონია. ყვიჩაყეთში ჩამომხდარმა ზანქანმა მოსანახულებლად შეუარა. დღეს ზანქანი მისთვის ერთი ჩვეულებრივი სოვდაგარია და არა საქართველოს სამეფო დარბაზის დესპანი, რომ საქართველოს სიძედ წამოიყვანოს. მე ასე მგონია, ეგ კაცი თავის სვეს რომ შეიტყობს, მაგ სენს დასძლევეს.

ჯორჯიკისძე (მზერაგაბრწყინებული). თავადი მართალია, მე მომწონს ეგ აზრი. ამ ჩვენს დესპანსაც რა მსტოვრობის ჭია შეუჩნდა. ახლავე უბრძანე, აბულასან, დაამთავროს ეგ საქმე. უფლისწული აქ მოგვეგვაროს.

გაბაონი. ფარნავაზისძე ბრძნულად მსჯელობს. ჰაი-ჰაი რომ ეგ აზრი მე არ მეწვია!

ფარნავაზისძე. ასე რად იმზირები, აბულასან, განა არ მოგწონს, რაცა ვთქვი? (აბულასანი დარბაზში ბოლთას სცემს). გვითხარი რამე, აბულასან, განა ეგრე არ არის?

აბულასანი. აბა, რა გითხრათ...

ჯორჯიკისძე. გვითხარი არის თუ არა ეგრე!

აბულასანი. ალბათ, ეგრეა. (პაუზა. დუმილი დიდხანს გრძელდება).

11.

ფარნავაზისძე. აბულასან, რაღაცას გვიმაღავ. შენ უნდა გვითხრა, ეგრეა თუ არა! დუმილი.

აბულასანი. გითხარით აკი, ალბათ, ეგრეა მეთქი.

ჯორჯიკისძე. ეგ გვითხარი, აბულასან, მაგრამ ერთად ყოფნა იმას ნიშნავს, ამ საქმისა ყველაფერი ვიცოდეთ, შენ კი რაღაცას ვერ ამბობ.

ფარნავაზისძე. ნუთუ, ეგრე არ არის, აბულასან, ბოგოლუბსკიმ რომ იცოდეს რისთვის სტუმრობს ზორაბაბელი, ნუთუ, მაინც მსმურობას მიეტანებოდა?

აბულასანი (ყრუდ). არა, არ არის ეგრე!

ჯორჯიკისძე (გაოცებული, იქნებ, მრისხანედაც კი). რაო?

აბულასანი (ყველა დაძაბული ელოდება. ღუმს). რახან ერთად ვართ... ყველამუნდა ვიცოდეთ... ერთად მოვიფიქროთ.

ჯორჯიკისძე (მოთმინებადაღებული). დაგვამწყალობე, აბულასან!

აბულასანი. რუსთ უფლისწულმა კარგად იცის რისთვისაც ჩავიდა იქ ზანქან ზორაბაბელი.

ჯორჯიკისძე. ეგ როგორ!

ფარნავაზისძე. ხომ არ მომეყურა!

გაბაონი. რაო, რა ბრძანე?

აბულასანი (შეძახილებს ყურადღებას არ აქცევს). ზორაბაბელმა არა-რა იცის, მას დავეუძალე, თორემ იური ბოგოლუბსკისთან აღრევე გავგზავნე კაცი. ცხადია, ფარულად, ჯერ შევიპირე, სამეფო დარბაზზე კი მერე გავაცხადე ეგ ამბავი. მეფე თამარსაც მერეღა ვაცნობე.

ფარნავაზისძე. ჰარი ჰარაღე ჰარაღეე!

აბულასანი. ზორაბაბელი საქვეყნოდ ცნობილი, ქვეყნისთვის საჭირო კაცია, თან ბოგოლუბსკის იცნობს, ეგ მომავლისთვის და ქვეყნის დასანახად გავგზავნე, მან ჩამოიყვანოს-მეთქი.

ფარნავაზისძე (მელოდია გაასრულა). ჰარალი ჰარი ჰარაღეე!

გაბაონი (ცხარედ). აბულასან, აბულასან, შენ კი იცოდი, რომ ეგ უფლისწული მსმური იყო?

აბულასანი. არა, რას ამბობ, თავადო!

გაბაონი. მაგრამ დღეს გჯერა, რომ ასეა?!

აბულასანი (ყრუდ). მჯერა, კი. ზანქანი არ მოიტყუებს.

გაბაონი. დახეთ, თავადნო, უფლისწულმა იცის, რისთვისაც ჩავიდა ზანქანი, ყოველდღე ელოდება სიძეობის შეთავაზებას და მაინც არ შეიკავა თავი. არც ეცადა ზანქანისათვის, ესე იგი, ჩვენთვის, დაეძალა თავისი სენი. რას უნდა ნიშნავდეს ეს?

ჯორჯიკისძე. რას უნდა ნიშნავდეს, თავადო! არც საქართველო უღირს რაიმედ, არც მისი მეფე და არც – მისი დარბაზი. რა დამალული ეგ არის!

ფარნავაზისძე. ჰაი, გიდი, აბულასან, ჰაი გიდი, ეშმაკურად კი მოქცეულხარ, მაგრამ...

აბულასანი. იქნებ, არ უნდა მეთქვა, მაგრამ... იმიტომ გითხარით, რომ ერთადა ვართ და ყველამ უნდა ვიცოდეთ. ეს ერთი. მეორეც – იქნებ, ყველამ ერთად მივაგნოთ რაიმე აზრსა.

გაბაონი. აბა, სხვა რა აზრი უნდა იყოს, აბულასან, მეფეს უნდა გავუტყდეთ, უსათუოდ უნდა გავუტყდეთ მეფესა. იქნებ, ჯერ მამიდა რუსუდანთან მივიდეთ, მას მოვახსენოთ ყოველი.

ფარნავაზისძე. ვგონებ, ეგრე აჯობებს. გონიერი ქალი ბრძანდება. მეფეს ძლიერ

უყვარს. ზანქანს კი ვუბრძანოთ ხვალვე გამობრუნდეს უკან.

ჯორჯიკისძე (გალიზიანებული). რუსუდანთან რა ხელი გვაქვს, რა გვინდა რუსუდანთან, პატიება ვითხოვოთ? რისთვის?! მეფესთან მივალთ და ვეტყვით, რაც გავიგეთ, ჩვენს სიტყვას უკან წავიღებთ.

აბულასანი (პაუზის შემდეგ). ბატონი ბრძანდებით, ეგრე ვქნათ, მივიდეთ რუსუდანთან, ვთხოვოთ პატიება, მერე მეფე თამართან მოვიყაროთ მუხლი, ვეაჯოთ,

კი ბატონო, ეგრე ვქნათ, მაგრამ... (პაუზა). მერე? ეს ხომ ყველაზე იოლია, ეს ხომ უბრალო გამოსავალია, ამაზე უბრალო კი ის იქნებოდა, თქვენთვის თავი არ მომეყარა, არც არაფერი მემცნო – რა მოხდებოდა?! არც არაფერი, მაგრამ რახან ერთად ვართ, მე მეგონა, რაიმე გონივრულს მოვიფიქრებდით. (ღუმილი). ასე მგონია, დაგავიწყდათ ვისთან ვართ შებმული, არ ანგარიშობთ, სამეფო დარბაზის უმცირესნი რა დღეში ჩავგაგდებენ, თუ დავმარცხდით, არა მხოლოდ ჩვენ, ჩვენ-ჩვენი ოჯახები...

გაბაონი (მოუთმენლად) ასე რისთვის გვაშინებ, აბულასან, რა გწაღია?

აბულასანი. მე ის მწაღია, რომ ყველამ ერთად დავდოთ სასწორზე: ერთ მხარეს ბოგოლუბსკი, მეორე მხარეს ჩვენი დამარცხების სიმწარე. დარბაზის უმრავლეს წევრთა დამარცხება საქვეყნოდ სახარხარო საქმე იქნება.

გაბაონი. ჩვენი დამარცხება სახარხაროა, მაგრამ თუ სასწორის მეორე მხარეს საქართველოს მეფის მსმელ ქმარს დავსვამთ. ეს მთელი საქართველოს დამარცხებაა!

აბულასანი (ერთხანს თვალემმოჭუტული თითქოსდა, გამომცდელად მისჩერებია გაბაონს). ნუ ჩქარობ, თავადო, აგრე ნუ აჩქარდები. ამქვეყნად ზოგი ასეთია, ზოგიც... (პაუზა) მე ხომ ვიცი, შენ ძლიერ მოგწონს სამეფო დარბაზის წევრობა. გიყვარს ამქვეყნიური სიკეთენი, ხვალ კი... თუ ბოგოლუბსკის მხარდამჭერი იქნები, ვინ იცის, ხვალ როგორ დაგიფასდება ამაგი... შენს ოჯახს გუშინდელი დღეს აღარ აკმაყოფილებს, ხვალ მეტი მოუნდება, მეტი კი კარგად უნდა იცოდეს, ვის ხელშია.

გაბაონი. შეწყვიტე, ახლავე შეწყვიტე ეგ ვაჭრობა, აბულასან! მე ვხედავ, შენ მაინც მსმურ კაცს ირჩევ, მე კი მაგ საქმეს არ ვიზამ, თუმცა დარბაზის წევრობაც მიხარის და სხვა სიკეთენიც. თქვენს შორის ნულარ მიგულვებთ, თავადნო!(გასასვლელისაკენ გაემართება).

აბულასანი. რას აპირებ, თავადო?

გაბაონი. თქვენგან გაცლას, მეტს არაფერს. საქართველოს მეფეს ქმრად მსმურკაცს ვერ მოვგვრი. მშვიდობით ბრძანდებოდეთ! (კარს გამოაღებს).

აბულასანი (კარს მიუახლოვდება, მიუხურავს, მშვიდად). მე გირჩევ, ნუ აჩქარდები. მერწმუნე, ბოგოლუბსკის მხარდამჭერთ დიდი შვება და სინარული ელით. მოდი, ყოველი კარგად ავწონოთ. იმით დავიწყოთ,

რომ ვიკითხოთ: ვინ არის ბოგოლუბსკი? მიბრძანე, შენ მითხარი, გაბაონ, ვინ არის ბოგოლუბსკი?

გაბაონი. ჰო, ათასგზის გვითქვამს: მართლმადიდებელია.

აბულასანი. კიდევ? კიდევ რა სიკეთეს გვეტყოდი მისას. სამეფო სისხლი?

გაბაონი. კი, ბატონო, სამეფო სისხლისა არის და ეგ ძლიერ კარგია.

აბულასანი. კიდევ, გაბაონ, კიდევ? (ღუმილი, ელოდება რას იტყვის გაბაონი). ჰა? სხვა არაფერი?

გაბაონი. არა-რა, სხვა არა-რა ღირსება მაგას არ გააჩნია. ერთი ექსორიაქმნილი, უმიწაწყალო კაცია. ერთადერთი ბიძა მტრად მოკიდებული.

ჯორჯიკისძე (სიტყვას აართმევს, წინადადებას არ დაამთავრებინებს). ე მანდ კი უნდა შედგე, დიდებულიო. (გაბაონი გაკვირვებული, გაოცებული მიაჩერდება

ჯორჯიკისძეს). ნუ გამინაწყენდები, სიტყვა წაგართვი, მაგრამ ახლა ის ვნახოთ, ეს როგორია – კარგი თუ ცუდი?

გაბაონი. მაგას რა განსჯა უნდა – უნათესავოა, ექსორიაქმნილია. ცუდია, მააშ!

ჯორჯიკისძე. მაშ, შენ ამბობ რომ ცუდია?

გაბაონი. მაშა, მაშა, რა, განა ეგრე არ არი?

ჯორჯიკისძე (ერთხანს ყურადღებით აცქერდება გაბაონს). თუ ის გვწადია, მეფე უზენაესი იყოს და ჩვენი ბედი ხელთ ეპყრას, ცხადია, ვერ არი კარგი, ცხადია...(გაბაონს დაბეჯითებით შესცქერის). მაგრამ... დიდებულო... ჩვენ რომ სხვაგვარად ვფიქრობთ... ჩვენ ეგეთი მეფე არ გვწადია... მეფე დარბაზის გამგონე და მისი გადაწყვეტის უსიტყვო აღმსრულებელი...

გაბაონი. (შეძრწუნებული) რაო, რას ამბობ, ვეჟო!

გაბაონის შეძახილს ღუმილი მოჰყვა.

აბულასანი. (სავარძლისაკენ გაემართება, შიგ მოკალათდება. შეგონებით). დიდებულო, ჩვენო ძვირფასო გაბაონ, ღონიერი, ძლიერი მეფე-ქმარი თამარს ძალას განუმტკიცებს. შენ ისლა დაგრჩება, მეფის ყოველ სიტყვაზე პირზე ღიმილი მოიღო. ხმას კი ვერ ამოიღებ, მაგრამ თუ... (ღუმილი). თუ ის მსმური და... აზრმიბნედილი იქნება, ქვეყნის ჭაპანი ვინ უნდა ზიდოს? ვინ უნდა გადაწყვიტოს ბედი ქართვლისა? ჩვენ, დარბაზმა, დიდებულთ და არა მეფემ – ერთმა კაცმა. (ღუმილი). გაბაონ, მსმური და უძლური ვერც ჯარს გაუძღვება, ეს საქმეც, ცხადია ჩვენ უნდა ვითაოთ, რადგან ქვეყანას პატრონი სჭირდება. ეგ პატრონი კი ვინ არის? შენა გაბაონ, აი, ფარნავაზისძე, ჯორჯიკისძე, მე... ჩვენ შვებას და სიხარულს სამშობლოს ასეთი სამსახური მოგვანიჭებს.

გაბაონი. შვებაცა და სიხარულიც ღმერთმა უნდა მომანიჭოს და არა ბოგოლუბსკიმ!

ჯორჯიკისძე. ნუ იზამ ამ საქმეს, თავადო, ნუ აჩქარდები, დავსხდეთ, ავწონ-დავწონოთ, კარგად მოვიფიქროთ.

გაბაონი. ჩუდადა სჯით, ძმანო ჩემნო, ძლიერ ცუდადა: უცხო, გადამთიელი გეორგუნავდა-- ხან არაბი, ხან თურქ-სელჯუკნი, ვემინავდით, ვოხრავდით, თავისუფლებას ვნატრობდით. აჰა, მოგვეცა თავისუფლება--ჩვენივე ბედის გამგებლობა და გუშინ გატროუნულნი, ხმაჩაკმედილნი, დღეს საკუთარ მეფეს რას ვუშვრებით! ნუთუ, მხოლოდ მოძალადის შიშით ვართ ქვეყნის სიკეთეზე მოფიქრალნი, ნუთუ, მხოლოდ მათრახია ჩვენი მომთვინიერებელი და უძისოდ სამშობლოს მტრობაც შეგვიძლია (კარს გააღებს და გაბრაზებული გადის).

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდება. გამეფებულ სიჩუმეში თანდათან გამოიკვეთება ვიღაცის სიცილი. ეს აბულასანია. სიცილი თანდათან ძლიერდება.

ფარნავაზისძე და ჯორჯიკისძე გაოცებულნი შესცქერიან.

ფარნავაზისძე (გაუბედავად). ხომ კარგად ბრძანდებით, ამირთამირავ!

აბულასანი (გულიანად იცინის. რაღაცის თქმა სწადია, სწადია პასუხი გასცეს ფარნავაზისძეს, ვერ ახერხებს – სიცილს ვერ იოკებს). კი... კი...

ფარნავაზისძე. წყალს ხომ არ ინებებთ?

აბულასანი. არა, არა! (კვლავ იცინის). კი, კი, კარგად ვარ, ძალიან კარგად, თვალწინ წარმომიდგა რა დღეში ჩავარდება გაბაონი საქართველოში ჩამოსული ბოგოლუბსკი მსმურობას რომ შეეშვება და თავისი მხარდამჭერები პატივში ეყოლება. ჰო, როგორ დაეკოდება გული!

ჯორჯიკისძე. იქნებ, გვაუწყო, რა შვებასა და პატივზე საუბრობ?!

აბულასანი. შვებაც დიდი იქნება და სიხარულიც, თავადნო!

ჯორჯიკისძე. ხომ უნდა ვიცოდეთ, რა გველის.

აბულასანი (შეგონებით). უნაკლო ადამიანი ღმერთს არ გაუჩენია. რამდენი მეფე

გამხდარა თრიაქის კერძი, რამდენს ნადირობის სიყვარულმა მოუღო ბოლო, ხოლო მეფსალმუნე მეფე დავითს ქალმა ჩაადენინა დიდი ცოდვა. მსმურობის გამო ამ საქმის ჩაშლა არ ეგების. ჩამოვიდეს ბოგოლუბსკი. მეფე-ქმარი რომ გახდება, სხვაგვარ ფხას გამოიჩენს. ეგრეც მოხდება! ხოლო თუ ახლა ჩვენ უარს ვიტყვით და დარბაზის უმცირესთა ყბაში ჩავვარდებით, დავგლაკანდებით, დავჩიავდებით. დღეს აღრეა ლაპარაკი იმაზე, თუ როგორ დავკვიფასებს ამაგს მეფე-ქმარი.

ჯორჯიკისძე (გაფრთხილების ტონით). მაგრამ ისიც არ გამოვა, აბულასან, ეგ შვება მხოლოდ შენთვის იყოს, ჩვენ კი...

აბულასანი. შვება-სიხარული ყველას გველის, აკი გითხარით.

ჯორჯიკისძე. კი ბრძანე, მაგრამ... შვებაც არის და შვებაც! შენ სუფრის თავში დაჯდე და ჩვენ ნამცეცობაზე დავკვიფავ, ეგრე, არ გამოვა!

ფარნავაზისძე. აბა, დააკვირდი, აბულასან, გაბაონმა კარი გაიხურა, არ ისურვა ამ საქმეში გარევა. ჩვენც რომ მის გზას დავადგეთ, ჩვენც რომ წავიდეთ, რად ეღირება შენი ამდენი გარჯა-მეცადინეობა!

აბულასანი (იცინის). მრავალნი მხოლოდ თქვენ არა ხართ.

ჯორჯიკისძე. ჩვენი ჩავონებით დადგენ ისინი შენს გვერდითა, ჩვენი შეგონებით.

აბულასანი. არა მხოლოდ თქვენი, დიდი გუნდია, ჩვენ ბევრნი ვართ და კვლავაც ერთად უნდა ვიყოთ.

ჯორჯიკისძე. ბატონი ხარ, ვიყოთ ერთად, არც მე მინდა იმ გველაძუა საურმაგის საქილიკოდ გავიხადო საქმე, ეგენი უნდა დათრგუნო, ყველა უნდა დაითრგუნოს ეგენი, მაგრამ ისე არ მოხდეს, აბულასან, რომ ბოგოლუბსკის მხოლოდ შენ წარუდგე: რომ არა ჩემი ნება, მეფე თამარის ქმარი ვერ გახდებოდიო. ჩვენ კი გაღმა ნაპირიდან შემოგცქეროდეთ.

აბულასანი. მაგ სიტყვების თქმის საბაბი მომიცია, განა?!

ჯორჯიკისძე. მოგიცია! ამიტომ ახლავ უნდა დავთქვათ, ვინ სად დადგება.

აბულასანი. განა მითქვამს, მე წინა და თქვენ უკან-მეთქი, მე ვთქვი ერთად-მეთქი.

ჯორჯიკისძე. ეგ კი თქვი, აბულასან, მაგრამ... ბოგოლუბსკის სიძეობა განა შენი ნავარდობისათვის ვინდომე!

ფარნავაზისძე ასე მგონია, ჩქარობ, თავადო – დღეს სხვა რა გითხრას აბულასანმა. დღეს მთავარია სამეფო დარბაზის უმცირესთ არ ჰპოვონ გამარჯვება უმრავლესზედ. სამეფო დარბაზის გადაწყვეტილებას ჩვენვე უნდა ვცეთ პატივი, დღეს მთავარია ბოგოლუბსკი ჩამოვიყვანოთ და ქორწილიცა ვქნათ, მერე ყველაფერი იქნება. ქართლის ამირთ-ამირა ამბობს, ერთად ვართ და ერთად ვიქნებითო.

ჯორჯიკისძე. მაშ, აბულასან – ქართლის ამირთ-ამირავ და გამგებელო ტფილისისა, შენ გვპირდები, რომ შვება, სიხარული ყველას ერთნაირად შეგვხვდება?

აბულასანი. (პირჯვარს გადაიწერს). ეგრე მითქვამს და ეგრეც იქნება! შვება-სიამე ყველას შეგვხვდება.

ჯორჯიკისძე. მაშ, დაჰკა ხელი! (აბულასანს მარჯვენას გაუწოდებს. აბულასანი ღიმილით დაჰკრავს მის მარჯვენას). შენა, თავადო?

ფარნავაზისძე. მეც თქვენთანა ვარ, ცხადია, მეც თქვენთანა ვარ (თავისი მარჯვენა ჯორჯიკისძისა და აბულასანის ხელებს დაადო).

ჯორჯიკისძე. ეგრე!

აბულასანი. ღმერთმა ბედნიერი ქმნას ჩვენი გადაწყვეტილება!

ჯორჯიკისძე. ეგრემც იქნება, მე მჯერა, რომ ეგრე იქნება, მაგრამ

ზანქანს უნდა მაგარი შეძახილი – რატომ, რისთვის აჭიანურებს ამ საქმეს. სამეფო დარბაზმა დესპანად გაგზავნა, ამოდენა პატივი დადო ქვეყანამ.

ფარნავაზისძე. მაცნე ახლავე გავაბრუნოთ, უსტარიც ისეთი გავატანოთ, საქმე აღარ დააყოვნოს.

აბულასანი. უსტარი?! (ზარს დარეკავს. შემოდის ტიმოთე). შიკრიკი შემოიყვანე!(ტიმოთე გადის). უსტარი! (ზანქანის უსტარს აიღებს, სანთელთან მიიტანს და ცეცხლს უკიდებს). ეს უსტარი ჩვენ აღარ გვჭირდება. ზანქანის უსტარი არ არსებობს.

ჯორჯიკისძე მართალი ხარ, ეგ განა იმისთვის გავგზავნეთ, იქიდან უსტარნი გვიგზავნოს. მას მეფისწულის ჩამოყვანა ევალება, მეტი არაფერი!

შემოდინ ტიმოთე და გურუ.

აბულასანი. მაშ, შენა ხარ ზანქანის შიკრიკი?

გურუ. მე გახლავარ.

აბულასანი. როგორ ბრძანდება შენი ბატონი, რასა იქმს?

გურუ. რახან ყოველდღე სტუმრად დაბრძანდება, ცუდად არ უნდა იყოს, სხვა არა ვიცი რა!

აბულასანი. ახლავე უნდა გაეშურო ყივჩაყეთს.

გურუ. მზადა ვარ.

აბულასანი. საქმე ძლიერ საშური, ძლიერ საშური, გესმის?

გურუ. უსტარს გამოგატანსო.

აბულასანი. უსტარი არ იქნება! უსტარის არც წერა მიყვარს, არც – კითხვა.

გურუ. ეგრე ვეტყვი.

აბულასანი (გურუს მიუახლოვდება. ხაზგასმით.) შენს პატრონს ის უთხარი, რაცგეწადოს, მთავარი კი ოთხი სიტყვაა, უსტარის სანაცვლო ოთხი სიტყვა. გაიგე?

გურუ. ჯერ არ გითქვამს, რა უნდა გამეგო!

აბულასანი. საქმეს ნულარ აყოვნებ, ზანქან! (გურუს თვალებში ჩასცქერის). არგად დაიხსომე ეს ოთხი სიტყვა: საქმეს ნულარ აყოვნებ, ზანქან! გაიმეორე!

გურუ. საქმე ძლიერ არ დააყოვნო, ზანქან?!

აბულასანი. რას ამბობ, კაცო!

გურუ. რახან ეუბნები ნულარ აყოვნებო, დაუყოვნებია და ეგ არი!

აბულასანი. მერე?

გურუ. მერე რაღა!

აბულასანი. ახლა რაღას ეუბნები?

გურუ. ჰო, აღარ დააყოვნოს!

აბულასანი. ჰო, საქმეს ნულარ აყოვნებ, ზანქან!

გურუ. ეგრე ვეტყვი.

აბულასანი. ამხელა კაცი ოთხ სიტყვას როგორ ვერ ჩაიტან ყივჩაყეთში.

გურუ. გინდაც ოთხჯერ ასი იყოს.

აბულასანი. ეგრე, მე შენ მომწონხარ, შიკრიკო! ტიმოთე, ხმალი მიჩუქნია მაცნისათვის, ნიშნად იმისა, რომ ძლიერ მომწონს. გასწი, ღლეც უნდა იარო და ლამეც!

ჯორჯიკისძე (გურუს). შენს ბატონს ჩემგან მოკითხვა გადაეცი, სამეფო დარბაზის წევრი ჯორჯიკისძე პატივით გიხსენებს-თქო, უთხარი.

გურუ. ეგრე ვეტყვი, ბატონო!

აბულასანი. მაგრამ მთავარი ის ოთხი სიტყვაა. რაო, როგორა ვთქვი?

გუჩუ. საქმეს ნულარ აყოვნებ, ზანქან!

აბულასანი. აბა, ვინა თქვა, რომელმა, ეგ შიკრიკი ხმლის ღირსი არ არისო!

16.

ფარნავაზისძე. ყოფილა, ყოფილა!

აბულასანი (ტიმოთეს). ამისი ცხენი აქ დაიტოვე, ამას კი საჯინბოში ყველაზე კარგი ცხენი შეურჩიე, თან ორი რჩეული ვაჟკაცი გააყოლე, გზად არავინ შეაყოვნოს.

გუჩუ. მაღლობელი ვარ, ბატონო! (გუჩუ და ტიმოთე გადიან).

აბულასანი (გასძახის). ტიმოთე, ტიმოთე-მეთქი! (შემოდის ტიმოთე.) ეგ რა არი, რა ბნელში გვამყოფებ, არა გრცხვენია?

ტიმოთე. ახლავ, ბატონო, ახლავ იქნება.

ტიმოთე სასანთლებს დაუვლის, თანდათან ანთებს.

აბულასანი. ახლა კი, აგე, ამ სუფრას შემოვუსხდეთ, ამ უსტარმა ისე დამაკარგვინა მოსვენება, მთელი დღე პური არ გამიტეხია!

სუფრა წინა პლანზე მოდის. შეკრებილნი სუფრას მიუსხდებიან.

მობრძანდით, დაბრძანდით, დავილოცოთ, ეგ მეოთხე სკამი გაბაონისა იყო, მაგრამ... რა გაეწყობა. (თან ჯამებში ღვინოს ასხამს). თავად ირჩია.

ჯორჯიკისძე. ჰო, რა კარგი სუნი აქვს პურსა!

ფარნავაზისძე. ან ღვინო რა სურნელს აფრქვევს. იფ, იფ, იფ! არც გეწადოს, თავს შეგასმევიანებს.

აბულასანი. ზედაზნის თავკვერია.

ჯორჯიკისძე. დალოცვილი მიწა გვაქვს, თავადნო, დალოცვილი!

ფარნავაზისძე. წყალი? მდინარენი? აბა, ეს თევზი იხილეთ!

აბულასანი. მართლაც დიდებულია, ფხალი მოგართვათ?

ჯორჯიკისძე. რატომაც არა, რატომაც არა!.

ფარნავაზისძე. ეგრე რად მოსწონდათ, გადამთიელთ ჩვენი მიწა? იმად რომ კურთხეულია, მაგრამ მეფე დავითმა სამარედ უქცია საქართველო.

აბულასანი (თასს ასწევს). ჩვენს მეფეს გაუმარჯოს, მზე თამარსა! მისის მოთავე ობით მტერს გავუმკლავდებით!

ჯორჯიკისძე. დედას არ ვუტირებთ, რო!

ფარნავაზისძე. მე უნდა გითხრათ, რომ ძლიერ მიყვარს მეფე თამარი.

აბულასანი. დიდება საქართველოს მეფეს!

ჯორჯიკისძე. დიდება ნორჩ მეფე თამარს, საქართველოს გონებასა და სულს!

ფარნავაზისძე. ყმაწვილია ჯერაც, ჩვენუნდა გავუფრთხილდეთ, ჩვენა.

ჯორჯიკისძე. ეგრეც იქნება, დარდი ნუ გაქვს!

სამივე ერთდროულად სვამს. ჯორჯიკისძე ჯამს გადმოაპირქვავენ და მრავალჯამიერს წამოიწყებს. ფარნავაზისძე და აბულასანი აჰყვებიან. ტკბილად მღერიან. შემოდის გაბაონი.

გაბაონი. ისევე სალამი მითქვამს, თავადნო!

აბულასანი (გაოცებული შესცქერის გაბაონს, ხელს აიქნევს, სიმღერა შეწყდება). ეგ როგორ?!

გაბაონი. სალამი მითქვამს-მეთქი, ხალხნო!

აბულასანი. მობრძანდი, თავადო, სტუმარი ღვთისაა, მაგრამ... რას მივაწერო შენი სტუმრობა?

გაბაონი. მთავარი ის არის, რომ მე აქა ვარ.

აბულასანი. მაშ, დაბრუნდი? რა ხდება?

გაბაონი მოგახსენებთ, ყველაფერს წვრილად მოგახსენებთ.

აბულასანი (ჯამს შეავსებს, გაბაონს გაუწოდებს). მეფე ვაღლეგრძელეთ, შესვი, გაამოს! შენა გგონია, ჩვენ მეფის ორგულნი ვართ.

ჯორჯიკისძე (სიცილით). ყველაფერს თავისი დრო და ფასი აქვს: ნაშუადღევს შენ შეარჩევდი რომელ სკამზე დამჯდარიყავ, აი, მას შემდეგ, რაც გაგვეცალე,

17.

სულმოკლეობა გამოიჩინე, ის ფასი აღარ გაღვეს, იმ სკამზე დაჯდები, სხვებმა რომ არ ინდომეს.

გაბაონი (აბულასანს თასს ჩამოართმევს. ღიმილით). თავადო. ხარი ჯერ დაკალით, ტყავი მერე გაიყვით (თასს ასწევს). ჩვენს საყვარელ მეფეს დიდება, მზე თამარს გაუმარჯოს! (დაცლის, ღიმილით ჯორჯიკისძეს). მე თქვენთან არ დავბრუნებულვარ. მაგ თქვენს პირობას არ ვღებულობ. ამ ცხოვრებაში არაფერი დამიკლია ერთის კი არა, ათი კაცისა მიმიღია. ღვთის წყალობით, არც ხვალ დავიკლებ. (ყველა იცინის.)

ჯორჯიკისძე (თასს ასწევს). ჩვენს ბრძენ აბულასანს გამარჯვება! რა ჭკვიანი კაცია, კაცოლოუ, რა ჭკვიანი! როგორ მოიფიქრა ეგ რუსთ უფლისწული, საიდან სადაო, რა ვქნა, ეგ ნაკლი მჭირს, აბულასან, ძლიერ მიყვარან ჭკვიანი კაცნი და შენ გაგიმარჯოს!

ფარნავაზისძე. აბულასანს დიდება! ეგ რომ არა, ჩვენ უმრავლესნი უქმად ვისხდებოდით.

ჯორჯიკისძე. აბულასანმა გვაქცია მრავლად.

ფარნავაზისძე. ეგრეა. ბრძენი ხარ, აბულასან, ბრძენი, გაგიმარჯოს!

ჯორჯიკისძე. შენის ჭკუითა და მოხერხებითა, აბულასან. უმცირესთ მუხლებზე დავცემთ.

აბულასანი. გმადლობთ, გმადლობთ, ყველას გაგვიმარჯოს, უმრავლესს დიდი გამარჯვება სჭირდება და ეგრეც იქნება.

სვამენ. ჯორჯიკისძე კვლავ სიმღერას წამოიწყებს. გაბაონი ისევ წამოდ-გება, რალაცის თქმას აპირებს.

ჯორჯიკისძე. (სიმღერას შეწყვეტს, გაღიზიანებული). რამდენჯერაც სიმღერა წამოვიწყე, იმდენი წამოდექ, მაცალე!

გაბაონი. ნუ მიწყენ, თავადო, იმისთვის არ მოვსულვარ რომ თქვენი ნაფიქრი გავიზიარო (პაუზა) ცუდი ამბავიც მომაქვს.

აბულასანი (შეშფოთებული). რა ამბავია!

გაბაონი. დღეს საქართველოში საურმაგ სულკალმახისძეზე უბედური ადამიანი არ არის.

ფარნავაზისძე. ასეთი რა მოხდა!

გაბაონი. თქვენ კი სუფრასთან ისხედით, პურის ჭამის ჟამი არ გვიდგას.

ჯორჯიკისძე. ეგრე რად გვაწიოკებ, რად არ გვეუბნები, რა მოხდა!

გაბაონი. საურმაგს შვილი დაეღუპა, ერთადერთი ბიჭი.

ჯორჯიკისძე (აღელვებული). აბა, რას ამბობ დიდებულო, უშუ?!

გაბაონი. სანადიროდ ყოფილა, დათვს დაუგლეჯია მთასავით ბიჭი. ორიოდ საათის წინ ნახევარი შვილი მოუყვანეს საურმაგსა.

მწუხარე ღუმელი.

აბულასანი. (წამოდგება). პურისჭამა მომავლისათვის გადავლოთ, ახლა ყველანი იქ უნდა წავიდეთ, დღეს საურმაგს, ჩვენი გამხნეება სჭირდება.

ყველანი წამოიშლებიან. გვესმის წამოდახილები:

ჯორჯიკისძე. ჰოი, საბრალო საურმაგი!

ფარნავაზისძე. ჰაი, ჰაი, საურმაგი!

გაბაონი. ის ყმაწვილი?! საბრალო ბიჭი!

ტიმოთე (შემოდის). ბალათერ თარხანისძე და ივანე ფალავანდი გეახლნენ, თქვენს ნახვას ეშურებიან.

აბულასანი (გაოცებული). ვინა? ხომ არ მომეყურა!

ფარნავაზისძე, ჯორჯიკისძე, გაბაონი დაბნეულნი გადახედავენ ერთმანეთს.

18.

ტიმოთე. ბალათერ თარხანისძე და ივანე ფალავანდი მობრძანდნენ.

ჯორჯიკისძე (ბრაზით). უმცირესთა მეთაურნი? მაგათ აქ რა უნდათ!

ფარნავაზისძე. საიდან სადაო, აქ რამ მოიყვანათ!

გაბაონი. რალაცა ხდება, დიდებულნო, რალაცა ხდება!

აბულასანი. კი, მაგრამ... (პაუზა). საურმაგისას მივდივარ.

ტიმოთე. მოვახსენე, სტუმრები ჰყავს-მეთქი. კარგად ვიცით, ვინცა ჰყავს და მაგიტომაც მოვედითო.

ფარნავაზისძე (დანარჩენთ გადახედავს მრავალმნიშვნელოვნად). მაგიტომაც მოვედითო?!

ტიმოთე. ეგრე თქვეს.

ჯორჯიკისძე. მაგ ძელა ფალავანდს რა გამოეპარება!

გაბაონი. მეგობრის შვილი გარდაეცვალათ, რა დროს სტუმრობაა!

ფარნავაზისძე. ეგენი სტუმრად არ მოვიდოდნენ.

გაბაონი. რალაცა ხდება, დიდებულნო, რალაცა ხდება!

აბულასანი (პაუზის შემდეგ. ტიმოთეს). შემოვიდნენ!

ჯორჯიკისძე. ეგრე ნუ ჩქარობ, აბულასან, ნუ ჩქარობ ეგრე!

აბულასანი(ტიმოთეს).შესდექ!(ჯორჯიკისძეს უკმაყოფილოდ).რა ხდება?!

ჯორჯიკისძე. ცოტა იცადონ, იქნება, ჩავხვდეთ,რამ მოიყვანა. ეგენი ჩვენს სასიკეთოდ არ მოვიდოდნენ.

აბულასანი (ჯორჯიკისძის სიტყვებს გაიაზრებს. ტიმოთეს). ეგრე უთხარი, ახლავე-თქო, დაგიძახებ.

ფარნავაზისძე. იმისთვის მოდიან, რომ აყალმაყალი აგვიტეხონ!

ჯორჯიკისძე. ან აყალმაყალი სწადიათ, რომ მერე საქვეყნოდ იძახონ, სამეფო დარბაზის უმრავლესნი გვჩაგრავენო, (დანარჩენთ შეკითხვით მიაჩერდება). ან კიდევ...

ფარნავაზისძე. სწორედ ეგრეა. აყალმაყალი!

გაბაონი (ფიქრობრეული). არა, დღეს ეგენი აყალმაყალისათვის არ მოვიდოდნენ.(ფიქრობს). სხვა ამბავია... რალაცა ხდება.

აბულასანი(ფრთხილად). რუსთ უფლისწულის სენი მაგათაც შეიტყვეს?

ჯორჯიკისძე. მაშ, გვიღალატა ზორაბაბელმა და ეგ არის!

ფარნავაზისძე (ფიქრობს). ივანე ფალავანდს კარგი მსტოვრობა ჰყავს. მაგისი კაცები საქართველოს მიღმაც დადიან.ხომ გახსოვთ, სომხითში რა დღე აწია იშმაელიანთ. მსტოვრების წყალობითაც... მსტოვრებმაც დიდად შეუწყეს ხელი...

ჯორჯიკისძე. უარი, ცივი უარი!

ფარნავაზისძე. თუ თავისი ხალხი ყივჩაყეთს გაგზავნა...

აბულასანი. მაგას ყივჩაყეთსაც ეყოლება თავისი კაცები, მაგრამა... (ფიქრობს). არა ვგონებ, ბოგოლუბსკი არავის გაიკარებდა. მან იცის ჩემგან ვინც მივიდოდა.

გაბაონი. ეგ კი, მაგრამა, ხომ შეიძლება, მსტოვრებმა სხვათა ძალოვნებით...

ჯორჯიკისძე. უარი-მეთქი, მტკიცე უარი. იწყონ მტკიცება თავიანთი ნამსტოვრობისა. სად მივლენ? მეფე თამართან!

ფარნავაზისძე. ამასობაში ბოგოლუბსკიც აქ იქნება.

დადაბული ღუმილი. ყველა ფიქრს მიეცემა.

ჯორჯიკისძე. და თუ ასეა...

აბულასანი (გადაწყვეტილება მიიღო. ზარს რეკავს. შემოდის ტიმოთე). შტუმარი ღვთისაა, სთხოვე! (ტიმოთე გადის).

ჯორჯიკისძე. ხომ არ ჩქარობ, აბულასან?!

ფარნავაზისძე. ჩვენ ვერაფერს დავთმობთ, აბულასან, ვერაფერს!

19.

გაბაონი (ირონით) ჰო, ჰო გაუფრთხილდით, გაუფრთხილდით!

შემოდინ ივანე ფალავანდი და ბალათერ თარხანისძე

ფალავანდი (ლიმილით, ალერსით). საქართველოს ერთობ წარჩინებული, ბელისგამრიგე შვილები აქ შეკრებილან და მე ვინ შემიძღობს, მდაბლად რომ არ დავუკრა თავი!

თარხანისძე (ხელებს ფართოდ გაშლის. სიხარულმორეული). თავადნო, ქვეყნის ღირსების დასტურნო, სალამი მითქვამს და გამარჯვება მისურვებია!

აბულასანი (თავშეკავებით). მოგესალმებით, მობრძანდით, მოხარული ვართ, თქვენი სტუმრობის.

ჯორჯიკისძე. (ფალავანდისა და თარხანისძის მისალმების სიტყვები ირონიად მიიჩნია, ამიტომ ირონიულად). მივესალმები საქართველოს ყველაზე ღირსეულ შვილებს!

თარხანისძე. (ჯორჯიკისძეს ეხვევა). ჭეშმარიტებას ღაღადებ, ყველაზე ღირსეულნი მუდამაც მცირედნი ყოფილან, მაგრამ ეგ ღირსეულთ არ აკნინებთ. არიან ღირსეულნი და არიან მცირენი – ყველაზე ღირსეულნი. ეგრე არა თქვი?

ფარნავაზისძე. (ივანე ფალავანდს). ვიდრე ეგენი ღირსეულობას ჩემულობენ, ერთი გემრიელად მოგეხვიო.

ფალავანდი და ფარნავაზისძე ერთმანეთს ეხვევიან.

ფალავანდი. გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს!

აბულასანი. საურმაგის უბედურება ახლახან შემატყობინეს. სწორედ იქ ვაპირებდით, მაგრამ თქვენი სტუმრობის ერთობ მოხარულნი ვართ.

გაბაონი. უბედური საურმაგი, უბედური!

ჯორჯიკისძე. ხვალ მოვალთ, ხვალ უსათუოდ მოვალთ და ვანუგეშებთ.

ფალავანდი. ღვთისწილი ჭაბუკი იყო და ღმერთმა ჩაიბარა მისი სული.

თარხანისძე. ჩვენ სტუმრად არ მოვსულვართ, აბულასან, საუბრად მოვედით, დიდი საქმე უნდა გადავწყვიტოთ. უამისოდ არ ეგების. საურმაგი არის მოთავე ამ შეხვედრისა, მაგრამ უბედურებამ გამოგვაკლო.

აბულასანი. რისთვისაც არ უნდა იყოს მოსულნი, თავადნო, ჯერ მთავარი— თქვენ აბულასანის ოჯახში ხართ. სუფრასათან მობრძანდით! (ზარს რეკავს. ტიმოთე უმაღლ შემოდის). დიდებულნი შემოგვესწრნენ. სუფრას მიხედე!

ფალავანდი (ფარნავაზი-სძეს ეხვევა). როგორა ხარ, ბიჭო, როგორ, ჰა, რა ხანია, მუხლი არ მოგვირთხამს!

ტიმოთე სუფრას დასტრიალებს.

ფარნავაზისძე. მეც მომენატრე, შე ოხერო, ძლიერ მომინდა შენი სიმღერა!

თარხანისძე. (ჯორჯიკისძეს ეხვევა). ჰა, რას შვრები, მრავალთაგან ერთო ძლიერო, როგორა ხარ!

ჯორჯიკისძე. ისე, როგორც გაგეხარდებოდა ამ ორი წლის წინათ და გულს დაგიკოდავს ღღესა!

თარხანისძე. თორემ შენ ყოველ ღამე სიზმრად მნახულობ!

ჯორჯიკისძე. ეგრეა, ეს ერთი ხანია არეული სიზმრები დამჩემდა.

გაბაონი. ფერიც მაგიტომ აღარ ადევს! (სამივე იცინის).

აბულასანი. (თასს ავსებს). სუფრასთან, თავადნო, სუფრასთან, გთხოვო.

ფალავანდი. ილბალი გაქვს, აბულასან, ილბალი! უმცირესთა წარჩინებულნი მოვედით და სუფრის გაშლაც კი არ დაგჭირდა!

ჯორჯიკისძე. თქვენკი სულ ეგრე ხართ: სუფრას სხვებისთვის შლიან და თქვენ შემოუსხდებით ხოლმე!

ს ი ც ი ლ ი

თარხანისძე. ღღეს თქვენია მეუფება, სუფრაც უნდა გაშალოთ!

აბულასანი. (თასს ასწევს). ჩვენს სუფრას საქართველოს თვალისჩინნი შემოესწრნენ.

20.

ღირსებით სავსე ივანე ფალავანდი, კაცი, რომელმაც სამშობლოსათვის ათასგზის დაუდასტურა ერთგულება და თარხანისძე – ვისი მამაცობაც, სიქველევაც და ერთგულებაც, სანაქებოა და სამაგალითო ჩვენს ყრმათათვის. კეთილი იყოს თქვენი ფეხი ჩემს ოჯახში!

ფალავანდი. განა პირველად ვარ, აბულასან!

თარხანისძე. ამასწინათ შვილისშვილის ქორწილზეც ხომ ვიყავი!

აბულასანი. ეგ ამბავი სამი წლის წინათ იყო, მას შემდეგ თქვენ სხვაგან სძოვო, მე კიდეც – სხვაგან.

ფალავანდი. მერეღა, რისთვის, აბულასან, მე და შენ სხვადასხვა მინდვრებზე რისთვის უნდა ვძოვდეთ, ნუთუ, არ იქნება ერთად მოვძოვოთ?!

გაბაონი. იქნება, რატომაც არ იქნება, ყველაფერი ღვთის ნებაა!

ჯორჯიკისძე. ვისაც ჩვენთან ერთად სურს მოძოვოს, ჩვენს აზრზედ უნდა დადგეს, საქართველოს ასე მოუხდება.

თარხანისძე. ჩვენ საქართველოს სასიკეთო აზრი გვჭირდება არა თქვენი!

ჯორჯიკისძე. სწორედ აქ, ჩვენთან არის საქართველოს სასიკეთო აზრი!

ფალავანდი. აბა, რას ბრძანებ, ჭაბუკო, აბა, რას ბრძანებ!

ჯორჯიკისძე. საქართველოსთვის თქვენ ირჯებით და არა ჩვენა?!

თარხანისძე. (ირონიით). კი, როგორ არა – თქვენ იმდენი სიტყვა დაგიხარჯავთ საქართველოსთვის, იმდენი სიტყვა...

აბულასანი. ერთი წუთითა, სტუმარნო, ერთი წუთითა! შემოსწრებულნი მალდებოდნენ. ივანე ფალავანდს გაუმარჯოს – სახელოვან კაცს. რაც ამას საქართველოსთვის სიკეთე უკეთებია, რაც ამას ხმალი უქნევია! გინა ჩვენი თარხანისძე – თუმც ჭაბუკი აღარ ეთქმის, რამდენი მოასწრო ქვეყნისთვისა. ღმერთმა ჯანი მოგცეთ!

გაბაონი. (წამოდგება. ხაზგასმული პატივისცემით). მე თქვენ ვერას

დაგიმალავთ, ან სხვა რა დამიმალავს: ძლიერ პატივს ვცემ ივანე ფალავანდსა, ჯერ კიდევ სულცხონებული მამაჩემი ლაპარაკობდა ხოლმე ამიკაცობის თაობაზე. ახლა ბალათერის ამბავს არ იკითხავთ? ღირსეული კაცია მამიჩემის ძმის შვილია (ბალათერს). უნდა ჩაგეკრა.

ერთმანეთს ჩაეხვევიან. თასს გამოსცლის და სიმღერას წამოიწყებს. თარხანისძე აჰყვება. ერთად დააბოლავებენ სიმღერას.

ჰა, როგორია?!

ფარნავაზისძე. კარგია, კარგი! სახელოვან კაცსა ივანე ფალავანდს, გონიერსა და ქვეყნისთვის გარჯილ ბალათერ თარხანისძეს ვადღეგრძელებ. ქვესკნელში მომზირალი კაცი ხარ, ჩემო ივანე, ქვესკნელში, მაგრამ არც ჩვენ მიუჩერებივართ ხეთა კენწეროებსა! გაგიმარჯოთ, ძმებო!

ჯორჯიკისძე(თასს ასწევს). კარგია, კარგი, გაგიმარჯოთ, არ ვიცი რისთვის მობრძანებულხართ. თუ საქართველოს სასიკეთოდ მოხვედით, თქვენს გვერდით ვიქნები. ღმერთმა ქნას, ასე იყოს. ეს ერთი ამბავია. ახლა მთავარი: ჩემო ბალათერ, შენი სიმღერა მომენატრა...

თარხანისძე. (სიცილით). როგორც იავნანაო!

ჯორჯიკისძე. როგორც შენა, შე თათარო, გაგიმარჯოთ! (ერთმანეთს ეხვევიან).

ფალავანდი. გაგიმარჯოთ. კარგები ხართ, ღმერთმა სიკეთე და სხვათა გაგება მოგცეთ, კაცმა ყოველთვის უნდა მიიხედ-მოიხედოს, მე რომ კარგადა ვარ, იქნებ, იმასაც სჭირდება რამეო. ეგ დიდი მაღლია.

თარხანისძე. მეც მინდა მაღლობა გითხრათ და ისიც: თუ კაცმა არ მიიხედ-მოიხედა, თუ კაცმა სხვაზეც არ იფიქრა, იწყება შური, შურს მოსდევს მტრობა გვინდა? ჩვენ არცერთი გვინდა და არც – მეორე, თუმცადა, არ დაგიმალავთ, ერთიც შეგვიძლია

21.

და მეორეცა, მაგრამ რისთვის? გაგიმარჯოთ! (სვამს).

ფალავანდი. ერთად ყოფნა კარგია, მაგრამა... ჯერ ერთმანეთს მწარე სიმართლე უნდა ვუთხრათ. უნდა გავიგოთ როგორ ვუყურებთ ერთმანეთს. **აბულასანი.** (მშვიდად). მე კი მგონია, არ არის საჭირო. ისედაც ვიცი: თქვენ ჩვენა ქვეყნის დამაქცევრები გგონივართ. სინამდვილეში კი... **თარხანისძე.** სიმართლე უნდა ითქვას უმცირესთა და უმრავლესთა. **აბულასანი.** ქვეყანა ჩემო ბალათერ, ხალხი ვართ, კარგიცა გვჭირს და ცუდიცა, უმცირესთა და უმრავლესთა თაობაზე კი... თქვენ ეგრე გწადიათ, თორემ ჩვენ რა... ჩვენ ერთობ მშვიდობიანი და მოყვარულნიცა ვართ... ჩვენ თქვენთან – უმცირესთა მეთაურებთან ძმობაც გვწადია. ამიტომ

ფალავანდი. თქვენა მაგ თაფლა-თაფლა სიტყვებით საქართველო ჩაიგდეთ ხელში.

ღუმილი. აბულასანი დაჟინებით შესცქერის ფალავანდს.

აბულასანი. და თქვენა გწადიათ ხელი შეგვაშველოთ?

ღუმილი.

ფალავანდი. ჩვენ საქართველოს ქომავნი ვართ.

აბულასანი. ეგ ვიცი, სულ მაგას გაიძახით(ღუმილი). სხვა? თქვენ საქართველოს სიკეთე გინდათ, ჩვენ – არა! ახლა რაღა ვქნათ?

გაბაონი. არა, არა, ეგრე ნუ ვისაუბრებთ. თქვენ ამის სათქმელად არ მოხვიდოდით, ივანე!

ფარნავაზისძე. ამას სამეფო დარბაზშიც გვეუბნებით ხოლმე!

ჯორჯიკისძე. იქაცა სტყუიით და აქაცა. საქართველოსთვის არც იქ ირჯებით და არც – აქ.

გაბაონი. ბრძანე, ივანე, გისმენთ!

აბულასანი. მოსასმენი არც რამ არის. უკვე გვითხრეს: საქართველოს სიკეთე ამით სწადიათ, ჩვენ--არა. რაღა დაგვრჩენია? ჩვენ ჩვენი გზით ვიაროთ, თქვენ – თქვენი. მომავალმა განგვსაჯოს.

დუმილი.

და ამით დავამთავროთ ეს საუბარი

დუმილი.

გაბაონი. არა, არა! ამით დამთავრება არ ეგების. (თარხანისძესა და ფალავანდს). რახან მოხვედით, სათქმელი გვითხარით.

ფარნავაზისძე. ქართველები არა ვართ? ნუთუ, ერთმანეთს ვერ უნდა გავუგოთ.

ჯორჯიკისძე. მეც იმას ვფიქრობ, რომ ეგრე წასვლა არ ეგების!

ფალავანდი. ეგრე წასვლას არც ჩვენ ვაპირებთ.

აბულასანი. გისმენ, თავადო.

თარხანისძე. ჩვენ ათასი დასტური გვაქვს იმისა, რომ თქვენ, უმრავლესნი, ქვეყანას არ პატრონობთ. ნაცვლად იმისა, რომ საქართველოს მოუაროთ, ყველაფერს თქვენთვის...

ჯორჯიკისძე. (აწყვეტინებს). დასტური პირველი!

თარხანისძე (ჯორჯიკისძეს საყვედურით შესცქერის). აბულასან, შენ სამეფო დარბაზს მოახსენე, რომ რუსთ უფლისწული იური ბოგოლუბსკი, იმით სჯობია ბიზანტიის უფლისწულს – ალექსი კომნინოსს, რომ ჰმონებს სამასი მთავარი რუსთა. ხომ არ ვცდები?

აბულასანი. არა, არ ცდები!

თარხანისძე. და შენ კვლავაც ადასტურებ, რომ იური ბოგოლუბსკი ალექსი კომნინოსს სჯობნის?

22.

აბულასანი. ეგრეა, ვადასტურებ.

თარხანისძე. სჯობნის იმით, რომ ჰმონებს რუსთა სამასი მთავარი?

აბულასანი. არა მხოლოდ მაგით. იური ბოგოლუბსკის სხვა მრავალი ღირსებაცა აქვს. თქვენ ვერც ჩასწვდებით მის სიღიადეს.

თარხანისძე. (დუმილის შემდეგ). აბულასან, იქნება ეგრე არ არი?

ფალავანდი. აბულასან, ჩვენ ვიცით, რომ ეგრე არ არი!

ჯორჯიკისძე. (ხაზგასმულად) იქნება მსტოვრებმა სხვა ამბავიც მოგიტანეს, სხვა მონაგონი, ჭორი!

აბულასანი. მე გისმენთ.

ფარნავაზისძე. თქვით, გვითხარით, კიდეც რა გაიგეთ, რომ პასუხი ყველაზე მიიღოთ.

ჯორჯიკისძე. ისიც ისეთივე ტყუილი იქნება, როგორც ეს--სამეფო დარბაზის გასაცურებელი ტყუილი. თქვენ უმრავლესთაგან არა-რა სიკეთე არ გინდათ.

ფალავანდი. იური ბოგოლუბსკის რუსთა არცერთი სამთავრო არ მორჩილებს, ექსორიაქმნილი ბოგანოა და ყოვჩაყეთის მეფე ინახავს, იმიტომ რომ მისი მამის მეგობარი იყო.

აბულასანი. (დაძაბული შესცქერის). გისმენ, გისმენ, ბრძანე! კიდეცა? კიდეც რა შეიტყვეთ?

თარხანისძე. განა ეს საკმარისი არ არის?

ფალავანდი. ვგონებ, საკმარისია იმისთვის, რომ ვთქვათ: თქვენ საქართველოს არ მსახურებთ.

აბულასანი. რა ვქნათ? (დუმილი). როგორ მოვიქცეთ? (დუმილი). თქვენ შეიტყვეთ, რომ მე ვატყუებ სამეფო დარბაზს, მეფე თამარს. ასეა?

თარხანისძე. ასეა.

აბულასანი. და ეს არის სულ!

თარხანისძე. კი, ეს არის სულ! და საკმაოა იმისთვის, რაც ივანე ფალავანდმა ბრძანა.

აბულასანი. (შვებით). ძალიან კარგი. ახლა რაღა ვქნათ?

დუმილი.

თარხანისძე. ჩვენც მაგისტრის მოვედით.

აბულასანი. რჩევასა მთხოვთ? მე გირჩევთ მიხვიდეთ მეფე თამართან და მოახსენოთ, იური ბოგოლუბსკი ერთი ბოგანო, ექსორიაქმნილი უფლისწულია-თქო.

თარხანისძე. ეგრეც იქნება!

აბულასანი. აი, ხომ ხედავთ, რა კარგი რჩევა მოგეცით. იმედი მაქვს, დამიფასებთ.

ფალავანდი. ამ საქმის გამასხრება არ ეგების, აბულასან!

აბულასანი. გამასხარავება ის იქნებოდა, მუხლებში ჩაგვარდნოდით და თქვენთვის მეთაურსა მეფის ყურამდე ეგ ამბავი არ მივიდეს-მეთქი. ჩვენ მართალნი ვართ, ივანე. მიდით მეფე თამართან, ყოველი წვრილად მოახსენეთ და კიდევ ერთხელ გამოაჩინოთ, რომ უმცირესნი უმრავლესთ ამოდ ეურჩებით.

თარხანისძე. აკი გითხარი – ეგრე იქნება-მეთქი.

აბულასანი. ძალიან კარგი. დამთავრდა? კიდევ რაღა გვაქვს სალაპარაკო!

დუმილი.

თარხანისძე. მერე?

აბულასანი. რა მერე!

თარხანისძე. მეფესთან რომ მივალთ, ყველაფერს წვრილად რომ ვუამბობთ, მერე რა იქნება!

აბულასანი. ეგ თქვენი საფიქრალია. მე ერთი რჩევა მოგეცით, მაღლობა

23.

იმისთვისაც არ გითქვამთ. სხვა რჩევას აღარ მოგცემთ. (ლიმილით). ჩემი სადღეგრძელო მაინც დაგელიათ, მაგ რჩევისათვის.

ფალავანდი. (პაუზის შემდეგ). მაშ, არა-რა პასუხს არ გვაძლევ?

აბულასანი. არა, არა-რა პასუხს არ გაძლევთ. არც ვალად მაწევ

პასუხის მოცემა მაგ ჭორზედ.

ჯორჯიკისძე. იქნება თქვენ მოგვცეთ პასუხი იმაზე, რასაც საქართველოს უკეთებთ? დიდძალი ოქრო-ვერცხლი დააკელით ხაზინას.

თარხანისძე. სამეფო დარბაზის მრავალნი ჩვენი სახელის გასატეხად იღწვიან.

ჯორჯიკისძე. (ერთხანს გამომცდელად შესცქერის ფალავანდსა და თარხანისძეს. ფალავანდს). შენც ეგრე ამბობ? ტყუილია?

ფალავანდი. (ფიქრობს, პაუზის შემდეგ). სამეფო დარბაზის უმცირესნი ქვეყნის საზიანო საქმეს არ იზამენ, ეგ არ იქნება!

ჯორჯიკისძე. (დუმილის შემდეგ). მაშ, მისმინეთ, საქართველოში იმ სულკურთხეული დავითის დროსაც კი არ ყოფილა ისეთი დიდი ვაჭრობა, როგორიც დღეს არის. სად არ ჩავიდნენ ჩვენი დიდვაჭარნი, სად არ ჩაიტანეს, ან საიდან არ

ჩამოიტანეს საქონელი, დიდვაჭარნიც ძლიერ მომრავლდნენ, რადგან ვაჭრობამ იმძლავრა. თქვენ კი მათთან დიდი ძმობა გააჩაღეთ, მიდი-მოდინხართ...

თარხანისძე. მერედა რით არი ეგ უგვანო!

ჯორჯიკისძე. ეგ არც არაფრით და ვერცვინ დაგიშლით. უგვანო ის არის, ათი დიდვაჭარი სახელმწიფო ბაჟისაგან გაათავისუფლებინეთ.

გაბაონი. ათი დიდვაჭარი? რას ამბობთ, ხალხნო!

ჯორჯიკისძე. ეგრეა, თავადო, ეგრე! ახლა დავსხდეთ და ვიანგარიშოთ: ეს დიდვაჭრები რას აძლევენ საქართველოს ხაზინას. ერთი ტაოსკარელი იმდენს იხდიდა, რომ... სომეხ დიდვაჭარ ვართან კარაპეტთან ერთად ქვეყნის ხაზინის ოქროს ბელელი იყო. რისთვისა, ძმებო? ახლა ის მაკითხინეთ, რაც სახელმწიფო ხაზინაში არ მიდის, სად მიდის? **(ღუმბილი.)** ან შენა, აბულასან, ამირთ-ამირავ და გამგებელო ტფილისისა, ხომ კარგად იცი, ვინ როგორ ირჯება ხაზინისათვის? რისთვის წაუყრუე ამ საქმესა, რატომ არ მოახსენებ მეჭურჭლეთუხუცესსა სამეფო დარბაზის უმცირესნი როგორ ირჯებ-ბიან ხაზინისათვის.

ფარნავაზისძე. მეც ვიცი ეგ ამბავი და გეტყვით: მაგ ათი დიდვაჭრის გათავისუფლებით ჩვენს ხაზინას შემოსავლის მეექვსედი დააკლდა.

ჯორჯიკისძე. რას ამბობ, რატომ მეოთხედი არა!

ფარნავაზისძე. მეოთხედი?

ჯორჯიკისძე. ამირთ-ამირა კი უმცირესთ ინდობს, ჰპატიობს, რისთვის? ან დარბაზთან ბჭობით რატომ არ შევცვლით ამ საზიანო გადაწყვეტილებას?

თარხანისძე. არასწორად სჯით, ქართველნო, არასწორად! ეგ

დიდვაჭარნი საქართველოს ღირსეული შვილები...

ჯორჯიკისძე.(აწყვეტინებს). საქართველოს ღირსეული შვილები საქართველოს ხაზინას არ აღარიბებენ!

თარხანისძე. დიანაც, საქართველოს ღირსეული შვილები არიან. რამდენი სიკეთე უქნიათ. ღარიბ-ღატაკთ აპურებენ, ამიტომაც ვითხოვეთ ბაჟისაგან მათი გათავისუფლება. ახლა კი თქვენ გინდათ, სულ სხვა კუდი გამოაბათ...

გაბაონი. (გულიანად იცინის). იჰ იჰ იჰ! ვინ დაგიჯერებთ, ჰო, კარგი, მე ყაბულსა ვარ, მაგრამ ვინ დაგიჯერებთ! იჰ იჰ იჰ იჰ!

ფარნავაზისძე. სხვებთან არ მოიტანოთ ეგ საბუთი, თორემ გამგონე ლაფდასხმულად იგრძნობს თავს.

24.

გაბაონი. ვაი, საქართველოვ, ვაი, ქვეყანავ ქართველთა ეგეთი შვილების გამოისობით!

ფალავანდი (გოროზად). რა გწადიათ? ე მაგების ღალადისით, რას ჩავკმახით?

ჯორჯიკისძე. ქვეყნის სიკეთეს, მხოლოდ საქართველოსა და მისი მეფის სიკეთეს.

ფალავანდი. მე აბულასანის პასუხი მინდა.

ღუმბილი. ყველა აბულასანს მიუბრუნდება.

ბრძანე აბულასან, რა გწადიათ, რას ელტვით.

აბულასანი(ხაზგასმულად ღუმს). არა, ჩვენ არაფერს არ ველტვით. ბრალოდ, თქვენ იცოდეთ, რომ ჩვენ ეს ვიცით.

ფალავანდი (თითქმის თავისთვის). თქვენ იცოდეთ, რომ... რა გამოდის... ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ თქვენ ეს იცით.

აბულასანი. დასტურ, ეგრეა.

თარხანისძე. არა, აბულასან, ეგრე არ იქნება! თქვენა გწადიათ ჩვენ სულ შიშქვეშ გვიყოლიოთ. გვანსოვდეს, რომ თქვენ ეს იცით და როცა ინებებთ, მაშინ დაგვიშენთ რიყის ქვებსა. არა, ეგ გონივრული ვერ არის.

ჯორჯიკისძე. ეგ ეგრე იქნება, ცხადია, ეგრე იქნება! ჩვენ უმრავლესნი ვართ და ნება ჩვენია.

ფალავანდი. ნება სალი აზრისა უნდა იყოს და არა თქვენი!

თარხანისძე. აბა, ასე განვსაჯოთ, ქართველნო, ჩვენ მივალთ და მეფე თამარს მოვანსენებთ, რომ თქვენ სამეფო დარბაზს ატყუებთ, ატყუებთ მეფეს – მეფის ქმრად ბოგანო კაცი მოგყავთ.

აბულასანი. აკი გითხარით, ნება თქვენია.

ფალავანდი. მერე თქვენ მიხვალთ მეფესთან და მოახსენებთ, რომ ჩვენ ვაკნინებთ ხაზინას.

აბულასანი. არა მხოლოდ ამას, მხოლოდ ეგ არ იქნება ჩვენი სათქმელი. მეფესთან, ივანე ფალავანდო, სხვაც ბევრი, თქვენი სხვა საქმეებიცა, მაგრამ მე არ ვაპირებ მეფესთან თქვენს დაბეზღებას.

თარხანისძე. ეს რას ნიშნავს, აბულასან, იმას ხომ არა, რომ ჩვენ შორის ზავია?

აბულასანი. მე ეს არ მითქვამს.

ფალავანდი. და მაინც?

აბულასანი. (ერთხანს ღუმს). ნება თქვენია, ასე გაიგეთ, მაგრამ... თუ საჭიროდ ვცან...

ჯორჯიკისძე. თუ საჭიროდ ვცანით.

აბულასანი. დიად, ბატონო, თუ ჩვენ საჭიროდ ვცანით...

რასაკვირველია..

თარხანისძე. აბულასან, იქნება დადგა დრო, ყველამ ერთად – უმცირესთაც და უმრავლესთაც, ერთად ვიფიქროთ ჩვენს მომავალზე?

ჯორჯიკისძე. ღვთის ნებით, ჩვენ ჩინებული მომავალი გვაქვს.

ფარნავაზისძე. (ივანე ფალავანდზე). ეგრე არ იქნება, ეგრე ნუ იქნება, ხალხნო, ვისაც სომხითისათვის ბრძოლა ახსოვს... ივანე ფალავანდს საქართველოში ცუდი მომავალი რად უნდა ჰქონდეს!

თარხანისძე. მაშ, თქვენ ვერა გცნობიათ მეფე თამარი!

გაბონიასე. მგონია, შენ ახლა ამბობ იმას, რის სათქმელადაც მოსულხარ! იქნება, პირდაპირა ვთქვათ, გატეხილს გაჟეჟილი სჯობიაო.

ფალავანდი. (თასს შეავსებს). შევავსოთ თასები! ღმერთმა დიდებული მიწა-წყალი გვიბოძა სამშობლოდ. აბა, გახედეთ, ცხუმიდან ცივგომბორამდე. რა ლამაზია და

25.

მტრიანი, უხვი და მზერამიმტაცი, მაგრამ მძიმეა სამშობლოს ბედი, თუ ჩვენ, ამ მიწის შვილთ არ გავუგეთ ერთმანეთს. ამიტომ ქართველთა ურთიერთდანიშნულობისა და გატანის სადღეგრძელოს ვსვამ. იმას გაუმარჯოს, როცა ადამიანებს ძალუბით დასხდნენ და ერთმანეთს მისცენ ის, რისი მიცემაც მათს ხელთ არის!

ფარნავაზისძე. ქვესკნელში მომზირალი კაცი ხარ ჩემო ივანე, ქვესკნელში! (სვამს).

ჯორჯიკისძე. დრო რომ არ იყოს სხვაგვარი!

აბულასანი(თავდაჭერილად). იყოს სიტყვა შენი, გაუმარჯოს! (სვამს).

თარხანისძე. ერთად დაჯდომა და მოლაპარაკება დიდი სიბრძნეა, დიდი! (სვამს).

ჯორჯიკისძე. აი, მე ვსვამ და სმენა შენკენა მაქვს. (ყველანი ივანე ფალავანდს შესცქერა).

ფალავანდი. თამარ მეფე ვერა გცნობიათო, ბრძანა თარხანისძემ. მოვყვით თავიდან.

ფარნავაზისძე. მოვყვით, მოვყვით!

ფალავანდი. მეფე გიორგიმ, მამამ მისმა, სულგანათლებულმან, თავის სიცოცხლეშივე აკურთხა თამარი მეფედ და ტახტზე გვერდით მოისვა. ერთად მართავდნენ ქვეყანას.

გაბაონი. ო, რა დრო იყო!

ფალავანდი. მერე მეფე გიორგი მიიცვალა და ჩვენ რა ვქენით? კვლავ მოვინდომეთ თამარის მეფედ კურთხევა. ამით ქვეყანასაც და მეფესაც ვუთხარით: ვიდრე ჩვენ არ გაკურთხებთ, ვიდრე ჩვენ არ ვიტყვით ჩვენს სათქმელს, შენ მეფე არა ხარ, შენი მეფობა ჩვენს ხელთ არისო. სხვა რა გზა ჰქონდა: დაგვყაბულდა და ვაკურთხეთ კიდეცა.

გაბაონი. ე მაგით ღვთის ნებას აღუდექით წინა!

ჯორჯიკისძე. ეგ ყოველი ვიცით. მთავარი!

თარხანისძე. მოთმინება, მოთმინება! ეგ ყოველი საჭიროა იმისათვის, რომ დაინახოთ საით მივდივართ.

ფალავანდი. (მცირე პაუზის შემდეგ). იყო მეფე, მაგრამ ვიყავით ჩვენცა – ნამდვილი გამგებელნი ქვეყნისა. ყუთლუ ასლანის ამბოხმაც მოგვცა ძალა და ქვეყანა ისე მიგვყავდა, როგორც გვეწადა.

ფარნავაზისძე. მეფეცა, მე თუ მკითხავთ, მეფეცა!

ფალავანდი(ფარნავაზისძეს). სწორედ ეგრე გახლდა, მაგრამა, დღევანდელი მეფე თამარი თუ ჰგავს გუშინდელსა? (პაუზა. თანამეინახეთ გადახედავს). სცნობთ დღეს გუშინდელ მეფე თამარსა? არა, თავადნო, მეფე თამარი აღარ არი მოკრძალებული, თითქოს აღარც ჩვენ ვყოფილვართ, აღარც ყუთლუ ასლანი. მის მზერას დააკვირდით – სულში ჩაგვცქერის.

ფარნავაზისძე. თუ აქამდე მომღიმარი იყო, დღეს ისე გვჭვრეტს, თითქოს ის იყოს 70 წლისა, ჩვენ კი ოციც არ შეგვსრულებია.

ჯორჯიკისძე. რა გწადა, ფალავანდო?

აბულასანი ყურადღებით, დაძაბული შესცქერის ფალავანდს.

ჯორჯიკისძეს ანიშნებს, ხელს ნუ უშლიო.

ფალავანდი. ახლა ის ვნახოთ, რა ჰქნა მეფემ საეკლესიო კრებაზედა. იერუსალიმით წინასწარ რისთვის იწვია ნიკოლოზ გულაბერიძე და ანტონ საღირისძე? საეკლესიო კრებას კათალიკოსი მიქაელი არ დაასწრო. ასეთი რამ გსმენიათ? მეფის ვერდაუნახაობით გაუსკდა გული კათალიკოსს.

ფარნავაზისძე. ძველთ ვერა ხედავს მეფე თამარი – ღირსეულთა და დამაშვრალთ, ახალთ ეძახის. ასეთი ვინ გახლავთ ანტონი, ჭყონდიდულობა და მწიგნობართუხუცესობა ერთად რომ უბოძა!

თარხანისძე. ეკლესია თავისად იქცია!

გაბაონი. იცის რასაც იქმს. ღმერთმა ძალა მისცეს!

თარხანისძე. იქნება, დროა ვიკითხოთ: რა ბედი გველის?

ჯორჯიკისძე. მრავალთა გულისწადილს წინ ვერავინ დაუდგება! ჯორჯიკიძის რეპლიკას არავინ შეეხმიანა – ლიტონ სიტყვად მიიჩნიეს.

ფალავანდი. როგორა ფიქრობ, აბულასან – გვარგებს კი ეგრე დაცალკეება? მეფე თამარი ისე ძლიერდება, ხვალ სამეფო დარბაზსაც არად ჩააგლებს. და შენ, აბულასან, სულითა და ხორციით ქართველო, დიდ თავადთა ჩამომავალო, ხვალ იქცევი კნინ თავადად. (ფარნავაზისძეს). ხოლო შენა... შენ ეს სოფელი მოგიჭამია, შვილები, შვილიშვილები? უბირად გაატარონ წუთისოფელი?

თარხანისძე(ჯორჯიკისძეს). თუ შენს ღირსებას სამეფო დარბაზის უმცირესთან ჭიდილში გაცვითავ, ხვალ უძრავლესთ რა დღე ელით? რა დღეს დაგვაწევს მეფე თამარი?

ჯორჯიკისძე. ისა გწადიათ, ჩვენთან იყოთ?

თარხანისძე. რა ბედი გველის, აბულასან, საით ვიაროთ!

აბულასანი (ღუმს. წამოდგება დარბაზში მიმოდის, თასიდან ღვინოსაც მოსვამს). ვერა და ვერ ჩავხვდი – რა გწადიათ?

თარხანისძე. ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ!

ფარნავაზისძე. ეგეთი ჭაბუკი და ეგეთი ბრძენი?!

აბულასანი. (პაუზის შემდეგ). ისა... ერთად... ჩვენა?

თარხანისძე. ჩვენა, სწორედ ჩვენ უნდა დავდგეთ ერთად!

აბულასანი. ჰოო... ერთად ყოფნა... (თავს გადააქნევს დასტურად იმისა, რომ იღუპა საეჭვოდ ეჩვენება).

ფალავანდი. ერთობა გვმართებს, აბულასან, ერთობა, თორემ...

გაბონი. (იჭვიანად). ერთად ვიყოთ, ივანე, ეგ ცუდი როდია, მაგრამ ვის წინააღმდეგ ვერთიანდებით?

ფალავანდი. არა, ეგრე ნუ იტყვი...

გაბონი. სხვაგვარად როგორ?

ფალავანდი. ერთად იმისთვის უნდა ვიყოთ, რომ ჩვენი გზა გაგაგრძელოთ – ეს ქვეყანა, მამული ჩვენი, მხოლოდ უცდელ ყმაწვილ ქალს არ ვაპატრონებინოთ. მივეშველოთ, წავეშველოთ!

გაბონი. არა, ეგ წაშველებას არა ჰგავს, ივანე!

აბულასან. (სუფრას მიუჯდება). ჰო, ეგ კარგია, მაგრამ... რას თხოულობთ?

ჯორჯიკისძე. ჩვენ დასათმობი არაფერი გვაქვს!

თარხანისძე. აბულასან, შენ კარგად უნდა იცოდე, ერთობა რასაც ნიშნავს. მოიყვანეთ ეგ თქვენი ბოგოლუბსკი, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, მაგრამ... ჩვენ ხომ ვიცით, რისთვისაც გინდათ ეგ რუსი...

ჯორჯიკისძე. თქვენ რომ ნება არ მოგვცეთ, ვერ მოვიყვანთ?

თარხანისძე. (ჯორჯიკისძის რეპლიკას კვლავ უყურადღებოთ ტოვებს). აკეთეთ რაც გეწადოთ, ზოგჯერ სიტყვაში შეგეცილებით, იქნებ, წაგართვათ კიდევ სიტყვა, მაგრამ... იმას არ ვიზამთ, საქმე წაგინდინოთ...

ფარნავაზისძე. მე ასე ვიტყვოდი: სამშვიდობოდ მოსულან და ამ საქმის ჩაშლა არ ეგების!

აბულასანი. (ფარნავაზისძეს საყვედურით გადახედავს, თარხანისძეს მიუბრუნდება). გისმენთ, გისმენთ.

თარხანისძე ღუმს. **აბულასანის პოზიციაში ვერ გარკვეულა.**

ჯორჯიკისძე(თარხანისძეს). ამ ცისქვეშეთში ყველაფერს თავისი ფასი ადევს. აბულასანი სწორად გეკითხებათ: სანაცვლოდ რას თხოულობთ?

თარხანისძე. თუ ჩვენ ხელს არ გიშლით, ნურც თქვენ აგვიხირდებით.

აბულასანი. (თავს კვლავ იჭვით აქნევს). უმცირესნი და უმრავლესნი რომ ერთად იყვნენ?

ფალავანდი. არა, არა, არა, ეგ არ იქნება. ხალხის დასანახად ერთობა არ იქნება, ხალხმა იცის და უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ვართ უმცირესნი, თქვენ კი-- უმრავლესნი და ჩვენს შორის დიდი შავი კატა ჩხავის, ხალხმა ეგრე უნდა იცოდეს, და სიტყვებითაც არა-რა დავაკლოთ ერთმანეთს... მხოლოდ სიტყვებით...

თარხანისძე. საქმით კი არას გავნებთ და ნურც თქვენ მოისურვებთ სავაგლახო საქმესა.

გაბაონი. გამოდის, რომ... გამოდის, რომ... მეგობრობა სიბრძნე არის, მაგრამ... მაგრამ... ეგეთ მეგობრობის, ისევე მტრობა სჯობს, ქართველნო!

ფალავანდი. ეს საქართველო ყველას გაგვწვდება. არას წააგებთ, სიამეში ჩვენც გვიხსენებდეთ, არა იმისთვის, რომ რამე გვაკლია, ნიშნად იმისა, რომ ყოველი ჩვენგანი თავის კოშკს აშენებს.

აბულასანი. (ფიქრიანად). ჰო, მაგრამ...

თარხანისძე. ეგ მეგობრობა სხვა არა არი, თუ არა ის, რომ უმრავლესს უმცირესნი ახსოვდეს.

გაბაონი. ეგ მეგობრობა შეთქმულებაა!

თარხანისძე. ხომ არ დაგვიბერდი, დიდებულო!

ჯორჯიკისძე. ეგენი ეგრე ამბობენ, აბულასან... ეგ სიტყვითა, საქმითა?

აბულასანი. (კვლავ წამოდგება, დარბაზში აუჩქარებლად მიმოდის, ჯორჯიკისძე თვალს გააყოლებს). ვიცი, ვიცი... გასაგებია... ეგ შესაძლოა, მაგრამა (დუმილი). მაგრამა... (უხმოდ დააბიჯებს). მე მგონი, ახლა ყველაზე კარგი ის იქნება, ზედაზნური თავკვერი დავლიოთ, დანარჩენი კი ხვალ-ზეგ განვსაჯოთ... ხვალ-ზეგ! (თასს ყველას შეუვსებს). ჩვენი ქვეყანა ვადლეგრძელოთ, ქართველნო, ამერ-იმერი დავლოცოთ, საქართველოს გაუმარჯოს!

ჯორჯიკისძე. ჩვენს სამშობლოს, მზიანს, ტურფას და დიდებულს...

ფალავანდი. გაუმარჯოს. ჩვენ ხომ მისთვის ვიღწვით!

თარხანისძე. დიდება საქართველოს ჩვენი სუნთქვის ანსა და ჰოეს!

ფარნავაზისძე. ეგრე ყმაწვილებო, ეგრე! როგორ გვიყვარს სამშობლო, ჰა?

გაბაონი. (ამოიოხრებს). ვააი!

ყველა სვამს.

აბულასანი თასს დაცლის, მაგიდაზე დადგამს და ადამიანი, რომელიც ოპონენტებთან ხმადაბლა, თავშეკავებულად ლაპარაკობდა, ომახიანად შემოსძახებს სიმღერას. მოდიდებულ მდინარესავით ძლიერია აბულასანის სიმღერა. ეს არის გამარჯვებული, თავის ძლიერებაში დარწმუნებული კაცის სიმღერა. აბულასანს დანარჩენებიც აჰყვებიან, გარდა გაბაონისა. გაოგნებული გაბაონი ერთ წერტილს მისჩერებია.

სიმღერა ძლიერდება, შუქი ნელ-ნელა ქრება.

გურამ ბათიაშვილი

მონოლოგები სიყვარულზე

მოქმედი პირნი:

ქეთი -- 35 წლის
ნიკა -- 40 წლის
სანდრო -- 65 წლის
ვანიკო -- 50 წლის
გოგი -- 40 წლის

მოქმედების დრო -- ჩვენი დღეები.

მოქმედების ადგილი -- დასავლეთ საქართველო.

მოქმედება პირველი

სასტუმრო ზღვისპირას დგას. აქ დასახლებულა პიესის ორი პერსონაჟი -- ქეთი და ნიკა.

ნიკა „ლეპტოპს“ ჩასჩერებია. წერს, შლის. მერე კითხულობს. რეკავს მობილური ტელეფონი.

ნიკა. ბატონო... არა, არ გამოვა, არა-მეთქი.

ქეთი ოთახის კარს კი არ შემოაღებს, ლამის შემოამტვრევს. იმდენად მოულოდნელად შემოვარდება, რომ ნიკა ფეხზე წამოიჭრება.

ქეთი. მიშველეთ, დამეხმარეთ!

ნიკა რა ხდება!

ქეთი (ხელთ ტანსაცმელი, ჩანთა, გასაშლელი საწოლი უჭირავს, ნიკას აჩერებს). აღარ შემიძლია მეტი, მე იმ ოთახში ვერ ვიცხოვრებ... არ მასვენებენ, ყველა ატრუებული კაცი ამ სასტუმროში მოვიდა? დამიჭირე, ფრთხილად, არ დაჭმუჭნო! აშმორებულია იქაურობა!

ნიკა. ვინ ხართ, ქალბატონო, რა გინდათ!

ქეთი. აქამდე ღამე არ მასვენებდენ, მიკაკუნებდენ, გამოდიო, ახლა დღისითაც დაიწყეს. არ გესმოდა?

ნიკა. რა?

ქეთი. მთელი საქართველო უცხოთა საპარპაშო გახადეს. ვაი! (სავარძელში ჩაეშვება.) ასე შეიძლება? ყველას გაუღეს კარი, მობრძანდით, ბატონო, საქართველოში იბალახეთო.

ნიკა. მერე თქვენ რა, პოლიტიკოსი ხართ?

ქეთი. ხომ უყურებთ, ახლა ქართველი ქალებიც მონდომეს. რა მეშველება!

ნიკა. ადმინისტრაციას უთხარით?

ქეთი. ბიჭ-ბუჭები! ან ბილიარდს თამაშობენ, ან კომპიუტერში ომობენ, წაიღეს ტვინი! ესენიც გოგოებს დასდევენ.

ნიკა (გასასვლელად ემზადება). აბა, წამოდით, მაჩვენეთ ერთი, ვინ გიკაკუნებთ, რა ხალხია!

ქეთი (გზას გადაულობავს). არა, არა, არ გინდათ!

ნიკა. დაველაპარაკები, გავიგო, რა უნდათ.

ქეთი. არ იცით, რა უნდათ? ვერ ხვდები? მე იმათთან დავწვები? იმათი ქალი ვარ?! (ტანსაცმელზე.) რა თონეში შემწვარი გოჭივით გიჭირავს. საკიდარი არა გაქვს? დაკიდე! საწოლს აქ გავშლი...

ნიკა. რრა? საწოლს?

ქეთი. აბა, რა ვქნა, სხვა რა გზა მაქვს?

ნიკა. აქ დაიბინებ?

ქეთი (საწოლს შლის.) რა საშინელი ოთახი იყო!... ან რა სუნი დგას! მაგ ოთახში სულ სექსი ჰქონდათ. დილას სექსი, საღამოს სექსი, შუადღეს... შუადღესაც?

ნიკა. რა ვიცი, მე რა ვიცი.

ქეთი. აა, ახლა ვხვდები... ალბათ, მაგ ოთახში სექსის ქალები იყვნენ და მეც ამიტომ მიკაკუნებენ. თქვენ არ გინახავთ?

ნიკა. არა, მე არ...

ქეთი. როგორ იქ ფეხებაშვერილი, ტრაკმაღალი გოგოები იყვნენ და ერთხელაც არ...

ნიკა. აარა, მე არა.

3.

ქეთი. ახლა აივანზეც გადმოვიდნენ... ორი ბიჭი... შავები...

ნიკა. რა უნდოდათ?

ქეთი (ყურადღებით აცქერდება). შენ რა... ვერ ხვდები რა უნდათ? აზრზე ვერ მოდიხარ?

ნიკა. ჰო, კი, მაგრამ...

ქეთი. აბაზანა სად არის? (დაინახავს.) ჰო, აგერ! ოფლიანი ვარ... წყალს გადავივლებ...

ნიკა (გაოცებული). რა?!

ქეთი. ოფლი ჩამოვიბანო, თორემ...

ნიკა. აქ -- ჩემთან?

ქეთი. შენ წესიერი კაცი ჩანხარ... შენ იმათ არ გავხარ...არ შემომივარდები.

ნიკა. რას ამბობთ!..

ქეთი. ესეიგი, არ შემომივარდები, შეტრიალდი, შეტრიალდი, რა! (ხალათს იხდის.) თუმცა, რა, ვითომ პლიაჟზე ვართ... (აბაზანაში შედის.) ახლა შეგიძლია შემობრუნდე. გიორგი გქვია, არა?

ნიკა (დაბნეული). ნიკა. აქ მე ვცხოვრობ, აქ როგორ დაიბინებ!

ქეთი. აბა, რა ვქნა? იმათთან შევიდე, შენს მეზობლებთან? ჩემი ტანსაცმელი კიდეც თონეში შემწვარი გოჭივით გიჭირავს? ამოდენა ოთახში საკიდარი არა გაქვს?!

ნიკა. კი, როგორ არა!

ქეთი. ჰოდა, დაკიდე! რა კარგია თბილი წყალი! შიშველ სხეულზე ისე გეაღერსება, როგორც ნამდვილი შეყვარებული.

ნიკა. აქ მე ვცხოვრობ-მეთქი... თუ შეიძლება, თუ შეიძლება..!

ქეთი. არა, არა, ასე შიშველი ვერ გამოვალ, თან სველი ვარ... იქნებ, ქართველი არცა ხარ და... რაო, რა მითხარი, რა მქვიაო?

ნიკა. ნიკა.

ქეთი. ჰო, ნიკა, გეხვეწები, გემუდარები, არ შემოხვიდე, სულ შიშველი ვარ... სულ...

ნიკა. სად, სად უნდა შემოვიდე?

ქეთი. აქ, აბაზანაში. ძალიან გინდა? შიშველი ვარ...

ნიკა. აარა... რას ამბობ!...

ქეთი რომელიღაც მელოდისა წამოიწყებს.

ნიკა ქეთის ტანსაცმელს სავარძელში ჩაყრის.

კი, მაგრამ... სამუშაოც მაქვს...

ქეთი. და შენ გგონია, მე ხელს შევიშლი? თუმცა, იცი, რას გეტყვი? თუ ისვენებ, უნდა დაისვენო, რა დროს სამუშაოა!

ნიკა. ეგრე სად არი!

ქეთი. რა კარგია, გასაჭირისას კარგი კაცი რომ შეგხვდება. აი, შენ რომ არა, რა მეშველებოდა... ძალიან მადლობელი ვარ, ძალიან...ერთი ეს მითხარი, სწორად მიგაჩნია ის, ასე უვიზოდ რომ შემოყარეს ამდენი ხალხი? აზიელები, აფრიკელები. სწორია? ვითომ ევროპელები სულელები არიან, ძალიან ფრთხილად რომ გვიღებენ კარს?

ნიკა. კი, ბატონო, მაგრამ... მე რა შუაში ვარ...

ქეთი. ამ დილით პლიაჟზე მითვალთვლებდი. თუ ასე გაინტერესებს, ცოტა ხნით შემოდი და შემთვალთვლე. სულ შიშველი ვარ...

ნიკა. ამ დილით პლიაჟზე არ ვყოფილვარ, ინტერნეტი ჩაირთო და... ბევრი საქმე მქონდა.

4.

ქეთი. არ შემოდინხარ, ხომ?.. (შიშველ მკლავს გამოჰყოფს). თუ არ შემოდინხარ, პირსახოცი მაინც მომაწოდე!

ნიკა. რა?

ქეთი. პირსახოცი მომაწოდე-მეთქი! გიორგი... უკ... ნიკა, თუ ძალიან გინდა, სულ ცოტა ხნით შემოდი, სულ ცოტა ხნით... მაგრამ თუ არ შემოხვალ, ნუ, როგორც გინდოდეს!... (შიშველ ფეხს გამოჰყოფს.) შენთან კარგია, კმაყოფილი ვარ, ასე კეთილი მასპინძელი რომ აღმოჩნდი...

ნიკა. რა მასპინძელი, რას ამბობ... იმდენი საქმე მაქვს.

ქეთი. აბა, შემომხედე, როგორი ფეხი მაქვს? მოგწონს? სავარცხელი მომაწოდე, რა!

ნიკა. სავარცხელი? მე რა ვიცი... მე არა მაქვს.

ქეთი. აი, მანდ ჩანთა ხომ დევს... ჩანთას ვერ ხედავ? ჩაყავი ხელი... იპოვე?

კარზე აკაკუნებენ.

შემომიტანე და უმაღლესად!

ხმა. ბატონო ნიკა, ბატონო ნიკა!

ქეთი. სავარცხელი რატომ არ შემოგაქვს? ჩანთაშია, თეთრი სავარცხელი.

ხმა. ბატონო ნიკა, ბატონო ნიკა!

ქეთი. ნიკა, ხმას რატომ არ მცემ?

ხმა. სანდრო ვარ, ბატონო ნიკა, სანდრო!

ქეთი. ნიკა სხვა თუ არაფერი გაქვს ამოსაღები, ხმა მაინც ამოიღე, მიპასუხე. რას ელოდები?

ნიკა (სავარცხელს მონახავს, მიაწოდებს). ჩემთან სტუმარია, თუ შეიძლება, ნუ იხმაურებ! (აბაზანის კარს გადაკეტავს, შემოსასვლელ კარს აღებს.)

კართან სანდრო დგას. მიუხედავად მოპატიუებისა, ადგილიდან არ იძვრის!

მობრძანდით, ბატონო სანდრო! (სანდრო კვლავ უძრავად დგას.) მოხდა რამე? (დუმილი.) ხომ მშვიდობაა?

სანდრო (ხელი ყურთან მიაქვს). ვერ გავიგე, რა მითხარი?

ნიკა. რა მოხდა-მეთქი!

სანდრო. მეც სწორედ ამის გასაგებად მოვედი. მითხრეს, აქ არისო და, მოვედი რომ გავარკვიო ჩვენი საკითხი.

ნიკა. არაფერი, რა უნდა მომხდარიყო!

სანდრო. არაფერი? (ოთახში შემოდის, იქნებ, გამომწვევადაც კი დააბიჯებს). აბა, რატომ გვაქციეთ ზურგი. ღმერთმანი, არ ვართ ჩვენ გადასაგდები ხალხი. პატიოსნად ვასრულებთ ჩვენს სიტყვას -- ანგარიშს დროულად გისწორებთ. თუ მეტყვი ერთ შემთხვევას რომ თანხა დროზე არ გადავიხადეთ, ან დაგაკელით რამე!

ნიკა. არა, არა, ყველაფერი რიგზეა.

სანდრო. რა თქვი? (ხელი ყურთან მიიღო). ცოტა ხმამაღლა ილაპარაკე, ხომ იცი, სმენა უზნეო ცოლივით მღალატობს. ისინი მეტს გიხდიან? ვილაპარაკოთ, იქნებ, ჩვენც დავიკლოთ ცოტა და თქვენ მოგიმატოთ.

ნიკა. არა, არ არის საჭირო.

სანდრო. აბა, რა ხდება? სეზონი ილევა, სექტემბერი დაიწყო, ერთ თვეში ჩვენს კუთხეში დამსვენებელს ვერ ნახავ, თქვენ საქონელს ახალაიებს აძლევთ, ჩვენი მაღაზიები კი ცარიელია.

ნიკა. ეგ საქმე მხოლოდ ჩვენზე არ არის დამოკიდებული.

სანდრო. თქვენ ჩვენს ფულს ატრიალებთ, ერთ დოლარს 20 ცენტი მოგება მაინც

5.

მოაქვს და ჩვენ უქმად ვდგევართ.

ნიკა. ბატონო სანდრო, თქვენ საგადასახადოსთან საერთო ენა ვერ მონახეთ, არ გვინდა შარში გავყოთ თავი.

სანდრო. საგადასახადოსთან საერთო ენას უჭკუო ხალხი არ პოულობს... რომელ ჩვენგანს შეამჩნიე... დღეს საგადასახადო ის არი, რაც ადრე ობეხეესი იყო...

ქეთი (სააბაზანოდან, კარზე აბრახუნებს). გამიღეთ კარი!

სანდრო. საგადასახადოსთან ჩხუბი ყელის გამოჭრას ნიშნავს.

ნიკა. აბა, რატომ ამბობენ ასე?!

სანდრო. იმიტომ რომ საქონელი არ მოგვცეთ. ჩვენი ჩაძირვა უნდათ. ვერ მოესწრებინ!

ქეთი (სააბაზანოდან. აბრახუნებს). გამიღეთ, ვიგუდები, არ შემიძლია!

სანდრო (ხმაური მისწვდება. შეშფოთებული). იქ ვინ არის? ვინ გვისმენდა?

ნიკა (დაბნეული). არა, არაფერი.

ქეთი (კარს ეჯაჯგურება). გამიღეთ, მიშველეთ!

სანდრო. აქ ვილაცა გყავთ!

ქეთი. აღარ შემიძლია!

სანდრო. ვინ ყვირის? ვინ დამაღეთ! (შეშფოთებული.) რა არის ეს, ვინ გვისმენდა!

ნიკა. არავინ, ბატონო სანდრო, ნუ შიშობთ!

ქეთი (კარის გაღებას ლამობს). გააღეთ, გამომიშვით!

სანდრო. როგორ თუ არავინ, ვილაც შველას ითხოვს. (გასასვლელ კარს ეცემა.) ეს რატოა ჩაკეტილი?

ნიკა. ქალია, ბატონო სანდრო, დამშვიდდით!

სანდრო. ვინ ქალი, რა ქალი! (მზერა გაუბრწყინდება.) ცოლი? ცოლით ხარ ჩამოსული და ამას მიმაღავდი?

ნიკა (ხმადაბლა). მაგასთან არ არის საჭირო საქმეზე ლაპარაკი. ქალია მაინც! მე ექიმი ვარ და ხელფასი რომ არ გყოფნის, ხომ იცით...დღეს ყველა რაღაც საშუალებას ეძებს. (სააბაზანოს კარს გააღებს.) აი!

სააბაზანოდან თითქოსდა, დახრჩობის პირას მისული ქეთი გამოვარდება.

სანდრო. კარი ჩაგეკეტათ, ხომ? უგვანო საკეტებს აკეთებენ, ბატონო, ძალიან უვარგისს.

ქეთი. ლამის გავიგუდე.

ნიკა. კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო სანდრო, ხვალ-ზეგ ყველაფერს გავარკვევთ.

სანდრო. შე კაცო, თუ ოჯახობასთან ერთად ბრძანდები, ასე რაგა იქნება. აჰ!

ქეთი (ყურები ცქვიტა). ოჯახობა? (ნიკას ხელს გაუყრის,) ნიკა, რატომ არ გამაცნობ ბატონ...

სანდრო (ქეთის მიუახლოვდება, ელეგანტურად ემთხვევა ხელზე). ისე მოხარული ვარ, მშვენიერო ქალბატონო, ნიკას მეუღლის გაცნობით... (ნიკას.) არ მოიქეცი სწორად, ღმერთმანი, თუ თანამეცხედრესთან ერთად იყავი ჩამოსული, უნდა გვცოდნოდა...

ქეთი. დღეს ჩამოვედი, მოულოდნელად.

სანდრო. ბატონო? ცოტა ყური მღალატობს...

ქეთი. არ წამომიყვანა, მაგრამ თავად ჩამოვედი.

სანდრო. ყოჩაღ, ყოჩაღ, ნიკა, გადასარევი თანამეცხედრე გყოლია!

ქეთი (ნიკას მიეკვრება). ჩემო თანამეცხედრევ!

სანდრო. მოყვარული ცოლ-ქმრის ცქერას რა სჯობია, ჩემო ნიკა! (ქეთის.) მე

6.

თქვენს მიუღწეველ დიდ პატივს ვცემ. მშვენიერო ქალბატონო. სადღაა დღეს ასეთი წესიერი, ამნაირი სიტყვის კაცი! (ნიკას მიაცქერდება.) ზოგჯერ თუ საქმე აირევა და სიტყვას ვერ შეასრულებს...

ნიკა (აწყვეტილებს). ორ-სამ დღეში, ოჯახი მომიკითხეთ...

სანდრო აჰ, რაგა გეკადრებათ, აბა, რისთვის მოვედი აქ ამხელა კაცი -- ახლა წამობრძანდებით და თავად მოიკითხავთ.

ნიკა. დღეს არ გამოვა, ბატონო სანდრო, აგერ ქალბატონი...

ქეთი. მე არა ვარ დაღლილი, კარგად ვიმგზავრე...

სანდრო. წამოდით, სუფთა ჰაერი ისუნთქეთ, ეგერ იმ მთის ძირშია ჩემი სოფელი. აქედან 20 ვერსი იქნება...

ნიკა. სხვა დროს, სხვა დროს... დღეს არ იქნება.

სანდრო. დავსხდეთ ჩეროში, ნაღდი ვჭამოთ, ნაღდი ვსვათ. ვიმუსაიფოთ, ორიოდე ტკბილი სიტყვა ვუთხრათ ერთმანეთს.

ქეთი (ნიკას მრავალმნიშვნელოვნად). შენ მუსაიფზე მაინც არ უნდა თქვა უარი (სანდროს.) ჩემთან ერთად სიარული არ უყვარს.

სანდრო. რაცხა მომეყურა და გამიმეორე ერთი! რომ იცოდეთ, რა ეზო მაქვს. სამოთხეა, ნამდვილი სამოთხე!

ნიკა. მოვალთ ამ დღეებში, აუცილებლად მოვალთ.

სანდრო. სტუმრის დიდად მოყვარულები ვართ, სტუმარი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა!

ქეთი (ნიკას.) ეს კაცი მე რატომ არ მისმენს? (სანდროს) მე არსად არ დავყავარ!

სანდრო (იცინის). კარგია მე და ჩემმა ღმერთმა, ცოლ-ქმარი რამ ასეა შეხუმრებული, ამას რა სჯობია! ეს დიდი გაგების ნიშანია, ჰე, წავედით, რაღას ველოდებით?

ნიკა. ბატონო სანდრო, თავიდანვე უნდა მეთქვა, სწორედ ვერ გაიგეთ... ეს ქალბატონი...

სანდრო. ამდენი დრო აღარ არის. იქ ვილაპარაკოთ!

ნიკა. არა, საქმე სულ სხვაგვარადაა...

სანდრო. სუფრაზე, სუფრაზე! სმისას ტკბილ მუსაიფს რა სჯობია!

ნიკა. რაღაც გარემოება რომ არ მაძლევს უფლებას?

სანდრო. მომეყურა თუ ასე თქვა -- გარემოებაო.

ქეთი. ხომ გეუბნებოდით: გარემოება იმიტომ მოიგონა, რომ მე არ წამომიყვანოს.

სანდრო. გარემოება გარემოებაა, ქართველი კაცის სტუმართმოყვარეობა, კი ხომ იცით, რაც არის! გავსწიოთ, მეტი ლაპარაკი ნურც იქნება ამაზე! აბა, სანამ ჩაიცმევთ, მოტორისტთან შევალ, მანქანა მყავს მიყვანილი (გადის). დაბლა ვარ...

ნიკა (გარემოებათა ასეთი დამთხვევა არ მოსწონს, მაგრამ). უნდა წამომყვე, სხვა გზა არა მაქვს.

ქეთი. მაგისტრის დავიხვანჩალე?

ნიკა. შენ თავში ჩიტები ხომ არა გყავს?!

ქეთი. კი, როგორ არა!

ნიკა. ბევრი?

ქეთი. შენ რამდენი გინდა? ცოლს როგორ ელაპარაკები? წესიერი კაცები თანამეცხედრეს ასე არ ელაპარაკებიან. ვინ არის ეს კაცი, სააკაძესავით რომ აუპრეხია უღვაშები!

ნიკა. ჩვეულებრივი ქართველი კაცია!

ქეთი. რა კაცია-მეთქი!

ნიკა (დაბნეული). ეგა?

7.

ქეთი. ჰო, ეგა, ეგა! ენა რატომ დაგება?

ნიკა (უცებ). ეგ კაცი ცნობილი ნუმინმატიკოსია.

ქეთი. ვინა? ეგ კიდევ რა არი!

ნიკა (შეგონებით, უპირატესობის გრძნობით). ნუმინმატიკოსი არის მეცნიერი, რომელიც ფულების, ძველი მონეტების ამოცნობაზე მუშაობს.

ქეთი. რაო, რაზე მუშაობსო?

ნიკა. ეგ ძველი ფულების ამომცნობი კაცია.

ქეთი (გულიანად ხარხარებს). აი, ვის ჰყოლია ჩიტები! შენ ან ძალიან შაყირისტი ხარ, ან აფერისტი -- ფულს რა მეცნიერება უნდა!

ნიკა (ქეთის სიცილი გადაედება). ბავშვიც იცნობს, ხომ?

ქეთი. არა?

ნიკა. ისე შენ ასეთი რამ საიდან უნდა იცოდე, შენ მხოლოდ ის იცი, ხალათი როგორ შემოიხიო ტანზე და შიშველი ფეხები...

ქეთი (ხალათს გადაიწევს, შიშველ ფეხზე). იქნებ, არ მოგწონს?.

ნიკა. გაგიჟებული ვარ, სულ სიზმარში ვნახულობ!.

ქეთი (მიუახლოვდება, თვალეში ჩააცქერდება). ნუთუ, მართლა არ გესიზმ-რებოდი? ერთხელაც არა? (იქმნება შთაბეჭდილება, რომ უნდა აკოცოს.) სულ არა?

ნიკა (სიტუაციაში ვერ გაერკვა, თავს უხერხულად გრძნობს). ჩაიცვი და წავიდეთ, დროზე!

2.

სანდროს სუფრა აივანზე გაუშლია. როგორც ჩანს, კარგა ხანია სხედან -- ღვინო მოჰკიდებიათ. წვიმს. მოქმედების განმავლობაში წვიმა ხან გაძლიერდება, ხანაც მინელდება.

სანდრო. მე არ მიყვარს მცონარა კაცი. მოკლეა წუთისოფელი, მოკლე და ამიტომ ჰქვია მოსწრება. თუ გინდა, სასტუმრო დავარქვათ საწუთროს, რაღა ჩვენი დარქმევა უნდა, -- ისედაც სასტუმროა. ჩვენ კი მისი მდგმურები ვართ. ზოგი საპრეზიდენტო ლუქსში მოხდება, ზოგი ლუქსში, ზოგი გვარიანად გამართულში, ბევრი ცოტა მოწყობილში, უფრო მეტი -- უბრალო ნომერში. სულ გარეთ რამდენი ყრია, სასტუმროში რო არც შემოადგმევენებენ ფეხს -- მთელი სიცოცხლე წვალობს, ჯახირობს რომ გახდეს სასტუმროს მაცხოვრებელი ე-ი ცოტა ადამიანური...

ქეთი. ორი სიტყვა, ორი სიტყვა მათქმევინეთ!

ნიკა. აცალე, არც ესმის შენი.

სანდრო. ამიტომ ვართ ერთ ამბავში, ვჯახირობთ, ვითომ რაცხას ვშობით, სინამდვილეში თავს ვიტყუებთ. კი, კი თავს ვიტყუებთ. ყველაფერი გაკეთებულია უკვე. მერე მოგვადგებიან და... ისე დაუკითხავად მოგვაკითხავს ამ სასტუმროდან გამოსახლებელი, მოხედვას ვერ მოასწრებ.

ქეთი (სკამზე შეხტება). სანამ სადღეგრძელოს არ მათქმევინებთ, არ ჩამოვალ.

სანდრო. აჰ, მაპატიეთ, ბრძანეთ! აბა, ქეიფი იწყება!

ქეთი. ქალის სიმდიდრე სიყვარულის ნიჭი და ერთგულებაა. უბედურია ქალი, ვისაც სიყვარული არ განუცდია და მერე პირველი კოცნის ერთგულებისთვის არ უბრძოლია. თუ სიყვარულისა და ერთგულების ნიჭს დაკარგავთ, ბევრი, ძალიან ბევრი რამ გამოგვეცლება ხელიდან. (ჭიქას ნიკას

8.

მიუჭახუნებს.) არა, ნიკა? (ნიკა უხმოდ შესცქერის.) აბა, დავლიოთ, ხომ?

ნიკა (სვამს). კი ბატონო, კარგია!

ქეთი. ღვინოს ლიმონათივით რომ სვამ, რას აპირებ?

ნიკა. საჭესთან მე დავჯდებიო, ხომ მითხარი.

ქეთი. სასტუმრომდე ისე ჩაგასრიალებ, გეგონება, ზღვაში კრეისერით მივცურავთო.

ვანიკო (შემოდის). რა სანატრელი, საყვარელი ხალხი ამოსულა ამ სიმაღლეზე, კაი გამარჯობათ! მოხარული ვარ თქვენი სტუმრობის, აბა, რა! (მხედრულად ესალმება) მოგესალმებათ ამ კუთხეში ცნობილი „მალიარი“ და „ჟესტიანშჩიკი“ ვანიკო!

სანდრო. სად ხარ ამდენ ხანს, ჩემო ვანიკო!

ქეთი. ამ სოფელში ყველა ოფიცერია?

ვანიკო. აჰ, ჩვენს სოფელში ოფიცერს რა უნდა, აქ ყველა გენერალია. სალდათი ერთია და ისიც მე ვარ, ხო ვყოფილვარ მაგარი!

სანდრო. ოქროს ხელი აქვს ჩვენს ვანიკოს-- მანქანას ისე აკეთებს, ავ თვალს არ დაენახვება!

ვანიკო. მე გენაცვალეთ, ქუთაისიდანაც კი მომდიან მუშტრები!

სანდრო. ე, ვანიკო, მომხედე, თორემ წამიხდა პურ-მარილი, მწვადები

გვაკლია, მაგრამ ჯერ სუფრა, სტუმრები დამილოცე!

ვანიკო. იდღეგრძელეთ! (ქეთის და ნიკას.) რავა უხდებით ერთმანეთს, ერთიმორისათვის გაუჩენიხართ ღმერთს, კიდევ იტყვის ვინმე, ცოლ-ქმრის საქმეში ღმერთი არ ურევიაო?

სანდრო. გაგვიცივდა პურ-მარილი!

ვანიკო. მტერი გაგვიცივდეთ, მტერი! (ჭიქას აიღებს.) ასე ვიტყვი მე: შვილი ცხრა მოგცეთ ღმერთმა, მტერი -- თქვენი კარგად ყოფნით -- გაშტერებული, მეგობარ-ამხანაგი -- დამნობი, ჯიბე -- ბარაქიანი, არც „ჟესტიანშჩიკი“ დაგჭირვებოდეთ,

არც ექიმი და არც -- პატრული, საგადასახადოზე ხო ლაპარაკიც არ არის, ამოიღეს სული! (სვამს) ა, ასე დაგეცალოთ მტერი! წავედი, აგერ ვარ მაყალთან, ყელი არ გამომჭრათ, სადღეგრძელო არ გამომაპაროთ!

სანდრო. ა, ამნაირი ხალხი აცოცხლებს სოფელს. აბა, ქეიფი გრძელდება! ხომ ხედავთ, რა ამინდია, ჩამოიქცა ზეცა. ამდამ ჩემთან მოგასვენებთ, ამნაირი წვიმის შემდეგ ზღვა სამი დღე უშუბური იქნება.

ქეთი (შემპარავად). ახლავე ხო არ წავიდეთ?

ნიკა მასპინძლის უღლეგრძელებლად?

ქეთი. თქვენ სადღეგრძელოები არ გამოგელევათ!

სანდრო. ახლა კი მინდა, თქვენი ოჯახის სადღეგრძელო დავლიო. კიდევ არ გიცნობდეთ, ადამიანი თქვენი დანახვისთანავე დარწმუნდება, რომ ჩინებული, ერთმანეთის გამგები და მოსიყვარულე ცოლ-ქმარი ხართ. ამნაირმა ოჯახურმა სიტკბობამ მოიყვანა ქვეყანა დღემდე. ამიტომ მინდა პირადად თქვენ, ჩემო ნიკა, თქვენ-- მშვენიერო ქალბატონო... (ნიკას.) უკაცრავად ვარ, ძვირფასი მეუღლის სახელი გამომეპარა (ქეთიმ მყის ხაჭაპურის მოზრდილი ნაჭერი ჩაიღო პირში).

ნიკა (უმწეოდ გადახედავს ქეთის) რა...

ქეთი (პირი ხაჭაპურით აქვს გამოტენილი. რაღაცას ღმუის, ნიკას ანიშნებს სახელი უთხარიო). მმმმ...

ნიკა. მაგის სახელად ისიც კმარა, ჩემს მეუღლეობას რომ წაეპოტინა.

სანდრო. რა მითხარით, ვერ გავიგე რა ჰქვიაო!

ნიკა (ქეთის). რა გქვია სახელი! (ხმამაღლა.) თქვენ რაც გინდოდეთ, ის დაუძახეთ!

სანდრო. მაგას ყველანაირი სახელი დამშვენდება, მაგრამ...

9.

ნიკა. ნათელა, ბატონო სანდრო, ნათელა!

სანდრო. მაგიტომაც გადგას ასეთი ნათელი მაგ სახეზე, ჩემო ქალბატონო!

ნიკა. ნათელა, სწორედ ნათელა!

ქეთი (ხაჭაპურს გადაყლაპავს). ქეთი, ბატონო სანდრო, ქეთი!

სანდრო. გადასარევი სახელია, სახიერი, ნათელი.

ქეთი (ხმამაღლა). ქეთი-მეთქი, ქეთი!

სანდრო. ქეთი?

ქეთი. დიახ, ქეთი!

სანდრო. უკაცრავად ვარ, ცოტა ყურს მაკლია-მეთქი კი გითხარით და...

ნიკა. ქეთი, ქეთევანი პასპორტში უწერია, თორემ შინაურობაში ნათელას ვეძახით.

ქეთი. მერე ჩვენ ახლა შინაურებში ვართ?

სანდრო. ეს კი ვერ მომიწონებია შენგან, ჩემო ნათელო ქეთი, მართალია, ამ ბოლო ხანს ნიკამ ხელი აიღო ჩვენზე, თორემ... რომ იცოდეთ, რამდენი სიკეთე გაუკეთებია... სწორედ იმიტომ რომ ძალიან შინაურები...

ქეთი (ნიკას). მაგარი ყოფილხარ. პარლამენტარი ხარ?

ნიკა. სსს...

ქეთი. უმცირესობა, თუ უმრავლესობა?

ნიკა (გაფრთხილების ინტონაციით) უსმინე!

ქეთი. არა,შენ ისეთი მაგარი გიჭირავს, პროკურორი იქნები, წინა ხელისუფლების წევრებს--დღეს უმცირესობას-- იჭერ, ხომ? (სანდროზე.) ეს მეწარმეა და წინა ხელისუფლების მიერ ჩამორთმეული ქონების დაბრუნება უნდა. ბატონო სანდრო, თუ საიდუმლო არ არის, ასეთი რა სიკეთე გაგიკეთათ?

სანდრო. ბევრი, ძალიან ბევრი.

ქეთი. მაინც, მაინც ბატონო სანდრო!

სანდრო (გამოსავალი მონახა). თვითონ თქვას, თვითონ გეტყვით.

ნიკა. ძველი ამბავია, რა საჭიროა!

ქეთი. ცოლმა ქმრის ამბავი ყველაზე გვიან უნდა გაიგოს?

ნიკა. ახლა კი დაგემშვიდობებით, ბატონო კოტე!

ქეთი. ყველაზე გადაყოლილია. ისე იღლება, სახლში რომ მოდის, აღარაფრის თავი აღარა აქვს. აღარაფრის! აი, დღესაც ლამის ოთახიდან გამომაგლო: ნაციონალებმა რომ ხალხს ქონება წაართვეს, იმის უკან დაბრუნებაზე ვფიქრობ, ხელს მიშლიო. ყველა გაიძახის ქონება წამართვესო. ადრე ტიროდნენ, ბლაოდნენ ღარიბი ვართ, არაფერი გაგვაჩნიაო...

სანდრო. ცხოვრება ხომ უნდათ, ყველა დროში ცხოვრების სხვადასხვა საშვალებათა.

ნიკა (ქეთის გაოცებული შესცქერის, წამოდგება). ბატონო სანდრო, დიდი მადლობა, ასეთი კარგი...

სანდრო (აწყვეტინებს) აჰ, არ იქნება, არაფრით არ გამოვა ახლა თქვენი წასვლა!

ნიკა. გადაუღებელი საქმე რომ არ მქონდეს, ასეთ პურ-მარილს...

ქეთი. სულ ასეა, ბატონო სანდრო, სულ!

სანდრო (გასძახის). ვანიკო, რას შობი, ხომ არ გაგიცოცხლდა ის თხა და ხომ არ გაგექცა?

ვანიკოს ხმა. ახლავე, ახლავე იწვება!

წვიმა ძლიერდება.

ქეთი (ნიკას შემპარავად). იქნებ, მართლა წავიდეთ? მერე რა, რომ ასეთი ცუდი

10.

ამინდია, გზაც ოღლო-ჩოლოა, იქნება, წყალიც მოვარდეს...

ნიკა. ისეთი არაფერი...

სანდრო. როგორ არაფერი, ამინდი ძალიან ცუდია, აგერ ვისხდეთ, ვიჭუკჭუკოთ, მერე ნეფე-დელოფალივით მოგასვენებთ.

ქეთი. მეშინია, არ აწყინოს....

სანდრო. ჩემი ღვინო არ აწყენს. ერთი სადღეგრძელოც უნდა მოგახსენოთ: რისთვის ვცხოვრობთ ჩვენ ამ ქვეყანაზე, რისთვის ვიდგამთ წელებზე ფეხს? არ უნდა დიდი გამოცანა: ჩვენი მომავლისთვის, იმისთვის, რომ იმათ შევუქმნათ... ჩვენს შვილებს გაუმარჯოთ, კარგად გვიძყოფოს, აბა! (სვამენ.) თქვენ ჯერ არ გყავთ, ხომ?

ქეთი. მოზრდილი ქალ-ვაჟი.

ნიკა. ნათელა!

ქეთი. რა მოგივიდა, ნიკა—ქეთი, ხო არაფერი გინდა?

სანდრო (დაბნეული). კი მაგრამ... თქვენ ხომ ახლახან...

ქეთი. რა იყო, ნიკა, ჩვენ ხომ შინაურებში ვართ.

ნიკა. ბატონო სანდრო, საქმე ისაა, რომ... ეს ქალბატონი განა, მართლა...

ქეთი. ქეთი.

ნიკა. დროზე რომ მეთქვა, ასე ხომ არ გავწვალდებოდით: ქეთი განა, მართლა ცოლია ჩემი...

სანდრო (ენა ებმის). იისაა... ხოლო...

ქეთი. სიმართლეს გეუბნებათ, ბატონო სანდრო, სიმართლეს...

სანდრო. რავა, ბატონო—ცოლი არ არის?

ქეთი. სასტუმროში ხომ გითხრათ, მეუღლეა ჩემიო. ხომ კარგად გახსოვთ?

სანდრო. როგორ არ მახსოვს! მას მერე კი არ დავბადებულვარ!

ქეთი. ახლა იტყვის, საერთოდ არ ვიცნობ, დღეს პირველად ვნახე, დღემდე თვალიც არ მომიკრავსო. რომ დათვრება, სულ ასეა! და ამას კიდევ მანქანაზე უნდა დაჯდომა. ხვალ დილას მეტყვის, საიდან სადა, ეგეთი რამ არ მითქვამსო. თქვენ მაინც დამიმოწმეთ, რომ ასე თქვა.

სანდრო. არა, ცუდი არაფერი უკადრებია.

ნიკა. რა უნდა ვკადრო, დღეს პირველად...

ქეთი. აი! თხუთმეტი წელიწადი უცებ ჩამიყარა წყალში.

სანდრო. პირველად?

ნიკა. დღემდე თვალიც არ მომიკრავს.

სანდრო (გულიანად იცინის). თქვენ აგაშენათ ღმერთმა! რა კარგია, ცოლ-ქმარი რო ასეა შეხუმრებული.

ქეთი. თუ სიმართლე გინდათ, მე გეტყვით, ყველაფერს გეტყვით.

სანდრო (იცინის). რას ამბობთ, როგორ არ მინდა!

ნიკა. შენ სცენაზე უნდა იდგე! (ჭიქას შეავსებს, დაღევს).

ქეთი. მაინც არ მასვენებს შიში--ამალამ რომ ცუდად გახდე?

სანდრო. ჩემი ღვინო არ აწყენს. დალიოს. ისა... ისა... კანონიერი ცოლ-ქმარი ხომ ხართ!

ნიკა. როგორ არა, როგორ არა, როგორც იქნა, ავისრულე ოცნება!

ქეთი. ა, ასე იცის: ზღვის მოქცევასავით არი, ხომ თქვა, ოცნება ავისრულეო, ხუთ წუთში, ისევ იტყვის, პირველად ვხედავო.

სანდრო. ეგ არაფერი, ღვინომ იცის, მარა არც იმდენი დაუღევია... სადღეგრძელო, ნამდვილი სადღეგრძელო: ნამდვილ სიყვარულს გაუმარჯოს! აი, შენ სიყვარულის ნამდვილი მონა ხარ, ჩემო...

11.

ქეთი. ქეთი.

სანდრო. შენ ქეთი კი არა, იზოლდა ხარ. ნამდვილი იზოლდა! ჩვენი თაობის სიყვარული თურმე კიდევ ცოცხლობს.

ქეთი (ნიკას). ახლოს მოიწი, ტრისტან, ნუ გადარიე ეს კაცი! (თავზე ხელს გადაუსვამს, ეალერსება).

სანდრო. ერთხმად, ერთხმად ვსვამთ! (სვამს.) ა, ასე მტერი დაგეცალოთ! (ნიკა უხმოდ სვამს).

ქეთი (ადროვებს, ვიდრე ჭიქას დაცლიდეს, ალერსით). ცუდად რომ გახდე?

ნიკა. ერთი წუთით უნდა დაგტოვოთ. (მიღის).

სანდრო. მიგაცილებ (ნიკას მიჰყვება.) ხომ კარგად ხარ?

ნიკა. კი, ბატონო სანდრო, საქმე იმაშია, რომ ეს ქალი...

სანდრო. კარგი ქალია ძალიან, მზიარული, მეუღლის მოყვარული...

ნიკა. არა, მე უბრალოდ...

სანდრო. ხათრს გვისწორებს, უყვარს ხუმრობა.

ნიკა (ხელს ჩაიქნევს). აქეთაა ხომ ტუალეტი?

სანდრო. აგერ, ხელმარცხნივ... ამ კიბეს ჩაივლი და...

ნიკა. მაღლობთ.

ქეთი. ჯვარისწერა მართლა არ გვქონია, მაგის გამზრდელი მამიდა არ შვრება.

სანდრო. დრო რომ გარბის?

ქეთი. რა ვქნათ, ბავშვები წამოიზარდნენ, მამიდას ხომ ვერ მოვკლავთ. თუმცა, ჩემს გარდა, სხვა ქალი არ უნდა!

სანდრო. არ მომწონს მე ეს ამბავი, ნამდვილად არ მომწონს.

ქეთი. ჩემ გარდა სხვა ქალი რომ არ უნდა, ის არ მოგწონთ, თუ...

სანდრო. ეს კარგია, მაგრამ... მამიდა... რატომ ჯიუტობას ასე... რამე უბედურება არ მოხდეს -- გამწარებული კაცი...

ნიკა (შემოდის). ახლა კი ნამდვილად დაგემშვიდობებით, ბატონო სანდრო, (ჭიქას ასწევს) დიდი მადლობა!

სანდრო. ცოტა ნასვამი ხარ და...

ნიკა. ხომ დარწმუნდით, რა ყოჩალი ქალბატონი მახლავს. ეს მიუჯდება საჭეს.

ვანიკო (შემოდის შამფურზე წამოგებული შიშხინა მწვადებით). პა პა პა, მოვიდა და რა მოვიდა, მკვდარს გააცოცხლებს!

ნიკა. დიდი მადლობა.

ვანიკო. ჯერ გასინჯე, შენ ენაზე დაიდე, მეტი არაფერია საჭირო, თვითონ იზამს საქნარს...

ნიკა (მწვადს აიღებს, ჭამს). ძალიან კარგია... გაგიმარჯოთ, ბატონო სანდრო...

ვანიკო. აბა, რა სადღეგრძელოებიც აქ შესვით და მე არ გამიგონია, ისე არ გამეგონოს, თქვენი გლახა ამბავი და ნაღვიარებს გაუმარჯოს! (სვამს).

ქეთი (რალაც გადაწყვიტა. ნიკას). მომეცი გასაღები, მანამ სანამ სადღეგრძელოებს მორჩებით, მანქანას მოვაბრუნებ. (ნიკა გასაღებს მიაწოდებს. ქეთი გადის).

ვანიკო. რა იყო ამნაირი, საქმის კაცი რომ არა ვარ და ექვსთვალისანი სახლი რო არ მიდგა, იმიტო არ მადღეგრძელებთ? იქნება, იმიზა არ მოგწონვართ, ხელები კრასკით რო მაქვს მოსვრილი. ამით ვარჩენ მე ექვს სულს.

სანდრო. სიკვდილს დავიწყებოდე, ჩემო ვანიკო, სიკვდილს! ვადღეგრძელოთ ჩემი ოჯახის ერთგული მეგობარი და მაზობელი! ვანიკო, ყველაფერი ალაღია შენზე...

მანქანის ფარების შუქმა მთელი სცენა გაანათა. მანქანა დაიძრა კიდევ და იქვე გაისმა დაჯახების ხმა. ფარების შუქიც უმაღ ჩაქრა.

12.

სანდრო (გარბის). ნათელა, ფუი, ქეთევან!...

ნიკა. ვაჰ! (გარბის).

ვანიკო. ა, ბატონო, კიდევ იტყვიან იღბალი არ არსებობსო! ვილაცას ისიც შეშურდა, რომ მადღეგრძელებდნენ, თორემ დღეში ათასი მანქანა მაინც იმსხვრევა, იმ გოგომ რაღა ჩემ სადღეგრძელოს დაუმიზნა (გადის).

ქეთის ხმა. ასეთი რამ არასოდეს მომსვლია.

სანდრო. ფარებია ჩამსხვრეული, მეტი არაფერი.

ვანიკოს ხმა. ამას რას უშვრები, იცი ამის გასწორებას რამდენი ხლაფორთი უნდა?

ბრუნდებიან. ნიკა დაჟინებით შესცქერის ქეთის.

ა, ხო უყურებთ, კილო იტყვით ღმერთი არ არისო? არ გვაპატია ამ სუფრის მიტოვება რომ გინდოდათ. ააუჰ, რა ქეიფი გვეშლებოდა?

სიმღერას წამოიწყებს. სხვებს ხელით ანიშნებს ამყევითო, სანდრო თავს უხერხულად გრძნობს. ნიკა ჭიქას შეავსებს და დაცლის კიდევ, თუმცა, ქეთის კვლავ არ აცილებს თვალს.

ქეთი (სკამზე კარგად მოთავსდება, წელში გაიმართება და ნიკას მზერას უსწორებს). გული გეტკინა, ხო?

დაბნელება.

3.

საძინებელი ოთახი. ნიკა სკამზე ჩამომჯდარა.

ქეთი. ეს რა მიყავი, რა დღეში ჩამაგდე -- მაინც შემომიტყუე ოთახში! (დუმილი.) პასუხს რატომ არ მაძლევ -- პასუხის ღირსად არ მთვლი? არა, მე აქ არ გავჩერდები (თან თმას იშლის, დასაწოლად ემზადება).

ნიკა. ჰო, წავიდეთ! (გასასვლელისაკენ მიდის).

ქეთი (ხელს წაავლებს, შეაჩერებს). ამ წვიმაში სად მეპატიუები, არ გეყო ჩემი წამება?

ნიკა. მანქანაში ჩავსხდეთ, რალაცას მოვიფიქრებ.

ქეთი. (თითქმის ძალით შემოაბრუნებს ოთახში). ვიცი მე, რასაც მთვრალი კაცი მოიფიქრებს -- მთვრალ კაცთან სექსი მანქანაში, იფ, რა კარგია, სიზმარში ვხედავდი!

ნიკა. არა ვარ მთვრალი.

ქეთი. შენ არა ხარ მთვრალი? შენ მთვრალი არ ხარ? რამდენს პროშნიდი იმ ვანიკოს. ზოგიერთი იდიოტი, ოთახშიც რო შეუვარდე, ქალს არ კოცნის, შენ კიდევ ლოყები დაუღურჯე კიციანით და მგონი, ტურებშიც...

ნიკა. დაიძინე!

ქეთი. ხომ გითხარი, არ წამოვალ, რომ დათვრე და იქ დაგვტოვონ, მთვრალ კაცს როგორ ვეჭიდაო-მეთქი, გითხარი თუ არა!

ნიკა. უკვე გვიანია.

ქეთი. დავწვე, ხომ?. გინდა სულ გამაშიშვლო, ლოგინში შემიტყუო და მერე... ჰუ... ჰუ...?

13.

ნიკა. აბა, ეს რა ლაპარაკია, როგორ შეიძლება!

ქეთი. რა მითხარი? ქალის გაშიშვლებაზე ამბობ, ეს როგორ შეიძლებაო? თუ ქალი არა, სხვა ვინ უნდა გააშიშვლო? მითხარი, ვინ უნდა გააშიშვლო? რას გაჩუმებულხარ -- ვირი?

ნიკა. არ ვიცი.

ქეთი (ლამის იკივლოს). რა არ იცი, ამხელა კაცმა არ იცი, აქლემი გააშიშვლო, ვირი, თუ ქალი? შენ არ იცი? შენისთანა ეშმაკი კაცი ხომ მეორე არ დაიარება საქართველოში, არა, მთელ კავკასიაში, კავკასია რა არი, ნატოს წევრ არცერთ ქვეყანაში! როგორ მოაწყვე ყველაფერი, როგორ მომატყუე. ჯერ გიორგი სააკაძის უღვაშიანი კაცი გამოაძვრინე საიდანდაც... მერე... ეს წვიმა მაინც როგორ მოიფიქრე, ან ვისთან ჩააწყე. მითხარი ერთი, ვის დაარეკინე, წვიმა ვინ ჩაგიწყო.

ნიკა. წვიმას ვინ...

ქეთი. ან მანქანა როგორ დამამტვრევინე, ვახ, რა მაგარი ხარ!.. ფარები როგორ ჩამალეწინე, რომ ამაღამ აქ დავრჩენილიყავით... და ლოგინში ჩამიკოტრიალო... ესეც ხომ შენი მოწყობილია!

ნიკა. აივანზე გავალ, ღამეს იქ გავატარებ.

ქეთი. აივანზე გინდა, არა? აივანზე გახვალ რომ მასპინძლებმა თქვან ცოლმა ლოგინიდან გამოაპანდურაო? არ იცი, რომ ხვალ მთელი სოფელი ამაზე ილაპარაკებს?

ნიკა. აგერ აი, აქ დაეჯდები სკამზე.

ქეთი. ამ სკამზე?

ნიკა. ამ სკამზე.

ქეთი. აქ დაჯდები, რომ მთელი ღამე თვალი არ მომაცილო, მე ხან გადავბრუნდები, ხან გადმოვბრუნდები, საბანი გადამეხდება. გადამეხდება და დაინახავ ჩემს... ჩემს... მერე შენ რაღა შეგაკავებს... ადამიანი ხარ... კაცი ხარ, განა დამჭკნარი კიტრი... და ტკბილ სიზმრებში გახვეულ, საბრალო ქეთის ბულა ხარივით დამეტაკები...

ნიკა (აწყვეტინებს). ეგ საიდან მოიტანე?

ქეთი. აბა? გარეთ წვიმს, ქვეყანა ლამის დაიქცეს. აქ, შენს თვალწინ, ლოგინში, შიშველი ქალი ნებივრად წევს და შენ... შენ არაფერს არ იზამ?

ნიკა. რა უნდა ვქნა?

ქეთი. არ იცი, რა უნდა ვქნა?

ნიკა. არ ვიცი.

ქეთი (თითქმის აღშფოთებული). შიშველი ქალი რომ ლოგინში წევს, შენ რომ იქვე ხარ, ღამე რომაა და ქვეყანა წყალს რომ მიაქვს...

ნიკა. ჰოო, მაგ დროს ხალხს უნდა მიეშველო, წყალი სახლში არ შეუვარდეს. ხომ გინახავს, რა დღეშია ხალხი.

ქეთი (პაუზა, რომლის განმავლობაში ნიკას ყურადღებით აკვირდება. არ იძინებს -- იმავე ტონში განაგრძობს) ქალს რომ საბანი გადაეხდება და მისი ვარდისფერი ბა... ბა... (სიტყვის წარმოთქმისგან თავს იკავებს, ჰაერში ხელით მოხაზავს) ამ დროს შენ რა უნდა ვქნა, არ იცი?

ნიკა (ბრაზით). იცი, რას გეტყვი?

ქეთი. ძალიან მაინტერესებს. (სკამზე ჩამოჯდება) აი, გისმენ. მითხარი, რატომ გაჩუმდი? რატომ არაფერს ამბობ?(დუმილი) სხვა თუ არაფერი გაქვს ამოსაღები, ხმა მაინც ამოიღე-მეთქი, ხომ გითხარი ერთხელ!

ნიკა. ასე არ შეიძლება! მე ასეთი რამ არ მიყვარს!

ქეთი. ჰო... ჰო... მერე? არ შეიძლება, ხომ? არ გიყვარს! ჯერ იქეიფე, იგრიალე,

14.

მერე ქალს მანქანა დაამტვრევინე და ლამის გული გაუხეთქე, ელდისაგან ნახე-ვარი საათი ხმა ვერ ამოვიღე, ახლა ის ლამაზი ქალი ოთახში გყავს გამო-კეტილი და გაიძახი, მე ასეთი რამ არ მიყვარსო! (შეპარვით.) ახლავე სასტუმროში უნდა წავიდე.

ნიკა. ამაღამ როგორ... რანაირად...

ქეთი. გამოდის, ვიდრე შენ მანქანას არ შეაკეთებ, მე აქ უნდა ვიჯდე და გიორგი სააკაძის უღვაშებს და... იმ კაცს. იმ კაცს რა ვქვია? შენ რო ტუჩებში პროზნიდი, რა ვქვია?

ნიკა. ვანიკო.

ქეთი. ვანიკო. ვანიკოს ვუყურო? (დაბეჯითებით. მიზნის სიახლოვეში დარწმუნებული). იქნებ, ის ვანიკო შენი მანქანის გაკეთებას ერთი კვირა მოუნდეს, მე სულ აქ უნდა ვიყო? მთელი კვირა გინდა ჩემთან გაატარო?

ნიკა. ხვალ დილასვე სასტუმროში ტაქსით ჩავიყვან,...

ქეთი. კარგი ბატონო, აივანზე გავიდეთ და სუფრას მივუსხდეთ, ასე ვიყოთ გათენებამდე.

ნიკა. მასპინძლებმა უკვე დაიძინეს... უხერხულია.

ქეთი (ლამის შეუთიოს, რადგან დარწმუნდება, რომ მიზანი ახლოსაა). სტუმარი რომ სუფრას მიუჯდეს, უხერხულია და უცხო ქალთან ლოგინში კოტრიალი არაა უხერხული?

ნიკა. საათს დახედე, რა დროა!

ქეთი. ესე იგი, არაა უხერხული ხომ? უცხო ქალთან წოლა არაა უხერხული, არა?

ნიკა. ხანდაზმული ხალხია, თამრიკო, დაიძინეს უკვე!

ქეთი. რაო, რა მითხარი?

ნიკა. ხანდაზმული ხალხია და დაიძინეს-მეთქი!

ქეთი. სახელი რა მითხარი? (დაჟინებით, თითქმის გამომცდელად შესცქერის.) არა, არა! შენ ან ოცამდე ჩიტი მაინც გყავს, ან აფერისტი ხარ?

ნიკა (დაბნეული). კი, მაგრამ...

ქეთი. ჯერ ის მითხარი, ჩიტები დაგიდიან, თუ აფერისტი ხარ?

ნიკა (მეტისმეტი გულუბრყვილობით). არა... როგორ არა... (უცებ.) კი, მაგრამ აფერისტი რატომ უნდა ვიყო?

ქეთი. ფულის ამოცნობაც რომ პროფესიად გამომიცხადე, ვინ გინდა გააბრიყვო?! ზღვაზე დასასვენებლად ჩამოსული ქალი მთაში ამომიტყუე, მანქანა დამამტვრევინე, ეს არ იკმარე და მომნათლე კიდევ? სახელი რაღად გამომიცვალე? ვინ გთხოვა, ჩემი ნათლია იყავი, ვინ გეკითხება შენ ჩემს სახელს! (ნიკა დუმს.) ხმას რატომ არ იღებ?

ნიკა. ბოდიში უნდა მოგიხადო, რა ვქნა... როგორ ვიფიქრებდი, რომ...

ქეთი. ამა და ამ ქალს კაცმა ჯერ ბოდიში მოუხადა, შემდეგ კი გვერდში მიუწვაო, რომ გითხრან, ხომ მოკვდები სიცილით?

ნიკა (უცებ კი შესძახებს). არა, არა!

ქეთი. რა არა, არა?!

ნიკა. ვინა თქვა, რომ გვერდში უნდა მიუწვესო...

ქეთი (აწყვეტილებს). არა, ხომ? ძალიან კარგი. მოდი, ასე მოვიქცეთ, შენ შენს საწოლზე დაწევი, მე კიდევ -- ჩემს საწოლზე. შუქი არ ჩავაქროთ. აი, ეს ფანჯარაც გავაღოთ და კარიც ღია დავტოვოთ. (კარსაც გააღებს, ფანჯარასაც, ოთახში წვიმის ხმა შემოიჭრება.) არა, ასე არ გამოვა, წვიმა მოსვენებას არ მოგვცემს, კარსაც ვერ გავაღებთ. ხომ იკითხავენ, ცოლ-ქმარი კარღია ოთახში

15.

რატომ წევსო. უნდა დავხუროთ. (კარსაც მიხურავს, ფანჯარასაც.) უნდა ჩავკეტოთ, თორემ ქარი გააღებს (ჩაკეტავს.) აი, ასე! შუქიც ჩავაქროთ, თვალებში მცემს (ჩააქრობს.) რა სიბნელეა? აი, ახლა მე გავიხდი და საინტერესოა, შენ შიშველ ქალს დამეტაკები თუ არა? (კაბას იხდის.)

ნიკა. მოგეშველო?

ქეთი. გინდა? ძლიერ გინდა?

ნიკა.ჰო, ასე...

ქეთი. მხედავ? ხომ ვერ ხედავ, რომ უკაბოდ ვდგავარ? შიშველი, სულ შიშველი... ძალიან კარგი! რა? რას მეხვეწები, ვერ გავიგე, რა გინდა! მე გაგხადო? მე რატომ უნდა გაგხადო? ხმას რატომ არ იღებ? ჩემი თითების შეხება გესიამოვნა? (ხალათს ხდის, თან ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით.) ძუძუზე რომ ხელი წამავლე, ჩემი ქმარი ხომ არ გგონია თავი! მე ისიც გამიგია, რომ ცოლს ქმარი უცემია... იცი, რას გიზამ? იცი, როგორ გცემ, ჩემო სულელო ქმარო? აი, ხალათი გაგხადე, მაისურიც გაცვია? ეს რა არის, ნიკა, როგორ გეპატიება, დღეს მაისური ვის აცვია? მითუმეტეს სექტემბერში! ასწიე, ხელები ასწიე! ხელებზე გეუბნები, ფეხები დაუშვი, მაისური უნდა გაგხადო, განა ის... არა, ძუძუს ხელს ნუ მოაცილებ, მე ისე გაგხდი მაისურს... რა მოგივიდა? ასე რატომ ნერვიულობ? რა ფაფუკი მაისურია! ავადმყოფის პატრონებმა მოგართვეს, ხომ? როგორ მიყურებ, შიშველი ქალი არ გინახავს? მეორე ძუძუ აგერ, აქ არი, მომეცი შენი ხელი! ...აქეთ ძუძუზე მაკოცე, ნუ მკბენ! შარვალი თვითონ გაიხადე, მაგდენს კი მოახერხებ... გაიხადე და დაწექი... ასე რატომ იყურები? შენ ხომ მითხარი, ვერ გხედავო. დაწექი და ჩემკენ არ გამოიხედო. იცოდე, არ გამოიხედო, თორემ ერთ ამბავს ავტებს, რა ბუნჩულა ხარ! მე დაწექი! მაგრამ პირობა უნდა მომცე, რომ არ მომეხვევი, არ დამიკოცნი ტუჩებს, ყელს, მკერდს, ყველაფერს, ყველაფერს, ყველაფერს... პირობა უნდა მომცე, რომ მთელი ღამე ხვევნასა და ალერსში არ გამატარებინებ. იცი, როგორ არ მიხდება უძილობა? ხომ მომცემ პირობას, რომ ამ სქელი და ბუნჩულა ტუჩებით... თუმცა, არა... აი, ამ ხელს ძალიან ძლიერად არ მომხვევ მკერდზე, შეხე, რა გაბედული ყოფილა! აბა, არ ვიციო... ისე ძლიერ, რომ სუნთქვა შემეკრას, სინარულისაგან ღამის გულიც წამივიდეს, მერე თმაში ჩამიყოფ თითებს და აი, მაგ თითებით თმას დამივარცხნი, ნელა, ძალიან ნელა დამივარცხნი. და მე მთელ სხეულში ჟრუანტელი დამივლის, ისეთი ჟრუანტელი, რომ მოვითენთები, მოვეშვები (ნათელ, გაბრწყინებულ თვალებში ცრემლი აუკიაფდება.) და დავეშვები შენს მკლავებში, ნელა, ნარნარად დავეშვები. ისე ნებიერად, როგორც ღრუბელი ეშვება ქვეყნიერების სავანეში და, იცი, ეს რა არის? ეს იმ ღრუბლის ბედნიერებაა, ნიკა, იმ ღრუბლის სინარული, რომელსაც სავანე გააჩნია, თავისი სავანე! და მას შეუძლია იწვეს ამ სავანეში, იმდენი ინეტაროს, რამდენიც სურს, სულ იწვეს, სულ, მარადის, ვიდრე წვიმად არ იქცევა და ქვეყნიერებას ტანს, პირ-სახეს არ დაბანს!

ნიკა (ხელს გადაუსვამს). შენ ძალიან, ძალიან კარგი გოგო ხარ, ქეთი!

ქეთი. ღმერთო, რატომ არ თოვს? თოვლის სიმღერა რატომ არ მესმის?

ნიკა. მე ვერ მოგცემ იმის პირობას, რომ არ მოგეხვევი, ღამეს ალერსში არ გაგატარებინებ.

ქეთი. თოვლი? სად არის მშრალი, ქათქათა თოვლი.

ნიკა. მოვა, თოვლიც მოვა!

ქეთი. როგორ მინდა, ამაღამაც ისევე თოვდეს! მესმის, მესმის თოვლის მუსიკა... ჩემს მხარეს მაინც არ გადმოხვიდე!

ნიკა. უკვე ორივე ერთ მხარეს ვართ!

ქეთი. მეშინია,

ნიკა. ეგ კარგი შიშია, ნუ კანკალებ!

ქეთი. მაშ, არ მეშინოდეს?

ნიკა. არა!

ქეთი (მყისიერად შეჰკვივლებს) ვაი!

ნიკა. კარგია, კარგი... ასე...

ქეთი. ჰოო...კარგია...თოვლიც წამოვიდა... რა ლამაზად თოვს!

ნიკა. ყური მიუგდე თოვლის მუსიკას(კოცნის).

ქეთი. შემოდი...ჩემში...ჩემში...სულ ჩემში...

ფარდა

მეორე მოქმედება

4.

ვანიკოს სახელოსნო. ვანიკო მანქანის შესაღებ საღებავს ამზადებს, თან ნიკას ესაუბრება.

ვანიკო. მამტყუნებ, ხო, გულში დამცინი კიდეც: რა ამბავია, რამ გადარია ექვსი შვილი რამ გააჩენინაო. დამცინე, ეგ არაფერი. მე მიხარია და შენ რაც გინდოდეს, ის იფიქრე!

ნიკა. კარგია, ძალიან კარგი, გაგეზარდოს!

ვანიკო. არც მეკითხები, ამდენი რატო გააჩინე, რა ამბავიაო. არ გაინტერესებს?

ნიკა. როგორ არა, მაგრამ ხელი არ შევეშალო-მეთქი და აღარ გკითხე.

ვანიკო. ახლოს მოიწი, სიძე ბატონო, მაგ ლელვს ძირიანად გაჩუქებ, თუ გინდა! შენ უნდა იცოდე, ეს ამბავი. ა, ზღვა აგერ არი, ყურისძირში, მიწა, გაგიხარია აქ ხეირიანი იყოს. ჰაერი და წყალი ხო არი და არი! და მოეწონათ, მოეწონათ და ჩვენს კუთხეში ჩამოსახლდა უცხო ხალხი... ბევრი მოვიდა ძალიან ბევრი -- იმდენი რო, ვაითუ, ძაღვ ჩვენ ვიყოთ მაგათზე ცოტა. ასეა ბატონო, ოჯახის პატრონი უპრაგონოდ რომ გააღებს კარს და დაიძახებს: მობრძანდით, ვისაც გენებოთო. რო დოუძახებ, იმ კაცს დასაჯდომი უნდა და დასაწოლი, ჭამა და სმა. ცოტა ხანში კი ვერ ეტყვი მოსული ხარო. მერე რა, მოსული როა, ახლა ხო აქ არი! ამასწინათ ქალაქში ჩავედი, რა ნახეს ჩემმა თვალებმა -- ამდენი უცხო სად არი! ეს ერთი, ახლა მიორე: გაიხიკა ხალხი ჩვენი სოფლიდან, ახალგაზრდები ნამეტნავად, აქ თავთავიანთი ბებია-ბაბუები დაყარეს და იქ სხვების ბებია-ბაბუებს უვლიან. ბიჭო, არ შეიძლება ის თავის ქვეყანაში იყოს და ჩემი -- ჩემს ქვეყანაში? მოვედი შინ და ჩემ ქალს ვუთხარი, ჩვენ სულ ხომ არ ვიქნებით, ამ სოფელს, ამ ეზო-კარს თავისი პატრონი ხო ჭირდება-მეთქი, ეზო-კარს რო თავი დავანებოთ, იმ ორ ბაღანას ხომ ჭირდება პატრონი, აგერ რომ დარბიან-მეთქი. თითო ბაღანას თითო ძმა, გინდა და უნდა გაუჩინო პატრონად, აბა! (თვალებს

ემშაკურად მოჭუტავს, ნიკას მიაცქერდება.) რაღა დაგიძალო და დავცხეთ და დავცხეთ, დავცხეთ და დავცხეთ, დროს უქმად არ ვკარგავდით. ექვსამდე რო ავედით...

გოგი (აუჩქარებლად შემოდის). გამარჯობა, ვანიკო!

ვანიკო (დაჟინებით აცქერდება). კაციას გაუმარჯოს კაციას, ათი ცხენოსნით მოგესალმები, ჩემო კაცუნო!

გოგი. რა ვქნა ახლა მე--ძირში შეგაჭრა ეგ ენა, თუ ცოტა, პატრა დაგიმოკლო.

ვანიკო. არ ხარ კაცია? კაციკო? კაცუნა?ის ხარ, კი,!

გოგი. ე, მაგიტომ ვაპირებდი შენი ენის დამოკლებას, მარა დამასწარი -- მაინც

თქვი ის, რასაც არ უნდა ამბობდე! იქნება, ის სჯობდეს, მესხიერება დაგაკარგვინო.
ვანიკო. ბიჭო, შენ მართლა დიდი კაცი გამხდარხარ! მაგიც შეგიძლია? ვაი, ვანიკოს და უი -- ვის ემასხარავეები, ვის!

გოგი. ასეა, ჩემო ვანიკო, ასე: ენას თუ არ დაიმოკლებ, იმას მიიღებ, რაც გეკუთვნის.

ვანიკო. რა იყო, შე კაცო, ჩემ თვალწინ ხარ გაზრდილი... ჩემი ხუმრობა...

გოგი. მერე, ჩემზე უფრო არ უნდა იცოდე, ხუმრობის დრო და ალაგი?

ვანიკო. შენ გლახა სიზმარი ხო არაფერი გინახავს?

გოგი. სიზმარი რო ნახო, უნდა დაიძინო. თქვენს ხელში ჩვენ რა დაგვაძინებს.

ვანიკო. თქვენც მასე ხართ? ბიძაჩემიც მაგან არ მოკლა? ბევრი ფული რომ იშოვა, შიშით ძილი დაკარგა და სამ თვეში... მასე იქნებით, აბა რა!

გოგი (ქალაღდს ამოიღებს, რაღაცას წერს). მეცი ამდენი პატივი--ეს წერილი ბიძაშენს ჩაურბენინე, ნუ დააყოვნებ, საჩქარო საქმეა.

ვანიკო (წერილს არ გამოართმევს). აჰ, არ შემიძლია, შენ ჩაუტანე, ეგერ არი, ე, იმ ფერდობზე რო სასაფლაოა. მე ეს მანქანა მაქვს შესაღები.

გოგი. ნუ აყოვნებ!

ვანიკო. იქნება მოადგილეს დაავალო... კაი ცქვიტი ბიჭია...

გოგი. ის ზის ხმაგაკმედილი. ისიც უთხარი ბიძაშენს, ენა რომ დავიგრძელე, ამიტომ გამომატანეს, თორემ ისე არაფერს მერჩოდნენ თქო.

ვანიკო. არა გოგის, ბატონ გიორგის ვენაცვალე, ეს მანქანაც არ მქონდეს შესაღები, კიდე მინდა ერთი ორი ბალანა შევმატო ჩვენს ქვეყანას და ნუ ჩამიშლი ამ მამულიშვილურ წამოწყებას.

გოგი. ვისია ეს მანქანა?

ვანიკო. აგერ, ამ პატიოსანი კაცის. დაქორწინდა და თაფლობის კვირას იმ სოფელში ატარებს, შენ რო დაიბადე და გაიზარდე. რავარი პატივისცემაა. არ არი გადასარევი?

გოგი. ჩემი მანქანა სადღაა?

ვანიკო. ა, აგერაა „სუშილკაში“, ისე შეგიღებე, ავ თვალს არ დაენახვება! მობრძანდი, ნახე. (გოგი და ვანიკო გადიან).

ქეთი (შემოდის, თან ჩანთა მოაქვს. სულ სხვაგვარად, ფიქრიანად მოდის, სადღაც გამქრალა მისი ანცი, თითქოს მხიარული მოძრაობა, მზერაც სულ სხვაგვარი აქვს). ესეც ასე!

ნიკა. ჩანთა რატომ წამოგიღია? (ქეთის ხელს გადახვევს.)

ქეთი (ცივად). ვანიკო? ვანიკო სად არის?

ნიკა. შენ რა? რაღაც...

გოგი (შემოდის ვანიკოსთან ერთად, ჯიბიდან ქალაღდს ამოიღებს). ეს თქვენ ახლადდაქორწინებულებს ჩემგან -- საქორწინო საჩუქარი!

ნიკა. რა არის?

გოგი. ეს სოფელი მიყრუებული ადგილი არ გეგონოთ -- ისეთი ვარიეტე ჩამოვიყვანეთ, ყოველი გოგო ცხენის სიმაღლეზე სწევს ფეხებს. შედით, ისიამოვნეთ! (ბილეთებს გადასცემს და მიდის. სამ-ოთხ ნაბიჯს გადადგამს თუ არა, შეჩერდება. მობრუნდება.) თქვენ... (ქეთის.) შენ... ეს თვალები... ეს მზერა...

ქეთი. ვერ გავიგე!

გოგი. დიდუბის პანთეონთან, მეორე ჩიხი, ნომერი თხუთმეტი!

ქეთი. დიას!

გოგი. ქე-თი... ქეთი! (ეს სახელი ალერსით წარმოსთქვა, ამ კაცისაგან ასეთი ალერსიანი ინტონაცია მოულოდნელიც კია).

ქეთი (გოგის ყურადღებით აკვირდება). თქვენ... ვინ ხართ? უკაცრავად...

გოგი. როგორ გამოცვლილხარ, ქეთი!

ქეთი. ვერ გცნობთ, იქნებ...

გოგი. შენ ვერასოდეს ვერ მცნობდი... (ნიკას გადახედავს.) აქამდე არ გათხოვილხარ?

ქეთი (მის მზერაში რაღაც ონავრული გაკრთა). კაციკო, კაცუკა, შენ ხარ?

გოგი (გარბის). არა, არა, არა!

ქეთი (იცინის). ჩვენი კაცია, კაციკო, კაცუნა!

ნიკა. რა მოგივიდა, ვინ არის?

ქეთი. სტუდენტობისას ჩვენს ქუჩაზე ცხოვრობდა ნაქირავებ ოთახში. საწყალი კაციკო!

ვანიკო. ვინ არი საწყალი, მაგის დარდი ნუ შემოგეყრებათ! საგადასახადოს უფროსია, ჩვენს ტელევიზორშიც ხშირად არი, გაზეთშიც... ვისაც უნდა, იმას დაიჭერს...

ქეთი. კაციკო ტელევიზიაში?

ვანიკო. მაგი ბიძიებო, ძალიან ჭკვიანი ბიჭი გამოდგა. თბილისში, თურმე ვიღაც ნაყვარება, იმას, უკაცრავად პასუხია და, ფეხებზე დაუკიდნია და იმ ქეციანი დიპლომით და მოკლული გულით რომ დაბრუნდა, საქმეზე ვერ იყო მუყაითად. დაბლაყუნობდა უაზროდ და უსაქმოდ, მარა მოხდა რევოლუცია და...

ქეთი. კაციკო და რევოლუცია?

ვანიკო. კაციკო? ყველაზე მეტს ეგ ყვიროდა. დაიწყო მიტინგობია და... კაციკომ იმ გოგოს ჟინი წინა მთავრობაზე იყარა -- იმის მამა, თუ ძმა ყოფილა რაცხა იქ, მთავრობაში.

ქეთი. და კაციკო იმას...

ვანიკო. ქვას ქვაზე არ ტოვებდა. ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა,.... მოკიდა ახალმა მთავრობამ ხელი და...

ქეთი. კაციკოს?

ვანიკო. სახელი გამოიცვალა, გიორგი მქვიაო... მარა ჩვენთვის მაინც კაციკოა... ამ სოფელშია დაბადებული... თორემ იქ, ქალაქში, მთავრობაში ბატონი გიორგია!

ქეთი. ბატონო ვანიკო...

ვანიკო. აჰ, ბატონოს ნუ მეძახით, ღირექტორი კი არა ვარ, მაგ სიტყვებით რომ მომთაფლოთ.

ქეთი. წავალთ ჩვენ ვნახავთ რა ვარიეტეა ამნაირი!

ვანიკო. წადით, წადით, ეს მანქანა დღეს მაინც არ იქნება!

5.

ნიკა და ქეთი მაგიდას მისხდომიან. ისმის ბავშვის სიზმარივით მშვიდი და უშფოთველი, ხანაც მშფოთვარე მუსიკა.

ნიკა. გზაში ვისაუბროთ. ახლა ცეკვებს ვუყუროთ.

ქეთი. გზა... გზა აქ მთავრდება.

ნიკა. გისმენ ჩემო ქალბატონო, ყურადღებით ვარ (ქეთი ღუმს.) გისმენ.

ქეთი. ცოტა მაცალე! აი, ვუყუროთ ამ მოცეკვავე გოგო-ბიჭებს, ვსვათ შამპანური და...!

ნიკა. და...

ქეთი (მცირე პაუზის შემდეგ, ნიკას თვალს თვალში გაუყრის). ეს კონცერტიც

დავამთავროთ.

ნიკა. (პაუზა.) ვერ გავიგე.

ქეთი. დღეს შენ იმდენ რამეს გაიგებ, რომ...

ნიკა (გათამაშებული შიშით). მე თქვენ მაშინებთ, ქალბატონო, მაგ იღუმალის თქვენის სიტყვებით. გისმენ. (ქეთი ღუმს) გისმენ, ყურადღებით გისმენ.

ქეთი (პაუზის შემდეგ). მე კი მაინც ველოდი... ამ დღეების განმავლობაში სულ ველოდი, რომ... გაგახსენდებოდი.

ნიკა (უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს თეატრალური პათეტიკა მღელვარების დასაფარავად უფრო სჭირდება, ვიდრე განწყობილების გადმოსაცემად). როგორ არა, როგორ არა, ჩემო კარგო!

ქეთი. სულ ვერ მიცანი? არ გაგახსენდი?

ნიკა. ო, მომიტევე, ძვირფასო ჩემო, თუმც, ნათელია: დანდობის ღირსი არა ვარ შენგან.

ქეთი. ნიკა!

ნიკა. არც სიყვარულის, არც ხვევნა-კოცნის, და რაც მთავარია...

ქეთი. ნუ მაიმუნობ!

ნიკა. რატომ გინდა, მაიმუნობა უწოდო ადამიანის თვალის გახელას, მე მხოლოდ ახლა, მხოლოდ ახლა მივხვდი რაოდენ ძვირფასი განძი ხარ...

ქეთი (სახეგაბრწყინებული აწყვეტინებს). მიცანი? მართლა გაგახსენდი?

ნიკა (კიდევ უფრო მეტი პათოსით). ან აქამდე როგორ ვერ მივხვდი, ალბათ, იმიტომ რომ ჭურში ვიჯექი და ლობიოს ვარჩევდი.

ქეთი. ნიკა, მართლა მიცანი?

ნიკა. როგორ არა, როგორ არა, ჩემო ქეთი, ახლა ყოველი გამახსენდა -- როგორ გვიყვარდა ჩვენ ერთმანეთი, როგორ გვიყვარდა!

ქეთი. ნიკა!

ნიკა. როგორ ველოდი, დაღამებას. დღისით, მზისითაც მეწადა მაგ შენი თმის მრუმე ღამეში...

ქეთი. დაღამებას?

ნიკა. მზის ამოსვლა კი შიშის ზარს მცემდა, რადგან დგებოდა ჟამი შენთან განშორებისა.

ქეთი (ახლალა მიხვდა, რომ ნიკა თამაშობს და თვალეში სინარულის შუქი ჩაუქრა). მე კი მეგონა, რომ...

ნიკა (კვლავ განაგრძობს თამაშს). მახსოვდი კიდევ, ჩემო კარგო, როგორ მახ-სოვდი!

ქეთი. მე კი... მე კი... (ყოყმანობს, ვერ მოუხერხებია თქმა.)

ნიკა. შენ კი დაგავიწყდი... შენი გული სხვამ წარიტაცა.

ქეთი (თითქმის თავისთვის). მე თუ ვინმეს ცოლად წარმოვიდგენდი თავს, მხოლოდ შენს გვერდით.

ნიკა. როგორ მომწონხარ, რომ იცოდე, როგორ მომწონხარ, სწორედ იმის გამო, რომ შეგიძლია ათასი რამ გამოიგონო.

ქეთი. ეს შენთვისაა გამოგონება, ჩემთვის კი მთელი ცხოვრებაა!

ნიკა. რა სერიოზული ხარ, ქეთი, განა შეიძლება ადამიანი სერიოზული იყოს ასეთ დღეებში.

ქეთი. რამდენჯერ ვიყავი შენი ცოლი, მზრუნველი მეუღლე, რამდენჯერ ავად გამიხდი. სიცხიანი იწექი... გივლიდი.

ნიკა. არასოდეს არ მქონია სიცხე -- ყოველ დღით ცივი ტილოთი ვიხელ ტანს.

ქეთი. რა კარგი იყო ბაკურიანი... თხილამურებით სრიალი. შენ მასწავლე თხილამურებზე დგომა.

ნიკა. ორ დღეში ჩემსავით დასრიალებდი.

ქეთი. საღამოს კი ბარი... გვიან ღამემდე... შამპანურები...

ნიკა. ყოველ ღამე ვსვამდით. სიჭაბუკეში რომ ჭკუა გვქონდეს, არც კუჭის წყლული გაგვიჩნდება, არც წნევა შეგვაწუნებს...

ქეთი. იმ ღამეს შენს გვერდით ვიჯექი. შენ გიტარა აიღე და დაკვრა რომ დაიწყე, მე შემომცქეროდი -- მე მიმღეროდი....

ნიკა. ლამაზი გოგოების ცქერა ნუ მომიშალოს ღმერთმა!

ქეთი. რა ბედნიერი ვიყავი -- ლამის ვიტყვი, მაგრამ მეორე დღეს კოხტა გორიდან თხილამურებით რომ ვეშვებოდით, სამჯერ ჩამიქროლე, მერე საბაგიროსთან გვერდი-გვერდ ვიდექით, ზედაც არ შემომხედე.

ნიკა. ბაკურიანში შენ... ბაკურიანში შენ შემხვდი?

ქეთი (პაუზის შემდეგ მწარედ). მეორე ღამეს ისევ შამპანიურს სვამდით ბარში, მე რომ დამინახე, ისე წამოხტი, თითქოს მთელი დღე მეძებდი...

ნიკა (სულმოუთქმელად). როდის იყო ეს ამბავი?

ქეთი (თითქოს ოცნებამ გაიტაცა). თითქმის ოცი წელი გავიდა უკვე... ოცი წელი... პირველ კურსზე ვიყავი... ჩვიდმეტი წლის, სახლიდან პირველად გამიშვეს მარტო და... (შეყოვნდება.) უბედურებაა, როცა ადამიანი იმის მონად გადაიქცევი, რაც ასე გახსოვს... მითუმეტეს, თუ ქალი მხოლოდ ჩვიდმეტი წლისა ხარ და ის ბიჭი, ვინც იმ თოვლის მუსიკაში აკოცა, ზღაპრულ უფლისწულად წარმოიდგინა.

ნიკა (ყურადღებით შესცქერის. პაუზის შემდეგ) კი, მაგრამ... კოცნა რა შუაშია?

ქეთი. დამშვიდდი, ნიკა! შენ იმ ღამეს ისეთ კარგ სიტყვებს ამბობდი, რომ სამი ჭიქა შამპანური სულმოუთქმელად დავცალე.

ახლა გათამაშდება 20 წლის წინანდელი სცენა ისევე, ქეთი და ნიკა თბილ ქურქებს მოიხურავენ.

ბაკურიანი, ბარი, ვარიეტისაგან განსხვავებით აქ მუსიკა არც ისე ხშირად უკრავს.

ნიკა. სადღეგრძელო, დიდებული სადღეგრძელო! იმ ვარსკვლავებს გაუმარჯოთ, ჩვენს ცას რომ აბრწყინებენ, იმ მთვარეს გაუმარჯოს, ჩვენ რომ გვიღიმიან, იმ თოვლს გაუმარჯოს, მუსიკით რომ ავსებს სამყაროს. (მისი სიტყვებით მონუსხული ქეთი თვალს ვერ აშორებს) და იმ ანგელოსს გაუმარჯოს, მე რომ გაკვირვებული მისმენს!

ქეთი. არა, არ, მე არაფერი!

ნიკა. ვხვდები, ყველაფერს ვხვდები: ვარსკვლავებს, თოვლს და მთვარეს ერთად როგორ ხედავსო (ქეთის.) ასეა, ამ საღამოს შენ ხარ ჩემთან, ჩემს გვერდით და ვხედავ. (სვამს.) რატომ არ სვამ?

ქეთი. არ მიყვარს.

ნიკა (გაკვირვებული). შამპანური არ გიყვარს? იცი, რას ნიშნავს შამპანურზე უარის თქმა?

ქეთი. არასოდეს დამიღვია. არ შემიძლია!

ნიკა. თუ არ დალევ, ხმას აღარ გაგცემ.

ქეთი (ნელ-ნელა სვამს). აი! თავი ამტკივდება, მაგრამ...

ნიკა (ქეთის თმაზე ალერსით გადაუსვამს ხელს). იცი, ასე რატომ მომწონხარ? (ქეთი თავს უხმოდ გააქნევს.) დედაჩემს მაგონებ -- მასავით სუფთა თვალები

გაქვს ახლა დედაჩემისა და შენს სადღეგრძელოს ერთად ვსვამ... ორივეს გაგიმარჯვოთ! (სვამს).

ქეთი. მე დალევა არ შემიძლია.

21.

ნიკა. თუ არ დალევ, ქუჩაში გვერდს აგივლი, ვითომ ვერ დაგინახე, ძალიან გინდა ქუჩაში ვერ გიცნო?

ქეთი (სვამს). აი!

ნიკა. ახლა კი ვიცეკვოთ!

ქეთი. ცეკვა არ ვიცი.

ნიკა. არც მე ვიცი, არც მიყვარს, მაგრამ შენთან ერთად მაინც ვიცეკვებ (ქეთის ხელს წაავლებს, საცეკვაოდ მიჰყავს).

ქეთი. უკვე გვიანია, წავალ.

ნიკა. მე ხომ გითხარი, რომ მომწონხარ. და ვინც მომწონს, იმას როგორ დავცილდები. არ გვინდა ცეკვა, გარეთ გავიდეთ, თოვლში ვიაროთ. დათო, ღია, ბიჭებო, ჩვენ თოვლში სასეინოდ მივდივართ.

ავანსცენა. მშვიდად და ხვავრიელად თოვს.

ქეთი. რა ლამაზად თოვს!

ნიკა. ლამაზად მაშინ თოვს, როცა სული ძღერის, უამისოდ ეგ ყველაფერი ცივი წყალია. ყური მიუგდე თოვლის მუსიკას. ახლოს მოიწი! (მოიზიდავს, კოცნის)

ქეთი. ღია და დათო დავკარგეთ, წავალ!

ნიკა. არა, ცოტაც მოიცადე, თორემ საღამომდე ველარ გნახავ. (ქეთის მოიზიდავს უფრო ხანგრძლივად, მეტი ვნებით კოცნის).

ქეთი. წავალ, რა...

ავანსცენაზე შუქი ქრება. ორივენი მთიანი სოფლის კაფეს უბრუნდებიან.

„წავალ“!, „წავალ“! -- გამბობდი და არ მივდიოდი. შენ კი მკოცნიდი და მკოცნიდი. მე მინდოდა, კიდე, კიდე გეკოცნა. დავდიოდით თოვლში და შენ მიკოცნიდი ლოყას, ტუჩებს, ყელს... თოვლის საუფლოში. ასე შევხვდით მხურვალე განთიადს. ღმერთო, ასე რატომ გაქრა ის ღამე, ასე რატომ დაიკარგა. რა ბედნიერი ვიყავი... ჩემი ერთადერთი ბედნიერი ღამე! სიგარეტი გაქვს?

ნიკა. მე ხომ არ ვეწევი.

ქეთი. საღამოს აღარ გამოჩნდი -- არც სასტუმროში, არც ბარში... აღარც დათო... სად არ გეძებდი... თითქოს იმიტომ გაჩნდი ქვეყნად, რომ ჩემთვის ერთი ღამის სინარული მოგენიჭებინა, მხოლოდ ერთი ღამის...

გოგი (შემოდის. ერთ ხელში შამპანურები უჭირავს, მეორეში -- დიდი კოლოფი). ახლად დაქორწინებულებს ჩემი საღამო და გამარჯვება! მინდა გადღეგრძელოთ. იბედნიერეთ, უკვე ბედნიერი ხართ იმით, რომ ერთმანეთი გიყვართ. (ნიკა ირონიულად იღიმის. ქეთიზე) მე ვიცი, ეს უსიყვარულოდ არავის გაჰყვებოდა -- ვინც არ უყვარს, იმასთან კლდესავით ცივია. ხომ ასეა, ქეთი?

ნიკა (ირონიულად). ჭეშმარიტებას ბრძანებთ, სავსებით მართალი ხართ.

გოგი. თუმცა, თუმცა, ჩემო მეგობრებო, უნდა გითხრათ,

ქეთი (გალიზიანებული). ეგ სიბრძნე ვინ ჩაგაგონა!

გოგი (ღიმილით). ცხოვრებამ. სიყვარული სევდაა, კაემანია..

ქეთი. ცუდი ცხოვრება გქონია. სიყვარული ყველაზე ნათელი...

გოგი (აწყვეტინებს). კარგი რა, კარგი რა! წიგნების ენით ნუ მელაპარაკები. ცხოვრებაზე მითხარი რამე... (ჭიქებს შეავსებს.): მინდა, ცხოვრებისგან გალახული იმ

კაცის სადღეგრძელო ვთქვა, ვინც წუთისოფელს ებრძოდა და ფეხზე წამოდგომა უნდოდა. ღმერთმა თავის თავთან დაბრუნების ძალა მისცა! მაგრამ ერთი ღამის სიცივე მაინც მთელი ცხოვრება მოჰყვება.

ქეთი (თითქმის თავისთვის). ერთი ღამე... ერთი ღამის სხივი.

გოგი (განაგრძობს დაწყებულ ფრაზას). სიყვარულის გამო ჩაიჩოქა, წაიქცა

22.

კიდევ, მაგრამ მაინც... იმ საღამოს ჩვეულებრივად იდგა პანთეონთან... ის გოგო კი (ქეთის შესტკერის.) ის გოგო თავაწეული, ამაყად მიაპობდა ქუჩას, სათვალღიანი ბიჭი მისდევდა... (პაუზა.) ჰო, სათვალღიანი ბიჭი მოსვენებას არ აძლევდა. გოგო შეჩერდებოდა, სათვალღიანს ორიოდ სიტყვას მიუგვებდა და ბრაზით განაგრძობდა გზას. ბიჭი კიდევ გზას მოუჭრიდა, რაღაცას ჩასძახოდა. და როდესაც სათვალღიანმა მკლავში ჩაავლო ხელი და თავისკენ მოიზიდა, ბიჭი სათვალღიანს ეძგერა -- დაიცვა გოგო, რომელიც მისთვის... პანთეონთან ყოველ დღე იმიტომ იდგა, გოგო რომ დაენახა... სათვალღიანს ეძგერა და იმ გოგოს ყვირილი რომ არა, შესაძლოა, მიეხრჩო კიდევ... გოგო მუშტებს ბეჭებში უშენდა და ყვიროდა: „ვირო, ხეპრე, ოყროყო, რა გინდა მაგისგან, ხელი გაუშვი!“ იმ გოგოს გაწნულმა სილამ (სახეზე ხელს მოისმევს.) მერე იმ სათვალღიანმაც ურტყა, მაგრამ იმას არც გაუგია, რადგან გოგოს მრისხანებით აღსავსე მზერა ედგა თვალწინ (ღვინოს მოსვამს.) მერე იმ გოგომ ბიჭის სათვალღე მონახა გაუწმინდა, ქუდი დაუფერთხა, პალტო გაუსწორა და... ნელ-ნელა აუყვინნ ქუჩას.

ქეთიმ კარგა ხანია თავი დახარა. თითქოს ჩვენც ვგრძნობთ, როგორ ეწვის ყურები, ნიკა დაჟინებით მისჩერებია ქეთის.

ნიკა. სიგარეტი ხომ არ გექნებათ? (გოგი სიგარეტს უხმოდ დასდებს მაგიდაზე. მერე დიდ ყუთს გახსნის, თოჯინას ქაღალდს შემოხსნის. ეს არის ქალი-თოჯინა რომელსაც მოკრივის ხელთათმანი უკეთია და ვიღაცას მუშტებს უღერებს). ეს რა არის?

გოგი. საქორწინო საჩუქარი! ღმერთმა ქნას, ბედნიერი იყოთ.

ნიკა (ჭიქას შეავსებს). მინდა გადღეგრძელოთ...

გოგი. არა, არა, არ არის საჭირო! (მიდის. ნიკა სიგარეტს მოუკიდებს. ერთ ნაფაზს დაარტყამს და საფერფლეში ჩაჭყლიტავს).

ქეთი. ბაკურიანში კიდევ ერთი კვირა დავრჩი. სად არ დაგეძებდი (პაუზა.) ის გოგონა სულ არ არსებობდა შენთვის?

ნიკა (მცირე პაუზის შემდეგ). მეც დაგეძებდი. იქ ბაკურიანში არა... თბილისში გეძებდი -- ხშირად ვიდექი რუსთაველზე, მე და დათოს მორიგეობა გვქონდა, ისიც გეძებდა, მაგრამ შენ არ ჩანდი. მე ხომ არ ვიცოდი, სად სწავლობდი -- რომელ ინსტიტუტში. არც გვარი ვიცოდი შენი. აი, ეგ მზერა მდევდა. დედაჩემის თვალები. დედაჩემი რომ გარდაიცვალა, მას შემდეგ ინსტიტუტებშიც კი დაგეძებდი... მე და ზურა იქაც ვმორიგეობდით. ჯავახიშვილის უნივერსიტეტი... ილიაუნი... შენ კი არ სჩანდი... მერე შენი პოვნის იმედი დავკარგე... და ჯიპაში შენს მაგიერ ვიპოვე მერი, რომელიც შემდეგ ჩემი მეუღლე გახდა.

ქეთი გამოდის, ცხოვრების მოწყობაში მაინც დაგეხმარე.

ნიკა. კი, მერე ეს ამბავი სიცილის გუნებაზე გვაყენებდა.

ქეთი. მეკი... იმ ღამეს ის კოცნა რაღაცის ნიშნად მივიღე... თითქოს კოცნით მითხარი აი, იმ კოშკში შედი და მელოდეო. კოშკში ჩამკეტე, გასაღები ჯიბეში

ჩაიდე და ქარსა, თუ ნიავს გაჰყევი. დიდხანს გელოდე იმ კოშკში, სულ იქ ვიყავი... სხვა არც მიძებნია. გოგოები თხოვდებოდნენ, უჩნდებოდათ შვილები... იმ ბავშვებს ვეალერსებოდი და ვფიქრობდი, მალე ისიც გამოჩნდება და ჩვენი შვილები გაგვიჩნდება, ისინიც ასე საყვარლები იქნებიან-მეთქი. რა სულელი ვიყავი! ხომ ვიყავი სულელი?

ნიკა. აბა, რა გითხრა... (მხრებს აიჩეჩავს.) ილუზიით ცხოვრება... დამღუპველია. დამღუპველია ქეთი!

ქეთი. ეგ მაშინაც კარგად მესმოდა, მაგრამ ვერ შევძელი... ვერ დაგივიწყე, ვერაფრით ვერ დაგაღწიე თავი... შენი კოცნა ის ბოქლომი გამოდგა, რომლის

23.

გახსნა, უშენოდ ვერ შევძელი, დამტვრევა კი არ მეწადა. მერე კი ის ბავშვები სკოლაში წავიდნენ, ყმაწვილებად იქცნენ. იყვნენ ბიჭები, განა არ იყვნენ, პაემნებიც მქონდა. ერთ-ერთი მათგანი აი, იმ დათვმა მიტყეპა, ახლა აქ რომ იჯდა. ვხვდებოდი, მაგრამ იმ თოვლიან ღამეს ვერა და ვერ დავადწიე თავი. განა, შეიძლება ადამიანმა ერთი ღამის სინარულით მთელი ცხოვრება... (პაუზა.) მერე ეს პაემნებიც იშვიათობა გახდა... მიავიწყდათ გოგო, რომელსაც ცხოვრება სწყურია... სიცარიელეში, მარტობაში მედგა ფეხი... ამასწინათ კი დისშვილის შარვალს ვაუთოებდი... შარვალს გაზეთი დავაფინე და... ღმერთო, რამდენს გეძებდი, როგორ გნატრობდი და თურმე სახეზე უთო... ღამის სახე დაგიწვი... უთო შენს თვალებს რომ დავადე, ღამის გული შემიწუხდა... იმ საღამოს კი „კურიერში“ გნახე.

ნიკა. მე -- „კურიერში“?

ქეთი. თქვენი საავადმყოფოს კოლექტივი შენობის გაყიდვას აპროტესტებდა... წინა ხელისუფლებამ საიდუმლოდ არაბებს მიყიდაო, იმათ კი სასტუმროს გახსნა სწადიათო.

ნიკა. კი, იყო ასეთი რამ... გაგვიყიდეს, მაგრამ...

ქეთი. საავადმყოფოში მოვედი. მოვედი ისე, როგორც მლოცველი შედის ეკლესიაში. ვესტიბულში ვიდექი. ათ წუთში ჩამოხვედი. შემომხედე კიდეც, მომეჩვენა, რომ გამიღიმე. გული გადამეხსნა: მეძებდა და როგორც იქნა, მიპოვა-მეთქი. მაგრამ... შენ თურმე სხვას გაუღიმე და მასთან ერთად მანქანაში ჩაჯექი.

ნიკა. ალბათ, მერი... ისიც ჩვენს საავადმყოფოში მუშაობს.

ქეთი (სიგარეტს აიღებს, გააბოლებს). მანამდე სულ ჩემთან იყავი, იმ დღეს კი შიში დამეუფლა,... გკარგავდი... საავადმყოფოდან ისე ვბრუნდებოდი, როგორც წვიმაში, ქარში გაგდებული ლეკვი.

ნიკა. მაპატიე, გაგაწამე... რას ვიფიქრებდი... მაგრამ ეს არ არის მთავარი -- დღეს ასეთი რამ არ ხდება... დღეს სხვანაირად ვცხოვრობთ. ის დრო წავიდა, გაქრა...

ქეთი. მერედა, რატომ არ ხდება, ნიკა, რატომ ვკარგავთ ერთგულების და ლოდინის ნიჭს?

ნიკა. როგორ შეიძლება... ერთი საღამოს კოცნაობა ასეთი რა გახდა!

ქეთი. არა, არა, ასე ნუ იტყვი! (ერთხანს უხმოდ შესცქერის. მის თვალებში თანაგრძნობაც გამოსჭვივის, საყვედურიც.) ვიცი, რომ რაღაც უნდა შეგინდო, გაპატიო, მაგრამ რა? არ ვიცი, სახელი ვერ მოვუნახე – ის, რომ ჩემთვის ასეთი ახლობელი გახდი? ეს ხომ შენი ბრალი არ არის, ის, რომ ის ერთი ღამე მენსიერებიდან ვერ ამოვიგდე? არც ეს არის შენი ბრალი... (პაუზა.) მაგრამ ჩვენ ხომ ადამიანები ვართ... და რადგან ადამიანები ვართ, ის ერთი ღამეც რატომ უნდა გამქრალიყო, რისთვის?

ნიკა (საუბრის თემის შეცვლა სურს. რაც უცებ ენაზე მოადგა ის თქვა, მეტი

ვერაფერი მოიფიქრა) აქ, ზღვაზე, დასასვენებლად დიდი ხანია ჩამოსველი??

ქეთი. აი, ეს არის მთავარი! დადგმული სიყვარულის ღამეები! ისე მოვაწყე, როგორც მოვახერხე, ძალიან კი გამიჭირდა.

ნიკა (დაძაბული შესცქერის ქეთის, ამიტომ როგორც კი ქეთი შეჩერდება, მყისვე შესძახებს). გამაგებინე!

ქეთი. როგორც ამბობენ, ყოველი სვლა გაანგარიშებული მქონდა, მაგრამ ჯერ იყო და შენ ჩანდი ქალთმოძულე.

ნიკა. მაგის დრო ვიღას აქვს.

ქეთი. მერე კიდევ ბატონ სანდროს სტუმრობამ ლამის ყველაფერი ამირია.

ვხედავთ, ნიკას თუ როგორ გაუფართოვდა მზერა, როგორ გაოცებული შეჰყურებს ქეთის. ქეთიმ კი შამპანური დაისხა და რამდენიმე ყლუპი დალია.

24.

გეტყვი, ყველაფერს გეტყვი – აქ ზღვაზე, ამ სასტუმროში შენ მომიყვანე.

ნიკა. მე?

ქეთი. მარტო დავრჩი, ნიკა, სულ მარტო. მხოლოდ ანუკის ბავშვების მოვლა იქცა ჩემი ცხოვრების მთავარ საქმედ. ანუკი ჩემი დაა... ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობა კი... აღარ შემიძლია, ყელში ამომივიდა ეს კოლბები, სინჯარები, ანალიზები... ქალი ბავშვებს უნდა უვლიდეს, შვილებს უნდა ზრდიდეს. ქალის ბედნიერება სწორედ ეს არის... მარტობა არსებობაა – ერთი გასაწყლებული, გასაცოდავებული არსებობა! ვიღაცასთან უნდა მიხვიდე, ვიღაც უნდა იდგეს შენს გვერდით, ვიღაც უნდა გელოდებოდეს და სწუხდეს შენი დაგვიანების გამო. (პაუზა.) შენ არ იცი, ვერც ვერასოდეს მიხვდები, თუ რა არის მარტობა... მითუმეტეს, როცა ირგვლივ ამდენი ხალხია... უამრავი ხალხი ირევა ირგვლივ, მაგრამ... (კვლავ რამდენიმე ყლუპი დალია.) მაგრამ მაინც მარტო ხარ (დუმილი.) და მე გადავწყვიტე... ისეთი რამ გადავწყვიტე, რაც... (დუმილი. ერთხანს უხმოდ შესცქერის ნიკას.) რაზეც ძალიან დიდხანს ვფიქრობდი. ქალმა უნდა იფიქროს ამაზე, მითუმეტეს, როცა ოცდათხუთმეტს გადასცილდება.

ნიკა (ხმაში მღელვარება დაეტყო, მაგრამ მაინც ალერსით) რა გადაწყვიტე, ქეთი? რა გადაწყვიტე-მეთქი!

დუმილი

ქეთი (ნიკას მღელვარებამ დიმილი მოჰგვარა). გადავწყვიტე, რომ... მას შემდეგ, რაც შანსონეტკა გავხდი...

ნიკა. რა გახდი?

ქეთი. შანსონეტკა.

ნიკა. აბა, ქიმიკოსი ვარო.

ქეთი. არ იცი?

ნიკა. შანსონეტკა? ვიცი, მაგრამ შენ...

ქეთი (აწყვეტინებს.) არ გცოდნია. შანსონეტკებს ეძახიან ქალებს, რომლებმაც გათხოვების შანსი დაკარგეს.

ნიკა (ამ ხუმრობას წაუყრუა, მას სულ სხვა რამ აინტერესებს.) მერე?

ქეთი. მე დიდხანს ვფიქრობდი... ყველაფერი უნდა გააკეთო იმისათვის, რომ ცხოვრებამ უაზროდ არ ჩაიაროს...

ნიკა (სასოწარკვეთილი). და... და შენ გადაწყვიტე შვილი გაიჩინო? გინდა უქმროდ გყავდეს შვილი? (ქეთი დუმს, ნერვიულად.) გამაგებინე, ქეთი!

ქეთი (ყრუდ). ჰო ასეა!

ნიკა. კი, მაგრამ... (ენა ებმის).

ქეთი. რა? რა მაგრამ...

ნიკა. არ გეშინია?

ქეთი. რატომ, რისი უნდა მეშინოდეს?

ნიკა. ხალხის, ადამიანების, ნაცნობების, ნათესავების დამცინავი ღიმილის. ათასი რამის... ჩვენ ხომ საქართველოში ვცხოვრობთ!

ქეთი (კატეგორიულად). არა!

ნიკა (დაბნეული უძწეო). შენ ხომ იცი, შენ ალბათ, გეცოდინება... უნდა იცოდეს, რომ მე ცოლი მყავს... ცოლი და ორი შვილი.

ქეთი. ვერ გამიგე... მინდა ჩემს ცხოვრებას აზრი ჰქონდეს... მიზანი...

ნიკა (იფეთქებს). ეგ გავიგე, მაგრამ მე რა შუაში ვარ!..

ქეთი. თუ მე შვილს გავაჩენდი, ამ ადამიანისაგან უნდა ყოფილიყო, ვინც... ქალი შენ გააღვიძე ჩემში და პირველი მამაკაცი შენ უნდა ყოფილიყავ... (ნიკა წამოდგება, იქნებ, წამოხტება კიდეც, რადგან ერთ ადგილზე ვერ ისვენებს.) ნუ

25.

ღელავ, ეს შენ არაფერს არ გავალებს... როგორ გამიჭირდა ეს თამაში... მაგრამ სხვა გზა არ მქონდა... მეც ვითამაშე... ვითამაშე...

ნიკა. რა უფლებით... რას ჰგავს ეს! (გალიაში მომწვედელივით გრძნობს თავს). თუ ასე იცოდი, ყველაფერი, ისიც იცოდი, რომ ორი შვილი მყავს... რატომ ჩამაგდე ასეთ დღეში!

ქეთი. იმიტომ რომ შენ ჩემთვის... ვერ დაგივიწყე... მუდამ ჩემთან ხარ...

ნიკა. რა სიყვარულობანას მეთამაშები! ბავშვის გაკეთებას, რა სიყვარული უნდა. ბავშვი ყოველი მუტრუკისგან შეიძლება გააჩინო.

ქეთი. არა, უსიყვარულოდ გაჩენილი ადამიანის ცხოვრება ულახათოა. ფოთლებდაცვენულ ხეებსა ჰგავს -- სიყვარულის მადლი აკლია. მე კი მინდა ჩემი შვილი...

ნიკა (აწყვეტილებს). იყოს, როგორც გინდა, ისეთი იყოს, ოღონდ მე რა შუაში ვარ... რა კავშირი მაქვს შენს სურვილებთან!.. რა სიყვარულზე მელაპარაკები... კოცნას სიყვარულთან რა კავშირი აქვს. გაკოცე და მორჩა, რამდენი გოგოსთვის მიკოცნია, რამდენთან...

ქეთი. (ღიმილით). დამშვიდდი, ნიკა, მე ახლა წავალ და ჩვენ არასოდეს არასოდეს არ შევხვდებით ერთმანეთს. აი, ასე შეიკრა წრე -- ყველაფერი დაიწყო ბაკურიანის ბარში, როცა ასე კარგად მიმღეროდი და უკრავდი გიტარას და დამთავრდა აქ, ამ სოფელში. რა ბედნიერი ვიყავი იმ საღამოს -- შენი გიტარის ჩემს მხარზე შეხება, მათრთოლებდა...

ნიკა (აწყვეტილებს). რა გამომიჭედე ყურები ამ გიტარით! ორჯერ მიხსენე, როდის იყო გიტარას ვუკრავდი!

ქეთი. პირველ საღამოს – ბარში, მეორე საღამოსაც.

ნიკა. მე? მე გიტარას ვუკრავდი?

ქეთი. ის საღამო არ გახსოვს?

ნიკა. ძალიან კარგად მახსოვს, შენც მახსოვხარ... ისეთი მსხვილი ნაწნავები გქონდა, ვინ არ დაგიმახსოვრებდა. გიტარა? არასოდეს მჭერია ხელში!

ქეთი. გიტარა როგორ არ გეჭირა... მღეროდი...

ნიკა. არასოდეს! და საერთოდ, სიმღერაზეც ვერა ვარ კარგად. ძმაცაცებში სიმღერას რომ დავიწყებ, ყურებზე ხელს იფარებენ... მე უბრალოდ მაგ მსხვილი ნაწნავების გამო...

ქეთი (ულონოდ, თვალეზში სხვიგამქრალი). რა მსხვილ ნაწნავზე მელაპარაკები...

ნიკა. მაჯისსიმსხო ნაწნავები...

ქეთი. მერეღა, სად იყო ეგ ნაწნავები?

ნიკა. ორივე მკერდზე გქონღა გადმოყრიღი... დეღაჩემის ქალიშვილოზის სურათი მაქვს. ორი ნაწნავი, აი, ასე... თვალეზიცი მისი გქონღა, თვალეზის ფერი

შეგცვლიღა... ძალიან მაგონებღი დეღაჩემს. სწორედ მაგ ნაწნავეზის გამო გეძებღი...

ქეთი (უცნაური, გმინვისმაგვარი ხმით). ორი მსხვილი ნაწნავი?

ნიკა. იმ სახლს, საღაც ბიჭებმა ბაკურიანში ოთახი დავიქირავეთ, დიდი ყორე ერტყა. მეორე დიღას, ვიდრე სათხიღამუროდ წავიღლოღით და ფეხს მოვიტეხღი, იმ კედელზე ნახშირით დავხატე. ყინვაში ვიღექი და გხატავღი. აი, იმ ნაწნავეზის გამო გხატავღი, ძალიან მომწონღა. ქვეშ კი შენი სახელი მივაწერე: ნიკა... (გაოცებული ახეღავს ქეთის) კი, მაგრამ... ეს რა საჭირო იყო... სხვა სახელი რატომ მითხარი? (ხანგრძლივი პაუზის განმავლობაში დაჟინებით შესცქერის) შენ ხომ... შენ ხომ...

ქეთი (ცრემლი აწვება). რა სახელი... რას ამბობ!...

ნიკა. შენ ხომ სხვა სახელი გქვია... (იგონებს, მენსიერებას დაძბავს.) შენ ქეთი კი არა, ეკა, ეკა გქვია... თითქოს ვხეღავ კიღეც ჩემს დახატულ ნაწნავეზიან გოგოს...

26.

მაშინ ინგლისურს ვსწავლობღი და ორივე სახელი ინგლისურად დავწერე: იკა= კა.

ქეთი. გაჩუმიღი, გაჩუმიღი, ნულარაფერს იტყვი!

ნიკა. (ქეთის თვალეზზე მოწოღიღი ცრემლი ახლღღა შეამჩნია) რა... რა...

ქეთი. მე არასოღეს, არასოღეს არ მქონია მსხვილი, მაჯისსიმსხო ნაწნავები, დაბადებღიღან ქეთი მქვია... არასოღეს ვყოფიღვარ ეკა!

ნიკა (კმაყოფიღია). და შენ გინღა თქვა, რომ...

ქეთი (ნერვიულად). რატომ, რისთვის? ასე რატომ უნღა მომხღარიყო: შენ ის არა ხარ, ვისაც მე ვეძებღი, მე ის არა ვარ, ვინც დეღას გაგონებღა და მოგწონღა. ის სანღროც ნუმიზმატიკოსი კი არა... შენ აქ სულ სხვა საქმეებისათვის ხარ ჩამოსული...

ნიკა. აბა, რა კქნათ, ექიმიის ხელფასი...

ქეთი. ყოფიღიყავი... რა იქნებოღა, ოციოღე წუთით დარჩენიღიყავი იმ ნიკად... რა მოხღებოღა... მე ხომ არაფერს გთხოვღი.

ნიკა. ადამიანს ის მაინც უნღა ჰკითხო, მამობა უნღა თუ არა.

გოგი (შემოდის, ჯიქურ მიადგება მაგიღას). ძალიან კარგად იცოღი, რაც იყავი ჩემთვის. მაინც დამცინოღი. შენ და შენი დღაქაღები მამასხარავებღით. ჯერ სახელის გამო: კაციო, კაციკო, კაცუკო, კაცუნაო... (ხაზვასმით.) კაცუნაო. ამ სახელმა ისე გამაწამა, მამაჩემს ლამის საფლავში ჩავძახო საყვეღური... მერე რა მსუქანი ხარო... ოფლი რატომ გღისო... ყვეღაფერი, რაც მე მქონღა, დასაციანი გახღა, მერე დაციწვაც მოგბეზრღა. მე უკვე აღარ ვარსებობღი შენთვის. არც ქუჩაში, არც... არსად არ მამჩნევიღი. აღარც სახელი, აღარც სოფლეღობა გართობღა ჩემი, აღარც სიმსუქნე... მე კი ნაღვეღს, ვარამს გულში ვიკლავღი, და გეღოღი, ქუჩის თავში გეღოღი მხოლოდ იმისთვის, რომ დამენახე, თვალღი შემევეღო... სწორედ მაშინ გამიჩნღა შურისძიების სურვიღი. შენმა უარყოფამ დიდი ძაღღა გააღვიძა ჩემში... სოფელს დავუბრუნღი... გადავწყვიტე, ისეთი რამ გამეკეთებინა, რომ შენ გაკვირვების შეძახიღი აღმოგხღენოღა და გეთქვა, ეს კაცუნა ნამღვიღი კაცი ყოფიღაო. გახღომა? ცხოვრების წესის გამოცვღამ სახელის გამოცვღლის უფლებაც მომცა, მაგრამ ვგრძნობღი, რღღაც მთავარი, დიდი უნღა გამეკეთებინა და ბოღოს მოვიფიქრე – უნღა გავმღიდრებუღიყავი... მღიღარი კაცი უნღა გავმხღარიყავი. უნღა

გავმხდარიყავი ისეთი, როგორც სხვები არიან... დავმსგავსებოდი ათასებს, ათი ათასებს და ჩემი ლალი ცხოვრება ისე ამეფურიალებინა შენს თვალწინ, როგორც წითელ ქსოვილს აუფრიალებენ გონებადაბინდულ ხარს. რას არ ვშვებოდი – უნამუსობას ჩავდიოდი, გაჭირვებულსაც ვაჭერდი წიხლს და ამ დროს სულ შენი დამცინავი

მზერა მედგა თვალწინ -- თითქოს ჩემი სისასტიკის და დაუნდობლობის შთაგონება იყავი. (შეჩერდება, ჰაერს ხარბად შეისუნთქავს.) რალაცას მივაღწიე, რალაც მოვახერხე. შენი ჯიბრით, შენს ჯინაზე ვაკეთებდი ყველაფერს. როცა საკუთარ თავთან მარტო დავრჩებოდი, იმას წარმოვიდგენდი, თუ როგორ აგიფრ-იალებდი თვალწინ ჩემს სიმდიდრეს და როგორ მოგიკლავდი გულს... მაგრამ რა... დღეს გნახე და თითქოს არც არაფერი ყოფილა, თითქოს წლებიც არ გასულა, მე ისევ იქ ვდგევარ პანთეონთან, რომ თვალი შეგავლო, შენ სილა გამაწანი და ახლა იმ ბიჭთან ერთად მიუყვები ქუჩას. (პაუზა.) თურმე იმ მთავარს ვერაფერი ვერ აგინაზღაურებს... ვერაფერი! უარყოფილ კაცს მუდამ თან სდევს დამცინავი მზერა და აბრეცილი ტუჩების სუსხი... სიმშვიდეს ვერსად ვერ იპოვის... მუდამ განიცდის იმის დანაკლისს, რაც მაშინ დაკარგა. რას ველოდი და რა შემრჩა ხელთ? როგორ მინდოდა ჩემთან შეხვედრის შემდეგ ცრემლი გდენოდა და როგორ დამთავრდა ყველაფერი! შენ ჩემს სოფელში ჩამოხვედი საქორწინო

27.

მოგზაურობაში და მნახე ისეთი, როგორც არ უნდა ვიყო და როგორც გამხადე, შენ გამხადე ასეთი...

ნიკა. ტყუილია!

გოგი. ეგ შენი საქორწინო მოგზაურობა თითქოს ეკრანი გახდა ჩემთვის, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ტყუილად ვეხლებოდი კედელს.

ნიკა. ტყუილია-მეთქი, არ გესმის?

გოგი. არ არის ტყუილი! უარყოფილ კაცში ან ცხოველური ძალა იბუდებს, ან მორჩილი ხდება. მე ძალა გამიჩნდა, აი, ამან შემადლებინა.

ქეთი (ნიკას.) ნიკა, რა გინდა?

ნიკა. ყველაფერი, ყველაფერი ტყუილია!

ქეთი (დაძაბული, ნერვიულად.) ნიკა!

გოგი. მაცალე, რა, სიძე ბატონო, მაცალე!

ნიკა. არ არსებობს არავითარი საქორწინო მოგზაურობა, არ არსებობს არავითარი ცოლ-ქმრობა, ეს ყველაფერი თამაშია, თამაში! ჩვენ უბრალოდ გავითამაშეთ.

გოგი (უმწეოდ მიმოიხედავს). რა გაითამაშეთ?

ნიკა. ცოლ-ქმრობა გავითამაშეთ. ისე... ქეთის სჭიროდა.

გოგი. ისევ დაცინვა, ისევ გამასხარავება? ქეთი!

ნიკა. ეს თამაშიც ქეთიმ წამოიწყო.

გოგი. ქეთის ასეთი თამაში არასოდეს არ უყვარდა.

ნიკა. შეუყვარდა, ცხოვრებამ დაანახა, რომ საჭიროა.

ქეთი (წამოდგება). მე უნდა წავიდე.

გოგი (მხარზე ხელს დაადებს). დაჯექი! (ქეთი მორჩილად დაჯდება). სად მიდიხარ?

ქეთი. თბილისში, რამდენიმე დღით ვიყავი ჩამოსული.

ნიკა. ეს კონცერტი უნდა ჩაეტარებინა, მერე აქედან თავისი მომავალი ცხოვრების გარანტი უნდა წაეღო და მიაქვს.

ქეთი (ბრაზით.) მაგრამ პარტნიორში შევცდი, არ გამიმართლა!

გოგი. გამაგებინეთ, რა ხდება?

დუმილი. ხმდაბლა, თითქმის თავისთვის.

ასე როგორ შევიცვალენით – შენ შენ აღარ ხარ, მე მე აღარა ვარ... ყველაფერი გაქრა. მთელი ცხოვრება შენი სახე მედგა თვალწინ, ქანცისგამოლევაძმდე იმიტომ გაგვბოდი, რომ შენი თვალები მომდევდნენ: შენი გამჭირდავი მზერა, დამცინავი ღიმილი, უარყოფელი მოძრაობა. ყველაფერი, ყველაფერი, რასაც შენ წარმოადგენ, რასაც შენი სახელი ჰქვია, ჩემი ცხოვრების დოპინგი იყო და შენც აღარა ხარ? ესეც აღარ არის?

ვანიკო (შემოდის სახეებარწყინებული). კაი გამარჯობათ თქვენი კიდევ ერთხელ! რას შვრები, სიძე ბატონო, ხო დაგიტკბა ცხოვრება, მოვედი აგერ და არაფერი გლახა არ ყოფილა ეს „ვარაუტე“! რა მოხდა მერე – დარბიან ეს გოგო-ბიჭები ზეით-დაბლა და ცეკვავენ. მომეწონა, თვალში გამოიხედავ კაცი, მარა ასე ძვირი რომაა? ნამეტანი ძვირი გახდა ყოლიფერი, ნამეტანი! გაგონილა? ერთი ჭიქა ღვინო ღირს ის ფასი, რაც ბოთლი ღირდა! აჰ, ჩემი „შპაკლი“ ამას ვერ შესწვდება. რატომ ხართ ასე მოწყენილები, რა იყო? ქეთი, ცუდად ხო არ ხარ, შვილო!

სანდრო (შემოდის, მხიარული, ბედნიერი კაცის იერი დასდევს). მივესალმები ამ ჩინებულ საზოგადოებას, ეს რა ტუჩზე საკოცნელი ხალხი შეკრებილა! ბატონი გიორგიც აქ ყოფილა, ჩვენი ერთგული მეგობარი!.. ხალხს უთქვამს: ახლად შეუღლებულთა პატივისცემა ღმერთსაც უხარიაო. კარგია რომ ამათთან ხარ, ჩემო გოგი, კარგი!.. მართალია, რომ ამბობენ, ივანიშვილს ჩვენი პროკურორი თბილისში მიჰყავსო? შენ ყველაფერი იცი და ესეც გეცოდინება, ვინ მოჰყავთ?! როგორი კაცია? ჩვენ ხომ არ დაგვიწყებს რქენას. ხმა გამეცი, შე კაცო, რა მუნჯივით ზიხარ... დავიჯერო, ჩვენ დაგვეტაკება?

გოგი. ერთი იმის დედაც!

სანდრო. აგაშენა ღმერთმა, ჩვენც ის გვინდა, თუ კაი კაცია (ნიკას.) დღეს მიღიხართ თურმე და... ძალიან მომეწონა, კარგი სამაჯურები გამოუშვიათ თქვენს ბიჭებს, ფეთდებიან ტურისტები, აშენდნენ ახალაიები... იმედი მაქვს, არც ჩვენ დაგვივიწყებთ... (ქეთის.) ნუ დაგვემდურებით, ჩემო თამრიკო... (მიხვდება, რომ სახელი შეეშალა. შეყოვნდება.) ქეთი! იქნებ, ვერც გეცით საკადრისი პატივი, მაგრამ ჩვენი სოფელი მაინც დაუვიწყარი იქნება თქვენთვის. თაფლობის დღეები გაატარეთ აქ და მეც მინდა რაღაც ნიშანი დავადო ამ საქმეს და აგერ ეს მცირე ძღვენი... პატარა საჩუქარი. (მაგიდაზე კოლოფს დასდებს.)

ქეთი, ნიკა, გოგიც გარინდებული სხედან, თავის ფიქრებში ჩაფლულან.

ვანიკო იყურება დაეჭვებული, გაფაციცებული.

მშვიდობაში იხმარეთ! ბედნიერი იყოს თქვენი ცხოვრება. ტკბილად შეაბერდით ერთმანეთს, მჯერა, ასეც იქნება, ძალიან გიყვართ ერთიმეორე და ამიტომ... აბა, თქვენ იცით. ჩემო ნიკა, იმედი მაქვს, არ დამივიწყებთ!

ქეთი (გოგის, ნიკას, კოტეს, ვანიკოს მზერას გაუსწორებს.) ჩემი წასვლის დროც მოვიდა. კარგად იყავით! ნიკა, შიში ნურაფრის გექნება, შენ ხიფათი არ გელის... ასე მგონია, მაინც გამარჯვებული მივდივარ... ის გავაკეთე, რაც მეწადა... (გოგის.) კაციკო!.. (პაუზა.) რატოა კაციკო ცუდი სახელი... რას ერჩი მამაშენს... სადგურამდე გამაცილებ? გამაცილე სადგურამდე! (წამოდება, მიდის. გოგი მიყვება.)

ნიკა (მზერას გააყოლებს, თითქმის თავისთვის). აბა, რა, სხვაგვარად არც შეიძლებოდა -- ბაკურიანში ერთი კარგი საღამოს გამო, ოჯახს ხომ არ ავირევდი.

ვანიკო (იქნებ, გლეხურმა ინტონაციამ მიახვედრა) აბა, არა?!..

სანდრო. (ჭიქა შამპანურით შეივსო, დალია). ხო ის არ არის, რაც იყო, გააფუჭეს ჩვენი ქალაქის ჩამოსხმა სულ, მაგრამ მაინც კაი რამეა... არა, ვანიკო?

ვანიკო (ნიკას შესცქერის). აბა, არა?!..

ნელ-ნელა იხურება ფარდა.